

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ა. თაყაიშვილი

ქართული ჳრუზეოლოგიის საკითხები

შრომა წარმოადგენს ქართული ფრაზეოლოგიის, როგორც მეცნიერული დარგის, შესწავლის ცდას.

შრომაში განხილულია ფრაზეოლოგიის შესახებ არსებული სხვადასხვა თვალსაზრისი და მოცემულია მისი ობიექტის — ი დ ი მ ის ა და ფ რ ა ზ ე ლ ო გ ი უ რ ი შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ის — სემანტიკურ-გრამატიკული და ლექსიკურ-სტილისტიკური ანალიზი.

გაშუქებულია აგრეთვე ფრაზეოლოგიზმების თარგმნის საკითხები და ნაჩვენებია მათი დამოკიდებულება მოსახლურე ერთეულებთან (მეტა-ფორულ სიტყვასთან, კომპოზიტთან, ანდახასთან...).

მასალად გამოყენებულია უძველეს ქართულ ძეგლებსა, კლასიკოსების ნაწარმოებებსა და ცოცხალ მეტყველებაში დადასტურებული გამოთქმები.

შესავალი

ადამიანი მოწოდებულია ენის ლექსიკური შემადგენლობის შეშვეობით მიახლოებით მაინც ასახოს მატერიალური თუ სულიერი ცხოვრების ყველა სფერო. მაგრამ საგანთა და მოვლენათა რაოდენობა განუსაზღვრელია, მაშინ როდესაც სიტყვების მარაგი შედარებით მცირეა და განსაზღვრული. სწორედ „ამ შეზღუდული რაოდენობით უნდა დაძლიოს ადამიანმა უსასრულო მრავალფეროვნება შეუჩერებლად მოძრავი შინა და გარე სამყაროსი“¹.

ასეთი ვითარება ერთ-ერთ არსებით ფაქტორთაგანს წარმოადგენს სიტყვის მნიშვნელობის ცვლისა და პოლისემიისათვის. მაგ., ქართულში ბეჭედ სიტყვას ოთხი მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან მეოთხე გადატანითია: ბეჭედი — კვალი, ნიშანი.

ცალკეულ სიტყვა-სახელებთან ერთად ენაში გამოიყოფა სიტყვათა მყარი შეერთებანი, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ სინამდვილის მოვლენათა აღსანიშნავად. ენა ფლობს ურიცხვ მზა ფორმას, რომლებსაც ამოსავალი მნიშვნელობის გარდა გადატანითი გაგებაც აქვთ. მაგ., იმავე ბეჭედ სიტყვის განმარტებისას მოცემულია მყარი გამოთქმა ბეჭდის დაკვერა || ბეჭდის დასმა, რაც პირდაპირი მნიშვნელობის გარდა აღნიშნავს „ქეშმარიტად აღიარებას, დადასტურებას“². ფრაზეოლოგია იწყება სწორედ აქ, როდესაც მისი კომპონენტების მნიშვნელობა იზრდილება და შესიტყვება გვევლინება სემანტიკურ მთელად. ფრაზეოლოგიზმები გამოხატავენ ერთიან აზრს და წარმოადგენენ სიტყვის ეკვივალენტებს: თვალის ჰკრა „დანწვსა“, ხელი ძეუწყო „დაეხმარა“. მართალია, ისინი (ფრაზეოლოგიზმები) ჩვეულებრივ არ არიან ცნების ერთადერთი აღმნიშვნელი, მაგრამ დიდია მათი ემოციური ძალა ადამიანის განწყობილებებისა და სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად. მათ აკისრიათ ექსპრესიული ფუნქცია და მეტყველებას

¹ H. Kronasser, Handbuch der Semasiologie, Heidelberg, 1952, გვ. 192.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას რედაქციით, ტ. I, სვ. 1047 (შემდგენი შემოკლებით: განმარტებითი ლექსიკონი).

ხდიან მრავალფეროვანს, უფრო მოქნილსა და ხატოვანს. სცემა ზმნის ნაცვლად რომ ვიტყვი—ცხვირი მოუნაყა, ზურგი აუჭრელა, გვერდები დაუზილაო და სხვას, ამ ემოციურ კონტექსტში ნათლად ჩანს მთქმელის ირონიული დამოკიდებულება მომხდარი ფაქტისადმი. „უფრაზეოლოგიოდ, მხოლოდ ცალკეული სიტყვების მეშვეობით ძნელი, ზოგჯერ კი შეუძლებელიც იქნებოდა ადამიანის აზრის ნიუანსების მთელი სიმდიდრე გამოგვეხატა“³.

ამდენად, ენის სრულყოფილად დაუფლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის ფრაზეოლოგიაში გარკვევას. შეიძლება ითქვას, ენის დაძლევის ერთ-ერთ სირთულეს სწორედ ფრაზეოლოგია და იდიომატიკა ქმნის.

მიუხედავად ფრაზეოლოგიის დიდი ხვედრითი წონისა, მისი შესწავლის საქმე ვერ დგას ჯეროვან სიმძლავრეზე. იგი, როგორც ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემა, ნაკლებადაა დამუშავებული. ასეთივე ვითარებაა კონკრეტულ ენათა მიმართაც. განსაკუთრებით უყურადღებოდაა იგი დატოვებული დასავლეთ ევროპელ ლინგვისტთა მიერ. ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ქცევათა ანალიზის მხოლოდ ცალკეული ცდები აქვთ მოცემული ფრანგ ენათმეცნიერებს ა. სეზაისა და შ. ბალის. ეგვე ითქმის ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ანუ „იდიომა“ შესახებაც, რომელთა კლასიფიკაცია ლექსიკონში მთელი მასალის ანბანური რიგით დალაგებასღა გულისხმობს⁴.

შედარებით ფართოდაა განხილული ფრაზეოლოგიური ერთეულები რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში⁵. აქ ცნობილ ენათმეცნიერებს (ა. პოტუბნიას, ფ. ფორტუნატოვს, ა. შახმატოვს, ა. რეფორმატსკის, რ. ბუდაგოვს და სხვ.) ყურადღება აქვთ მიქცეული ამ საინტერესო დარგისათვის და გარკვეული მოსაზრებებიც გამოუთქვამთ მათი თავისუფალ შესიტყვებათა წრიდან გამოყოფის სასარგებლოდ. მაგრამ ეს მაინც ცალკეული დაკვირვებებია, გრამატიკის სხვა საკითხებით დაჩრდილული და, ამდენად, საბოლოო დასკვნებისაგან თავისუფალი.

³ Б. Л. Абрамов, О преподавании фразеологии в средней школе: Иностранные языки в школе, 1952, № 5, стр. 83.

⁴ ამ საკითხს ეხება А. В. Кумачева, Фразеологические сочетания, как часть словарного состава языка: Иностранные языки в школе, 1953, № 6, стр. 11.

⁵ შეიძლება ითქვას, რომ ფრაზეოლოგიის შესახებ საერთოდ არსებული ლიტერატურის უმეტესი ნაწილი რუს ავტორებზე მოდის.

ყველაზე უფრო ფართოდ და თანამიმდევრულად მას აზუქებს აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვი⁶. შეიძლება ითქვას, რომ ვ. ვ. ვინოგრადოვს ეკუთვნის პრიორიტეტი ფრაზეოლოგიზმების, როგორც ლინგვისტიკაში შესასწავლი მასალის, ცალკე გამოყოფის საქმეში. თუმცა, როგორც თვითონ აღნიშნავს და სხვებიც მიუთითებენ, მის მიერ მოწოდებული ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კლასიფიკაცია სქემატურია.

ცალკეული სტატიებიდან ყურადღებას იქცევს ს. რეგოვის მიერ რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის პროექტთან დაკავშირებით დაწერილი სტატია⁷ და ბ. ლარინის „ნარკვევები ფრაზეოლოგიიდან“⁸, სადაც ავტორი ფრაზეოლოგიის ისტორიულ ასპექტში განხილვის აზრს ავითარებს. ორივე სტატია ეხება ზოგადთეორიულ საკითხებს და ენიშვნელოვან, თუმცა საკამათო, დასკვნებს შეიცავს.

ო. ახმანოვა თავის წიგნში⁹ იდიომატურობის კრიტერიუმს არასამართლიანად ზოგადად და მეორეხარისხოვნად თვლის.

გარდა სტატიებისა დაწერილია ბევრი სადისერტაციო შრომა, რომლებშიც წარმოდგენილია რუსული ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური, სტილისტიკური და გრამატიკული კლასიფიკაციის ცდები.

აღსანიშნავია, რომ რუსი ავტორები გარკვეულ ინტერესს იჩენენ სხვა ევროპულ ენათა მასალის მიმართაც. მათი საკანდიდატო შრომების თემას წარმოადგენს ინგლისური, ფრანგული, გერმანული და ესპანური ფრაზეოლოგიზმების ანალიზი¹⁰.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქართულის მიმართ?

⁶ В. В. Виноградов: 1) Об основных типах фразеологических единиц в русском языке: Академик Шахматов. Сборник статей и материалов, М.—Л., 1947 (შემდგში—Об основных типах фразеологических единиц); 2) Русский язык (Грамматическое учение о слове), М., 1947 (შემდგში—Русский язык); 3) Основные типы лексических значений слова: Вопросы языкознания, 1953, № 3 და სხვ.

⁷ С. И. Ожегов, О структуре фразеологии (в связи с проектом фразеологического словаря русского языка): Лексикографический сборник, т. III, М., 1958 (შემდგში—С. И. Ожегов, О структуре фразеологии).

⁸ Б. А. Ларин, Очерки по фразеологии: Ученые записки МГУ, № 198, 1956 (შემდგში—Б. А. Ларин, Очерки по фразеологии).

⁹ О. С. Ахманова, Очерки по общей и русской лексикологии, М., 1957 (შემდგში—О. С. Ахманова, Очерки по лексикологии).

¹⁰ З. Н. Анисимова, Фразеологические единицы типа „прилагательное + существительное“ в современном английском языке, М.,

უნდა ითქვას, რომ ქართული ფრაზეოლოგია არ ყოფილა ლინგვისტური შესწავლის ობიექტი. სასკოლო სახელმძღვანელოებში ტექსტში დადასტურებულ გამოთქმებს ეძლეოდა მხოლოდ გრამატიკული ახსნა. არაფერი იყო ნათქვამი მათ სემანტიკურ მხარეზე.

ამ ბოლო ხანებში ყურადღება გამახვილდა ფრაზეოლოგიის შესწავლაზე და ნაწილობრივ შეივსო ის დიდი ხარეხი, რაც ქართულ ენათმეცნიერებას ამ დარგში ჰქონდა.

ალსანიშნავია ა. ონიანის სადისერტაციო შრომა¹¹, რომელიც ავტორი ზოგადთეორიული საკითხების ფონზე იძლევა ქართულის მონათესავე ენის, სვანურის, მონაცემთა ანალიზს და იკვლევს მათ წარმომავლობას.

ქ. კანდელაკი თავის სადისერტაციო შრომაში¹² აანალიზებს ინგლისური ენის ფრაზეოლოგიურ მასალას და ქართულ ეკვივალენტებთან შეპირისპირებისას ადგენს სემანტიკურ ჯგუფებს.

ორივე შრომაში ჩანს იდიომის სპეციფიკის მართებული გაგება, მაგრამ უგულვებელყოფილია ფრაზეოლოგიზმების მეორე ჯგუფის — ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა — საკითხი.

დაიწერა რამდენიმე სტატია, რომლებიც ფრაზეოლოგიის სხვადასხვა კუთხით განხილვას ითვალისწინებენ.

შ. ძიძიგური თავის წერილში, რომელიც წამძღვარებულია თ. სახოკიას წიგნს¹³. ცდილობს იდიომის ცნების განსაზღვრას.

საინტერესო დაკვირვებები აქვს იდიომის წარმოშობის შესახებ ა. ფრანგიშვილს¹⁴. იგი აანალიზებს გამოთქმებს, რომლებშიც კომპონენტად სიტყვა გული მონაწილეობს: გული მოუვიდა,

1952 (შემდეგში—З. Н. Аннимова, Фразеологические единицы); Б. Л. Костеляни, Пути и средства перевода французской фразеологии на русский язык, Л., 1955; В. С. Виноградов, Фразеологические сочетания типа „прямо-переходны: глагол + предлог + существительное“ в испанском языке, Л., 1956 (შემდეგში—В. С. Виноградов, Фразеологические сочетания).

¹¹ ქართულ-სვანური იდიომეტიკის საკითხები, თბილისი, 1954 (შემდეგში — ქართულ-სვანური იდიომეტიკა).

¹² ინგლისური მეტაფორული იდიომები და მათი ქართული ეკვივალენტები (თანამედროვე თარგმანების მიხედვით), თბილისი, 1955 (შემდეგში — ინგლისური მეტაფორული იდიომები).

¹³ თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I, თბილისი, 1950.

¹⁴ „გული“ სიტყვისა და შიგან ნაწარმოებ სიტყვათა სემანტიკასთან დაკავშირებით ფრაზეოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ: ფსიქოლოგია, ტ. III, თბილისი, 1944.

გული გადაუბრუნდა... და მათ წარმოქმნას ფსიქოლოგიურ საფუძველს უძებნის.

ა. კობახიძე თავის სტატიაში¹⁵ მსჯელობს უცხო ფრაზეოლოგიზმების თარგმნის შესახებ და ეძებს მათი გადმოცემის საკულებებს.

პრაქტიკული დანიშნულება აქვს ლ. ლევაეას წერილს¹⁶ - ავტორი ეხება ფრაზეოლოგიაში მოსაქცევი მასალის კლასიფიკაციას და მისი დაჯგუფების პრინციპებს.

რამდენიმე ავტორი განიხილავს ი. ჭავჭავაძის თხზულებებში ნახმარ ფრაზეოლოგიზმებს:

ა. ნეიმანი „კაცია-ადამიანში“ წარმოდგენილ იდიომებს უძებნის რუსულ შესატყვისებს¹⁷.

ნ. საყვარელიძე ცალკე თავს უძღვნის ფრაზეოლოგიზმებს თავის სადისერტაციო პროლაში („ოთარაანთ ქერივის“ ლექსიკა).

გ. შალაშვილიც ცალკე განიხილავს ფრაზეოლოგიზმებს „კაცია-ადამიანში“¹⁸.

რა მდგომარეობაშია შესასწავლი მასალა?

ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა მეტად მდიდარია ფიგურალური, იდიომატური გამოთქმებით. ამ მხრივ ყურადღებას იქცევენ ძველი ჰაგიოგრაფიული ძეგლები, „ვეფხისტყაოსანი“, სულხან-საბას, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და სხვათა ნაწარმოებები.

ლექსიკოლოგიურ პრაქტიკაში ფრაზეოლოგიზმებს სათანადო ყურადღება ექცეოდა თავიდანვე. ისინი გამოყოფილი აქვს სულხან-საბა ორბელიანს თავის „სიტყვის კონაში“, დ. ჩუბინაშვილს 1840 წელს გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონში.

ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნებული შრომებიდან, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია თ. სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი“. მასალა (7000 ერთეულის რაოდენობით) აღებულია კლასიკოსთა თხზულებებიდან, ასევე დიალექტებიდან და სასაუბრო ენიდან. როგორც სათაურიდანაც ჩანს, წიგნი არ წარმოდგენს წმინდა ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კრებულს. ჩანს უხედაა შესული გადატანილი მკიშენლობით ნახმარი სიტყვები და კომპოზიტები.

¹⁵ რუსული ფრაზეოლოგიზმების ქართულად გადმოცემისა და სწავლების საკითხისათვის: ჟურნ. კოდნიკატური აღზოდისათვის, 19-8, № 8.

¹⁶ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შესწავლისათვის: ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1956.

¹⁷ ქართული იდიომები „კაცია-ადამიანის“ მიხედვით და მათი რუსული შესატყვისები: პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 1941.

¹⁸ ფრაზეოლოგიზმები ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანში“: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VIII, თბილისი, 1956.

ავტორი უმეტეს წილად სწორად იძლევა გამოთქმის მნიშვნელობას და ცდილობს ბევრი მათგანის წარმოშობის ახსნასაც. ეს შრომა ქართული ფრაზეოლოგიის მკვლევარისათვის დიდ განძს წარმოადგენს.

უძველესი ზოარული გამოთქმები თავმოყრილია თ. შავიშვილის მიერ შედგენილ „ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებულში“ (1960 წ.). მასში წარმოდგენილია შემოსული და ქართულად თარგმნილი აქილევესის ქუსლის, პროკრუსტეს სარეცელის და სხვათა მსგავსი ერთეულები და მოცემულია მათი წარმომავლობისა და მნიშვნელობის მოკლე დახასიათება.

მთარგმნელობით პრაქტიკაში დამხმარე საშუალებას წარმოადგენს ნ. გამრეკელისა და ე. მგალობლიშვილის „რუსულ-ქართული იდიომატიკა“ (1956 წ.). ამ კრებულში რუსული იდიომატიკისავე კონტექსტშია წარმოდგენილი და მოცემულია მთელი ამ კონტექსტის ქართული თარგმანი.

შედარებით მდიდარი ფრაზეოლოგიური მასალა თავმოყრილი სამტრიაშიან რუსულ-ქართულ ლექსიკონში¹⁹. მასში შესულია იდიომები და ყველა ის მყარი შესიტყვებანი, რომლებიც საეტიმოლოგიურია რუსულისათვის და თარგმნის ნხრიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. უმეტეს შემთხვევაში მოხებნილია სხარტი გვიგალენტური გამოთქმა: მაგ., *души в нем не чаёт*—მზე და მთვარე მასზე ამოსდის და სხვ. ზოგჯერ გავრცელებული სიტყვასიტყვითი თარგმანია: ნოცემული. მაგ., *руки чешутся*—ხელები ექავება.

მთავარია მაინც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი²⁰, ფუნდამენტალური შრომა, რომელიც სიტყვების გვერდით მოიცავს ქართული ენის განმარტებითი სიტყვების ძირითად მასალას. ფრაზეოლოგია განიყოფილია რომბით და სხვა შრიფტითაა დაბეჭდილი. მყარ გამოთქმებად მიჩნეულია: საყოველთაოდ გავრცელებული, მკაფიოდ გამოკვეთილი იდიომები, შედარებით მყარი ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი, ტერმინები, ნისალმებისა და წყველა-ლოცვის ფორმულები, სპეციალური საყოფაცხოვრებო ხასიათის შესიტყვებანი, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები და სხვ. მოკლედ, ლექსიკონში გამოყოფილია ყველა შესიტყვება, რომელიც

¹⁹ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, ტ. I—1956, ტ. II—1958, ტ. III—1959 წ.

²⁰ რომლის რედაქციულიდან (მთავარი რედაქტ. არნ. ჩიქობავა) ექვსი ტომი უკვე გამოსულია: ტ. I—1950, ტ. II—1951, ტ. III—1953, ტ. IV—1955, ტ. V—1958, ტ. VI—1961 წ.

მელიც ასე თუ ისე განმარტებას მოითხოვს. უდავოა, რომ განმარტებითი ლექსიკონისათვის გამოთქმათა შერჩევის ასეთი პრინციპი მიზანშეწონილია.

ასეთი მდგომარეობაა ქართულში ფრაზეოლოგიური მასალის როგორც შეკრება-დამუშავების, ისე მისი თეორიული საფუძვლების შესწავლისა და ინტერპრეტაციის მხრივ.

ჩვენი შრომის „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხების“ დაწერა შეპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:

1. ცოტაა ქართული ფრაზეოლოგიის პრობლემისადმი მიძღვნილი გამოკვლევები.

2. არსებული შრომები შეპირისპირების პრინციპზეა აგებული, რაც სხვა ენის ნასალაზე ყურადღების განაწილებას გულისხმობს.

3. შრომებში განხილულია ფრაზეოლოგიური ერთეულების ერთი სახეობა — ი დ ი ო მ ი, ფ რ ა ზ ე ო ლ ო გ ი უ რ ი შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა კ ი კვლევის საგნად არ არის ქცეული.

ჩვენ შევეცადეთ ერთად ყოფილიყო გაშუქებული ი დ ი ო მ ი და ფ რ ა ზ ე ო ლ ო გ ი უ რ ი შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა და ანით შედარებით სრული წარმოდგენა მოგვეცა ფრაზეოლოგიის ობიექტის შესახებ.

ძირითად საკითხებთან ერთად გაჩნდა მეორეხარისხიანი ასპექტებიც. ასეთ ვითარებაში ყველა საკითხისათვის ამომწურავი პასუხის გაცემა, რა თქმა უნდა, ძნელია, სამაგიეროდ ამ საინტერესო დარგის შესახებ მსჯელობა ერთად არის წარმოდგენილი.

მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ლექსიკონში, უძველეს ძეგლებსა, კლასიკოსების ნაწარმოებებსა, დიალექტოლოგიურ კრებულებსა და სასაუბრო ნეტყველებში დადასტურებული გამოთქმები. როდესაც გამოთქმა საერთო-სახალბოა (გ უ ლ ი მ ო უ ე ი დ ა, თ ვ ა ლ ს წ ყ ა ლ ი დ ა ა ლ ე ვ ო ნ ა და მისთ.), წყარო არ არის ნითითებული. დამოწმებას მავინ მივმართავთ, როდესაც გამოთქმა ძველია ან დიალექტურია, ან კიდევ სხვა ენის კალკს წარმოადგენს.

ფრაზეოლოგიის საბანი

ტერმინოლოგიის საკითხები

პრობლემის დამუშავებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტერმინოლოგიის საკითხებში გარკვევას. ზუსტი ტერმინი მოვლენის არსში უკეთ ჩაწვდომის საშუალებაა და, პირიქით, „ტერმინოლოგიური ბუნდოვანება იგივეა მეცნიერებისათვის, რაც ნისლი ნაოსნობისათვის“ (პ. შუხარდტი).

ამ მხრივ განსაკუთრებული სიჭრელეა ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებით. სხვადასხვა ცნების გამოსახატავად იხმარება ერთი ტერმინი, ან სხვადასხვა ტერმინით გადმოიცემა ერთი და იგივე ცნება. უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის „ფრაზეოლოგიის“ მიმართ. „თვით სიტყვა «ფრაზეოლოგია» არ გამხდარა ჯერ კიდევ ნამდვილი ტერმინი იმის გამო, რომ ენაში იგი აერთიანებს მრავალფეროვან მოვლენებს, ხშირად ერწყმის ტერმინ «იდიომატიკას», ან უპირისპირდება მას“²¹.

ჯერ კიდევ მ. მიხელსონის წიგნში „ფრაზეოლოგია“ სამი გაგებითაა წარმოდგენილი, სახელდობრ:

1. ზოგადი გაგებით — მეცნიერება ან მეცნიერული დისციპლინა მეტყველების შესახებ.

2. ვიწრო გაგებით — მწერლის ენის განმსაზღვრელი ხერხებისა და მეთოდების თავმოყრა.

3. ფართო გაგებით — ცალკეული ერის მეტყველების ხერხების, მეთოდებისა და კანონების თავმოყრა²².

²¹ С. И. Ожегов, О структуре фразеологии, гл. 34.

²² М. И. Михельсон, Русская мысль и речь, свое и чужое. Опыт русской фразеологии, С.-Петербург, 1912, гл. IV (შემდეგში—М. И. Михельсон, русская мысль и речь).

თვით ერთი და იმავე მასალის აღმნიშვნელად დღეს ერთმანეთის გვერდით იხმარება სხვადასხვა ტერმინი: ფრაზეოლოგიური ერთეული, ასევე ფრაზეოლოგიური—გამოთქმა, საქცევი, კლიშე, შტამპი, შენაზარდი (შეხორცება), მთლიანობა, შესიტყვება (ფართო და ვიწრო გაგებით); გარდა ამისა, მყარი გამოთქმა, დაუშლელი შესიტყვება, ლექსიკური ერთეული, სტერეოტიპული გამოთქმა; იდიომი — მეტაფორული, სახოვანი, გაქვავებული და სხვ.

არ მოიპოვება „იდიომ“ ტერმინის ერთიანი მეცნიერული განმარტებაც. იგი იხმარება სამი გაგებით:

1. ფართო გაგებით — როგორც ყოველგვარი თავისებურება ენისა.

2. შედარებით ვიწრო გაგებით — ფრაზეოლოგიური ერთეული (ფრაზეოლოგიური შესიტყვების გარეშე).

3. ყველაზე ვიწრო გაგებით — ფრაზეოლოგიური შენაზარდი.

ამის გამოა, რომ ხან იდიომი მოიცავს ფრაზეოლოგიას და ხან კი, პირიქით, ფრაზეოლოგია — იდიომს. ზოგი მკვლევარი მათ აიგივებს კიდევ (ი. ვულფიუსი), ზოგი კი ერთმანეთისაგან თიშავს (ა. რეფორმატსკი, ლ. ბულახოვსკი).

ასეთი ტერმინოლოგიური აღრევა, ცხადია, გამოწვეულია ცნების დაუდგენლობით. არ ჩანს ერთიანი პოზიცია ფრაზეოლოგიის ძირითადი პრობლემის გადაწყვეტისას. უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ფრაზეოლოგიის საზღვრების საკითხი.

ფრაზეოლოგიის საზღვრები

რა მოკულობისაა ფრაზეოლოგია? რა მასალაა მისი შესწავლის ობიექტი? ამ საკითხზე მეცნიერებაში ორი უკიდურესი თვალსაზრისია დამკვიდრებული.

ერთია შედარებით ფართო თვალსაზრისი, რომელიც ფრაზეოლოგიის რამდენიმე განსხვავებულ დახასიათებას აერთიანებს:

ა) ფრაზეოლოგიას მიეკუთვნება ყოველგვარი შესიტყვება, რომელსაც ახასიათებს ამა თუ იმ ხარისხის სიმყარე. „საერთოდ მიღებულია ფრაზეოლოგია ეწოდოს მეტყველების მყარ ქცევათა ერთობლიობას, რომელიც დამახასიათებელია ენისათვის“²³.

²³ М. И. Хмельнича, Фразеология ранних фельетонов Горького, М., 1952, გვ. 75 (საკანდ. დისერტ.).

ბ) ფრაზეოლოგიაში შედის არა მეტყველების პროცესში წარმოქმნილი, არამედ ენაში მზა ფორმით მოცემული ყოველი გამოთქმა. ბოდუენ დე კურტენესათვის ფრაზეოლოგიზმის გაჩენა ხშირი ავტომატური განმეორების შედეგია. ამ გაგების მიხედვით ფრაზეოლოგიზმების გვერდით მოთავსდება ტერმინოლოგიური ხასიათის გამოთქმები, ანდაზები, აფორიზმები, რომლებიც მზა ფორმით არსებობენ და გადმოიცემიან ტრადიციით.

გ) ფრაზეოლოგიის განმსაზღვრელ ნიშნად მიჩნეულია მნიშვნელობის გადატანა. მ. მიხელსონის აზრით, ფრაზეოლოგიის საგანია სახოვანი სიტყვები და ანდაზური გამოთქმები, ანდაზები და ქცევები, დამახასიათებელი ხალხის ენისათვის, ამასთან მათი აზრისა და გადატანილად ხმარების განმარტება²⁴.

დ) ფრაზეოლოგიას ფარგლავენ იმ მასალით, რაც სრულიად არ ითარგმნება სხვა ენაზე, ან მისი ზუსტი თარგმანი შეუძლებელია.

ამ განმარტების მიხედვით ერთმანეთის გვერდით შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა სტრუქტურის ერთეულები: იდიომები, ანდაზები, აფორიზმები, ლიტერატურული ციტატები, სიტყვის მასალა, ფრთიანი სიტყვები, კომპოზიტები და სხვ.

ე) ფრაზეოლოგიაში ენობრივ მასალასთან ერთად შეაქვთ ცალკეული მწერლის ენაში ნახმარი ნიშანდობლივი გამოთქმები და ფრაზები, რომელთაც საერთო-საბალხო სანქცია არა აქვთ. „ფრაზეოლოგიის ცნების მეტად გაფართოებისას მას აკუთვნებენ შესიტყვებებისა და სიტყვათგამოყენების ინდივიდუალურ თავისებურებებს, დამახასიათებელს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ან მთელი ლიტერატურული მიმართულებისათვის“²⁵.

ამ ფართო თვალსაზრისთა გვერდით მეცნიერებაში არსებობს მეორე უკიდურესი გაგება, რომლის თანახმად ფრაზეოლოგიაში ადგილი რჩება მხოლოდ კლიშეებს. ს. აბაკუშოვის განმარტებით, „ფრაზეოლოგია — ესაა სიტყვიერი შაბლონები, მზა სიტყვიერი კლიშეები, რომლებიც მექანიკურად მეორედებიან ერთნაირ შემთხვევებში“²⁶.

²⁴ М. И. Михельсон, Русская мысль и речь, гл. VI.

²⁵ Большая Советская Энциклопедия, т. 45, гл. 412.

²⁶ С. И. Абакумов, Современный русский литературный язык, 1942, гл. 26.

გამოდის, რომ ფრაზეოლოგიაში ტოვებენ მხოლოდ იმას, რაც სრულებით არ უნდა იყოს მისი შესწავლის ობიექტი.

ა. რეფორმატსკის ფრაზეოლოგიაში შეაქვს მხოლოდ პროფესიული, ჟარგონული და მხატვრული მეტყველების ნიმუშები²⁷.

როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილი თვალსაზრისები მეტისმეტად ზოგადი და არამყარია. მათზე დაყრდნობით ფრაზეოლოგიაში გზა ეხსნება სხვადასხვა სტრუქტურის მასალას და ფრაზეოლოგიის საგნის დაზუსტება შეუძლებელი ხდება²⁸.

ვ. ვ. ვინოგრადოვის სამწვეროვანი კლასიფიკაცია

ფრაზეოლოგიის შესასწავლი ობიექტის შედარებით სწორი გაგება მოცემული აქვს აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვს. იგი ენაში გავრცელებულ მთელ ფრაზეოლოგიურ მასალას ყოფს სამ დიდ ჯგუფად, ესაა: ფრაზეოლოგიური შენაზარდები (*Фразеологические сращения*)²⁹, ფრაზეოლოგიური მთლიანობები (*Фразеологические единства*) და ფრაზეოლოგიური შესიტყვებები (*Фразеологические сочетания*).

ავტორის აზრით³⁰, ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში ადვილად გამოიყოფა აბსოლუტურად დაუშლელი შესიტყვებათა ტიპები, რომელთა მნიშვნელობა არაა დამოკიდებული კომპონენტების მნიშვნელობაზე. ასეთი ერთეულები იწოდება ფრაზეოლოგიური შენაზარდები: მაგ., რუს. *собаку съел, попал в просак, сидеть на собах, бить баклуши...* (ქართ. ჩაილურის წყალი დალია, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა, თვალს წყალი დააღვინა და სხვ.). ავტორი ვერ ხედავს ვერაფრითარ კავშირს, თვით პოტენციალურსაც კი, გამოთქმის ზოგადსა და პირდაპირ მნიშვნელობას პოარის. როდესაც შენაზარდი ღღერს ცალკე მდგომი თავისუფალი მესიტყვების მსგავსად, ეს დამთხვევა მიიჩნევა წმინდა ომონიმური ხასიათისად.

²⁷ А. А. Реформатский, Введение в языкознание, М., 1955, გვ. 96.

²⁸ მართალია, ზოგიერთი ნიშანი ფრაზეოლოგიზმისთვის სავეფიკურია (გადატანითობა, სიკრუე), მაგრამ აუცილებლად სხვა ნიშნებთან კავშირში. დაწერილებით ქვემოთ.

²⁹ რუს. Сращения-ა ქართული შესატყვისებიდან—შენაზარდი, შეხორცება. ჩვენ პირველს ვუძევრთ მხარს. შენაზარდს ხმარობს აგრეთვე ქ. კანდელაკი თავის დისერტაციაში. ა. ონიანს შეხორცება აქვს ნახსარი.

³⁰ აქ ავტორის თვალსაზრისი გადმოცემულია წიგნის ნიხედვით: Русский язык, 1947, გვ. 21—28.

შენაზარდების ჯგუფში მოქცეულ ერთეულთათვის ზოგჯერ დამახასიათებელია ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები. მაგრამ ეს არაა არსებითი. იგი გამოთქმათა მცირე ჯგუფში გვხვდება.

ავტორის აზრით, მთავარია გამოთქმის სემანტიკური და უშლელობა, აბსოლუტური გამოუყვანლობა მთელის მნიშვნელობისა კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან, შენაზარდის აღიარება სემანტიკურ მთელად, სიტყვის ტოლფარდად, რომელსაც დაკარგული აქვს შინაგანი ფორმა. მათ ვ. ვ. ვინოგრადოვი უწოდებს თანამედროვე ენის თვალსაზრისით ამორფული ლექსიკური ნაწილების ქიმიურ ნაერთს³¹ (მაგ., *как пить дать, из рук вон*). ამას ადასტურებს სახელწოდებაც — შენაზარდი.

როდესაც ამ სემანტიკური ნაერთის ნაწილებს შორის შენარჩუნებულია შინაგანი გრამატიკული საზღვრები, ეს მიჩნეულია სიტყვათშეკავშირების ოდესღაც მოქმედი ლექსიკური თავისუფლების გადმონაშთად.

აღსანიშნავია, რომ ვ. ვ. ვინოგრადოვს მხოლოდ ეს მყარი გამოთქმები მიაჩნია იდიომებად.

იდიომებთან (resp. ფრაზეოლოგიურ შენაზარდებთან) ახლოს დგას, ავტორის აზრით, მეორე დიდი ჯგუფი ხატოვანი გამოთქმებისა, რომლებსაც იგი ფრაზეოლოგიურ მთლიანობებს უწოდებს. „თუ მკიდრო ფრაზეოლოგიურ ჯგუფში შენარჩუნებულია კომპონენტების გამოყოფის თუნდაც სუსტი ნიშნები, თუ გვაქვს თუნდაც ყრუ მინიშნება საერთო მნიშვნელობის მოტივაციაზე, ფრაზეოლოგიურ შენაზარდზე ლაპარაკი უკვე აღარ შეიძლება“³². მაგ., რუს. *держат камень за пазухой, выносить сор из избы, плясать под чужую дудку, без ножа зарезать...* (ქართ. კბილი დაასო, სახე ჩამოსტირის, ტუჩებზე დედის რძე არ შეშრობია და სხვ.). აქ ზოგადი მნიშვნელობა დაკავშირებულია კომპონენტების პირდაპირ მნიშვნელობათა შეგრძნებასთან, მათს „პოტენციურ აზრთან“³³.

როგორც ვხედავთ, ამ ჯგუფის ძირითადი მასისათვის დამახასიათებელია ხატოვნება. მათ ამოსავალშივე აქვთ „პოტენციური“ ხატოვნების უნარი. ავტორს ფრაზეოლოგიური მთლიანობანი არ მიაჩნია „განუყოფელი ელემენტების გაყინულ მასად“³⁴. იგი გა-

³¹ В. В. Виноградов, Русский язык, გვ. 22—23.

³² იქვე, გვ. 24.

³³ იქვე.

³⁴ იქვე.

ხაზავს შენაზარდებთან შედარებით მათს გრამატიკულ-ლექსიკურ მოდულაციას — დასაშვებად თვლის წვერების შეცვლას ან მათ შორის სხვა სიტყვნის ჩასმას.

ფრაზეოლოგიურ მთლიანობათა გვერდით გაზოდიან შედარებით ანალიზური ტიპის შესიტყვენანი, რომლებშიც კომპონენტების ინდივიდუალობა კი არ ინთქმება თელის ნნიშნელობით, არამედ განისაზღვრება შედარებით გაზოკვეთილად, თუქცა, ცხადია, თავისუფლად არ ჩაითვლება. ეს ე. წ. ფრაზეოლოგიური შესიტყვენებია: რუს. *страх берет, тоска берет; она в ярость* (ქართ. ფიცს დებს, სირცხვილი ქამა, მოთმინება დაკარგა). მათი კომპონენტების ურთიერთკავშირის შემოფარგვლაზე გავლენას ვერ ახდენს თვით აღსანიშნი სავნების ან მოვლენების ლოგიკური ბუნება — ეს შემოფარგვლა განპირობებულია ენის სიტყვიერ ნნიშნელობათა კანონებით. მაგ., ნაშობთ: *щекотливый вопрос, щекотливое положение*, მაგრამ ვერ ვიტყვი: *щекотливая мысль*²⁵.

ავტორის აზრით, ასეთი გამოთქმები წარმოიქმნებიან არათავისუფალი, სიტყვის ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული ნნიშნელობის რეალიზაციით (გამოთქმაში *взял слово* ზმნის *взял* ნნიშნელობა ფრაზეოლოგიურადაა დაკავშირებული მეორე კომპონენტთან).

ასეთია ე. ვ. ვინოგრადოვის საწვევროვანი კლასიფიკაცია. რომელიც ძირითადად ეყრდნობა სემანტიკურ პრინციპს. აქ წინ არის წამოწეული ნნიშნელობითი მხარე, მთელის ნნიშნელობის დამოკიდებულება კომპონენტების ნნიშნელობასთან, რაც სავსებით განართლებული ჩანს ფრაზეოლოგიზმების მიმართ.

ამით აიხსნება, რომ ავტორები ხშირად სიტყვისიტყვით იმეორებენ აღნიშნულ დაყოფას, ხელუხლებლად გადააქვთ იგი სხვა ენის მასალის მიმართაც.

მაგრამ არის კი იგი სავსებით მისაღები? ჩვენ ვეთანხმებით ზოგიერთი მკვლევარის აზრს, რომ აღნიშნული კლასიფიკაცია გადასინჯავსა და კორექტივის ზოიხზავს. ჩვენი შენიშვნები ძირითადად ორ საკითხს ეხება: ფრაზეოლოგიაში მოსაქცევი მასალის დაზუსტებასა და იმას, თუ რაზღენად ზართეულია ამ მასალის სამჯგუფად დაყოფა.

²⁵ В. В. Виноградов, Русский язык, გვ. 26.

1) ვ. ვ. ვინოგრადოვის აზრი არსებითად სწორია ფრაზეოლოგიის საზღვრების დადგენის თაობაზე. მაგრამ ხანდახან ავტორის ფრაზეოლოგიაში შეაქვს გამოთქმები, რომლებსაც მასთან არაფერი აქვთ საერთო. განსაკუთრებით ეს ითქმის შენაზარდა და მთლიანობათა ჯგუფზე. მაგ., მას შენაზარდად ზიანია გრამატიკულად უმოტივაციო ტიპის გამოთქმები: *так себе, куда ни шло, была не была, то и дело, хоть куда*, რომლებიც საკმაოდ შორს დგანან ფრაზეოლოგიისაგან³⁶. აქვე შემოაქვს გამოთქმა *и никаких*, წარმოშობილი კონტექსტისგან მოწყვეტით. ასევე შენაზარდადა გაგებული ძახილის, მისალმებისა და გამომშვიდობების ფორმულები მათი ფუნქციის შეცვლის გამო.

ასეთი ვითარება მეტად ფართოდ აღებული ორიენტაციის შედეგია. შენაზარდად მიჩნევა ყველა შესიტყვებისა, რომლებიც აზრობრივად დაუსულელია, გაუმართლებელი ჩანს.

კიდევ მეტი არეულობა შეიმჩნევა ფრაზეოლოგიურ მთლიანობათა ჯგუფში. აქ მოქცეულია ისეთი სასაუბრო-ფამილარული გამოთქმები, როგორიცაა: *чего извольте; хорошенького по-мемножку; жирно будет; и дешево, и сердито*.

გარდა ხატოვანი გამოთქმებისა, ავტორი მთლიანობებში აქცევს ფრაზეოლოგიურ შტამებს და მედვენილ ტერმინებს, რომელთაც ექსპრესიულობა არ ახასიათებს. ამავე დროს „ნამდვილ“ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს არასწორად ანაწილებს — ერთი ჯგუფისა შეაქვს მეორეში და პირიქით. მაგ., *замерить червячка*-ს აკუთვნებს შენაზარდას, როდესაც იგი, მისივე პრინციპით, მთლიანობებს უნდა აკუთვნოდეს³⁷.

ეს ნიშნავს, რომ ფრაზეოლოგიის საზღვრები ჯერ კიდევ მოძირავი და დაუსუსტებელია.

2) ზოგიერთ ლინგვისტს არასაკმარისად ეჩვენება ფრაზეოლოგიური შენაზარდისა და მთლიანობის გასამიჯნავად მოყვანილი საბუთები.

³⁶ В. В. Виноградов, *ხენ. ნაშრ.*, გვ. 23.

³⁷ ასეთი რამ მოადით სხვა ავტორებსაც. მაგ., სრულიად მოულოდნელად რ. ბუდაგოვის გამოთქმა *на широкую ногу* შეაქვს ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში, *вздор молоть* კი — შენაზარდადში (*Введение в науку о языке*, М., 1958, გვ. 100 — 104). უნდა ყოფილიყო პირიქით. აგრეთვე ს. ოქეგოვის *лопнуть со смеху*. უნდა ყოფილიყო *терпение лопнуло* მთლიანობებში შეაქვს (ორივე ფრაზეოლოგიური შესიტყვება! — ა. თ.).

ვ. ვ. ვინოგრადოვისავე აღიარებით, მათ აქვთ ორი ისეთი ნიშანი, რაც მათ მსგავსებაზე მეტყველებს:

ორივე წარმოდგენს შესიტყვების ფორმის მქონე მყარ ერთეულს და ორივე სიტყვის ეკვივალენტია (შდრ. შენაზარდი კაკას ხიდი გაიარა „დაიქარგა“ და მთლიანობა თავი მოაქვს „ამაყობს“).

ამევე დროს არც ერთის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების პირდაპირ მნიშვნელობათა ჯამს (შდრ. შენაზარდი კაცი და ხელი და გიდგება და მთლიანობა ენას კბილი და აქირე).

თვით ის ნიშნებიც კი, რომლებიც მათ განმასხვავებლადაა წარმოდგენილი, ვერ გამოდგება ამ დანიშნულებით:

1. ძირითადი განსხვავება, რომელსაც ვ. ვ. ვინოგრადოვი მათ შორის ხედავს, ესაა შენაზარდში ხატოვნების არარსებობა. ამ აზრს სხვებიც იზიარებენ. მიზეზად მიაჩნიათ თანამედროვე ენაში შენაზარდისათვის იმ ორპლანიანობის (*двуплановость*) არქონა, რაც მთლიანობას აქვს²⁸ (შდრ. თავი დასდო „ემსხვერპლა“ — მთლიანობა და თავი დასდო — თავისუფალი შესიტყვება).

მაგრამ ხატოვნების მიხედვით შენაზარდისა და მთლიანობის გათიშვას წინ ეღობება ორი ფაქტორი:

ა) დასტურდება ბევრი ფრაზეოლოგიური მთლიანობა, რომელთაც ამოსავლად თავისუფალი შესიტყვება არ გააჩნიათ, ხატოვნება კი აქვთ: წყალს ნაყავს, კუდი ეწვის, შვიდი პარასკევი აქვს, ჩიტის რძე... მათ მიემატება ბიბლიაში ნახმარი მთლიანობებიც: *капля в море, метать бисер перед свиньями...*, რომელთა წარმოშობი წყარო მივიწყებულია.

ბ) რაც მთავარია, თვით შენაზარდები თავისი წარმოშობით ხატოვანი ერთეულებია. მათაც ჰქონდათ მთლიანობისებური ორპლანიანობა. ცხადია, არსებობდა გამოთქმა კაკას ხიდი გაიარა თავისუფალი შესიტყვების სახითაც. ამოსავალი დაიქარგა, „ხედნაშენი“ შემოგვრჩა, რომელშიც, რა თქმა უნდა, მიიჩქმალა, მაგრამ მთლიანად არ მივიწყებულა ხატოვნების ელემენტი.

2. ხატოვნების მიჩქმალვასთან მჭიდროდაა დაკავშირებული შენაზარდის მნიშვნელობის მოტივაციის დაბნელება. ვ. ვ. ვინოგრადოვის აზრით, მთლიანობის ზოგადი მნიშვნელობა კომპონენტების სემანტიკური კავშირიდან „პოტენციალურად“ გამოიყვანება. მაგ., თვით კომპონენტებში ჩანს გამოთქმის ლელო გაიტანას

²⁸ В. С. Виноградов, Фразеологические гочетания, გვ. 45.

მნიშვნელობის გადატანის საბუძველი. შენაზარდი კი თითქოს ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია. გამოთქმის ჩაილურის წყალი დალია'ს ზოგად მნიშვნელობაში („დავიწყებას მიეცა“) არ არის არავითარი კავშირი, პოტენციალურიც კი, მისი კომპონენტების მნიშვნელობასთან. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი კავშირი არ ყოფილა. ცნობილია, რომ შენაზარდიც თავის დროზე მოტივირებული იყო. უნეტეს მათგანს გავლილი აქვს ფრაზეოლოგიური მთლიანობის ორპლანიანობის გზა. ცხადია, არსებობდა ის რეალური საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც მოხდა შესიტყვების მეტაფორული გადაზრება, ოღონდ დროთა განმავლობაში ამოსავალ მომენტსა და შენაძენ გაგებას შორის კავშირი გაწყდა. ამ კავშირის აღდგენა შემდგომი კვლევა-ძიების საქმეა.

მაშასადამე, არ შეიძლება მოვლენა, რომელიც დღესდღეობით შეუსწავლელია და დაუზუსტებელი, დავაცილოთ მსგავს მოვლენას, რომლის შესახებ დღეს მეტი ცოდნა მოგვეპოვება.

როგორც ვხედავთ, შენაზარდისა და მთლიანობის დაცალკეებას ხელოვნური ხასიათი ჰქონია. მათი განთიშავი „ლაკმუსის ქაღალდი“ ჯერჯერობით არც ჩანს და არცაა საჭირო¹⁹. საყურადღებოა, რომ ამ ბოლო ხანებში თვით ვ. ვ. ვინოგრადოვიც ვერ ხედავს მათ შორის დიდ სხვაობას. მისი აზრით, ფრაზეოლოგიურ შენაზარდსა და მთლიანობასთან საქმე გვაქვს არა როგორც სხვადასხვა მოვლენასთან, არამედ როგორც ერთი და იმავე მოვლენის განვითარების სხვადასხვა საფეხურთან.

ამდენად, სამართლიანია მოთხოვნა გაერთიანდეს მყარი შესიტყვების ეს ორი ტიპი და მათ იდიომი ეწოდოს²⁰.

ამაზე დაყრდნობით მთელი ფრაზეოლოგია წარმოგვიდგება ორ ჯგუფად: ერთია — იდიომები, მეორე — ფრაზეოლოგიური შესიტყვებები.

¹⁹ В. С. Виноградов, Фразеологические сочетания, გვ. 8.

²⁰ ამასთან დაკავშირებით წყდება ტერმინ „ფრაზეოლოგიზმისა“ და „იდიომის“ დამოკიდებულების საკითხიც. ისინი თავიანთი შინაარსით ორჯანულ კავშირში არიან ერთმანეთთან. ამასთან, ფრაზეოლოგიზმის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე იდიომისა. პირველი მოიცავს მეორეს.

ილიოზი

რას მინეული ილიომის სპეციფიკად

* სსეაღასხეა მკვლევარს ილიომის სპეციფიკის განმსაზღვრელად შემდეგი ნიშნები წიაჩნია:

სიტყვათა წყობის მუდმივი რიგი; ამა თუ იმ კომპონენტის სინონიმით შეცვლის შეუძლებლობა; შეზღვეული კომპონენტის ამოკლების ან ახალი კომპონენტის ჩართვის შეუძლებლობა; გრამატიკული და ლექსიკური არქაიზმების დაცვა; ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის უქონლობა.

განვიხილოთ ცალ-ცალკე, რამდენად მიზანშეწონილია მათი სპეციფიკურ ნიშნებად დასახელება.

1. სიტყვათა წყობის მუდმივი რიგი

ერთი შეხედვით შეუძლებელი ჩანს ილიომის სიტყვათა წყობის მუდმივი რიგის დარღვევა: გულზე ცეცხლი ეკიდება, მდულარეში ფეხი ჩაკრა, ქურში ზის, უყარე კაკალი (არ ვამბობთ: კაკალი უყარე, ზის ქურში). სიტყვათა რიგის სიმტკიცეს ხსნიან სემანტიკური მონოლითურობითა და ტრადიციული გაფორმებით.

მაგრამ ეს ნიშანი აბსოლუტური ხასიათისა არაა. გვაქვს სიტყვათა რიგის ცვლის შემთხვევებიც: გული მოუვიდა || მოუვიდა გული, ენას კბილი დააჭირე || დააჭირე ენას კბილი.

ზოგი ავტორი ამ გადაადგილებას შემთხვევით ფაქტად თვლის. კომპონენტების შებრუნებული რიგი შეიძლება აფხნათ ან განსაკუთრებული სტილისტიკური დავალებით, ანდა ზეპირმეტყველების ექსპრესიული არალოგიკურობით⁴¹.

ასეთი აზრი გამართლებული არაა. გ. დემენტიევასვე თქმით, „მოვლენების დიალექტიკა შესაძლებელს ხდის სიტყვათა რიგის შეცვლასაც და ჩართვასაც“⁴².

⁴¹ Г. Я. Деметьев, Семантико-стилистические особенности фразеологических выражений, Алма-Ата, 1955, გვ. 155—156 (საკანდიდურ).

⁴² იქვე, გვ. 170.

სიტყვათა რიგის ცვლის ზიხედვით ყოველი ენის ფრაზეოლოგიზმები განსხვავებული ხასიათისაა — დამოკიდებულია ამა თუ იმ ენის ანალიზურ თუ სინთეზურ ბუნებაზე. ცხადია, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ფრაზეოლოგიზმებში სიტყვათა რიგი მყარია, რამდენადაც იქ თავისუფალი შესიტყვებაც გარკვეულ თანამიმდევრობას ემორჩილება: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება. ქართულში კი, როგორც ვთქვით, სიტყვათა რიგის თავისუფლება გვაქვს. ის განსაზღვრული წყობა, რომელსაც მაინც იცავს ქართული, იდიომის ბუნებიდან კი არ გამოძინარეობს, არამედ თვით ენის ტენდენციიდან — გარკვეული თანამიმდევრობა დაიცვას შესიტყვებაში. მაგ., ქართულში ფრაზეოლოგიზმი თავისუფალი შესიტყვების მსგავსად ზმნა-შემასმენელს ბოლოში აქცევს: გული მოუღბო, წყალი შეუყენა, ოქროში ჩასვა, გზა მისცა... რუსულში კი ზმნა, ძირითადად, დამატების წინაა: *протянула руку, выносить сор из избы, точить лясы...*

2. კომპონენტების სინონიმებით შეცვლის შეუძლებლობა

იდიომის დაუშლელი გამობატულებად თვლიან აგრეთვე მისი წევრების შეცვლის შეუძლებლობას. „სინონიმის ჩასმა ან სიტყვის შეცვლა, რომელიც ფრაზის სემანტიკურ საფუძველს წარმოადგენს, შეუძლებელია ფრაზეოლოგიური მთლიანობის ხატოვანი ან ექსპრესიული აზრის მთლიანი დარღვევის გარეშე“⁴².

იჩვენება, რომ არც ეს ნიშანია აბსოლუტური. ამ მხრივ თავისუფლება შეიმჩნევა ქართულში. შესაძლებელი ხდება ბევრი გამოთქმის „მყარ“ წყობაში ცვლილებების შეტანა: ენა წინ უსწრებს || ენა წინ გაურბის, ქანცი გაუწყდა || ქანცი გამოელია, თავზე დაისვა || დილექტ. თავზე დაიჯინა, თვალში ხედება || თვალში ეცემა, თავს იმტვრევს || თავს იტეხს, თავი აიშვა || თავი აიწყვიტა, დეხი დააჭირა || დეხი დაადგა⁴³.

ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში მხოლოდ ზმნური კომპონენტებია შენაცვლებული. არის შემთხვევები, როდესაც თვით სე-

⁴² В. В. Виноградов, Русский язык, гл. 24. სინონიმური მონაცვლეობა დასაშვებად მიაჩნდათ მხოლოდ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში მათი ნაკლებ სინთეზური წყობის გამო: შიში ქამა || შიში იწვნია, სიჩუმე ჩამოვარდა || სიჩუმე გამეფდა, საკითხი წამოიჭრა || საკითხი დაისვა || საკითხი დაიბადა, ფიცს დებს || პირფხას დებს...

⁴³ აღნიშნული მოვლენა ძალიან მკირე მასშტაბით გამოხატულია რუსულში: класть || положить зубы на полку, выставить || пригвоздить к позорному столбу...

მანტიკურ დუძესაც ეძებნება კორელატი და ამით გამოთქმის მხატვრული სახე არ ირღვევა: ფეხს | მოიტებს || კისერს მოიტებს, თავს მკრის || კისერს მკრის, კუდი ეწვის || პირი ეწვის || ზურგი ეწვის, მაგარი წელი აქვს || მაგარი ზურგი აქვს, ფეხს ითრევს || წელს ითრევს, გულზე სკდება || გურ. კიპზე სკდება...

ამდენად, სადუძეველს მოკლებული ჩანს მტკიცება, რომ იდიომებში „სემანტიკური ფუძე არ შეიცვლება სინონიმით“⁴⁵.

სადავოა ა. ონიანის აზრიც, რითქოს ეს მოვლენა მეტყველებაში სიახლის შეტანის შემთხვევებით ამოიწურებოდეს, ან მხოლოდ მეტყველების დაუდევრობის შედეგი იყოს. ანაფე დროს, ვერ დავეთანხმებით ავტორს, თითქოს ასეთი სინონიმი იდიომები ენაში დიდხანს ვერ ძლებენ⁴⁶.

ჯერ ერთი, არაზუსტია მათთვის სინონიმი იდიომების სახელის მიკუთვნება. ეს არაა ისეთი სხვადასხვა წარმოშობის გამოთქმები. რომლებიც ერთ აზრს გამოხატავენ, როგორცაა, მაგ., წერილი და წერა || სული განუტევა || მარილზე წავიდა || ჭირი წაიღო || ფეხები გაფშოკა. სინამდვილეში მათ ერთი ამოსავალი აქვთ და განსხვავდებიან თითო კომპონენტით: ქანცი გაუწყდა || ქანცი გამოელა — ესაა ერთი გამოთქმის ორი განსხვავებული სახე. ა. კუნინი მათ ლექსიკურ და გრამატიკულ სინონიმებს უწოდებს⁴⁷. უფრო მიზანშეწონილი იქნება მათ ფრაზეოლოგიური სინონიმებისაგან განსხვავებით ფრაზეოლოგიური ვარიანტები ეწოდოს⁴⁸.

მეორეცაადა. არა გვაქვს საფუძველი ამ ფრაზეოლოგიური ვარიანტების არსებობაში ეჭვი შევიტანოთ. რა ნიშნის მიხედვით შეგვიძლია ვამსჯელათ წყვილთა შემდეგი წევრების ენაში დარჩენის თუ დაკარგვის შესახებ? — ფეხი მოიტეხა || ფეხი მოიტეხრია, გული გაუხსნა || გული გადაუშალა, ცეხი გადაუბრუნდა || ფეხი გადაუტრიალდა, თმა ყალყზე წაუწვიდა || თმა ყალყზე დაუდგა, გულთან არ მიიტანს || გულთან არ მიიკარებს.

⁴⁵ ქ. კანდელაკი, ინგლისური მეტაფორული იდიომები, გვ. 53.

⁴⁶ ა. ონიანი, ქართულ-საბანგო იდიომატიკა, გვ. 29.

⁴⁷ А. В. Кунин. Англ.-русский фразеологический словарь. М., 1955, გვ. 1444 და შემდეგ.

⁴⁸ როგორც ეს ესმის გ. დემენტოვას (Семантико-стилистические особенности фразеологических выражений, გვ. 366); იხ. აგრეთვე Н. А. Азарх. Фразеологические единицы в современном английском языке: Иностранные языки в школе, 1956, № 6, გვ. 24.

ჩენი აზრით, საკითხი ასე არც უნდა დაისვას. თუ დაის-
მოდა, მაშინ ექვს დაბადებდა სიტყვის სინონიმების არსებობის
საკითხიც.

მაშასადამე, ის კი არ უნდა ვარკვიოთ, რომელი სინონიმ-
თაგანი შემორჩება ენას, არამედ ის, თუ რა ქმნის ამ სინონიმური
ვარიანტების შესაძლებლობას ქართულში: სხვადასხვა დიალექტუ-
რი მასალაა, ძველი და ახალი ქართულის მონაცემებია, სხვა ენის
გავლენაა თუ არამართებულ (მკლარ) შენაცვლებასთან გვაქვს
საქმე.

3. იდიომის რყეუქცია და გავრცობის შეუქლებლობა

შეუქლებლად მიაჩნიათ იდიომის შემდგენელი კომპონენტე-
ბის ამოგდება ან ჩაბატება. ა. ონიანის აზრით, ასეთი პროცესი
აუცილებლად იწვევს იდიომის დაშლას. ავტორს ამის მტკიცებუ-
სათვის ხელს არ უშლის ისეთი ერთეულების არსებობა, როგორი-
ცაა ტყავის გაძრობა და კუდამდე ტყავის გაძრობა,
რომლებსაც იგი ექსპრესიული ელფერით განსხვავებულ, პარალე-
ლურად არსებულ სხვადასხვა იდიომად თვლის⁴⁹.

ამ შემთხვევაშიც იგივე მდგომარეობაა, როგორც სინონიმე-
ბად წოდებულ იდიომებთან. ტყავის გაძრობა და კუდამდე
ტყავის გაძრობა არ უნდა იყოს დამოუკიდებლად ჩასახული
გამოთქმები: ერთი მეორის ამოსაყალი ვარიანტი ჩანს. მსგავსი
შემთხვევები მრავლად დაიძებნება ქართულში: გულია ჯავრი
იყარა → ჯავრი იყარა, თავისი ნათქვამი გაიტანა →
→ თავისი გაიტანა, ენა მუცელში ჩაუვარდა → ენა
ჩაუვარდა, პირში ბურთი ჩაჩარა → ბურთი ჩაჩარა,
გულში ჯავრი ჩარჩა → ჯავრი ჩარჩა, თავში ხელს
იციმს → თავში იციმს || ხელს იციმს...

უფრო მეტიც: ხშირად რამდენიმე ელემენტის ამოგდებაც კი
მხატვრული სახის დარღვევას არ იწვევს. „იდიომის ექსპრესიული
ხმარების დროს, თუ ამის საშუალებას იძლევა სინტაქსური პირო-
ბები, მისი საყრდენი ნაწილი შეიძლება გაუთანაბრდეს მთელს და
გამოვიდეს მთელის მნიშვნელობით. ფრაზეოლოგიურმა შენაზარდ-
მა (აქ იდიომი. — ა. თ.) შეიძლება ერთიმეორეზე მიყოლებით უმ-
ტკივნეულოდ დაკარგოს თავისი ნაწილები“⁵⁰.

⁴⁹ ა. ონიანი, ქართულ-სვანური იდიომატიკა, გვ. 58—59.

⁵⁰ В. В. Виноградов, Об основных типах фразеологических единиц, гл. 348.

გარდა მეორეხარისხოვანი კომპონენტების ჩავარდნისა, არის შემთხვევები, რომ შემასწენლური ფრაზეოლოგიზმი უშემასწენლოდ წარმოგედგეს: წითელი ხაზივით გასდევს → წითელი ხაზი, თავში ქვა უხლიათ → თავში ქვა (შდრ. მუცელში საძარტებელი), ასი ყური გამოიბი → ასი ყური. რუს. მაგალითები: *дешевле пареной репы* → *пареная репа, валить через пень колоду* → *через пень колоду*...

ასეთ შემთხვევაში ფრაზეოლოგიზმები, მართალია, ძირითადად კარგავენ ზმნურობას, მაგრამ არის ზმნის მოწვევლებით იძენენ სახელადი შემასწენლის ფუნქციას: დიდი გული მიეცა → დიდ გულზეა, ე. ი. ჩავარდნილი ზმნის კონსტრუქციულ-გრამატიკულ თვისებებს იძენს არაზმნური ნაწილი და წინანდლურად გადმოსცემს ფრაზეოლოგიზმის იდეას. მაგრამ ეს მოსახერხებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ფრაზეოლოგიზმში მინიმუმ სამი წევრი მაინცაა. ორწევრა გამოთქმებში ერთი წევრის ჩავარდნისას ფრაზეოლოგიურ ერთეულს სპეციფიკა — შინაიტყვების ფორმა — ეკარგება და გადადის მეტაჟორულ სიტყვათა რიგში: უქრის ← თავში უქრის, ეცა ← პირში ეცა, არ დაუჯდა ← ჰქუაში არ დაუჯდა, აფრენს ← ოფოფებს | მწყრებს აფრენს, დაარტყა ← თავში დაარტყა; რუს. მაგალ., *по шапке* ← *получить по шапке, по шее* ← *дать по шее*⁸¹.

რამდენადაც ექვს არ იწვევს იდიომის რედუქციების შემთხვევები, იმდენად მოულოდნელად მიიზნევენ მისი შემადგენელი კომპონენტების გავრცობას. მაგრამ ეს პროცესიც იდიომისთვის სრულიად უცხო არ უნდა იყოს. უწინარეს ყოვლისა, უნდა დავუშვათ ერთი რამ: რაკი ფრაზეოლოგიზმის რედუქცია შესაძლებელია, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს მისი გავრცობაც.

მართლაც. გვაქვს მცირე (მაგრამ მაინც გვაქვს!) შემთხვევები, როდესაც იდიომის ამოსავალი მოდელი გავრცობილია: წელი აქვს → მაგარი წელი აქვს, ფეხზე დააყენა → ფეხზე მაგრად დააყენა, ფეხი სამარეში უდგას → ცალი ფეხი სამარეში უდგას, თავი ავიტკივო → აუტკივარი თავი ავიტკივო...

⁸¹ აღსანიშნავია, რომ რედუქციას არ განიცდიან ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი, თე მხედველობაში არ მივიღებთ იხა, რომ მათ გააჩნიათ ეკვივალენტი მარტივი ზნის სახით: ფიც დებს — ფიცავს, ლაპარაკი ჩამოაგდო — ილაპარაკა.

მაგრამ ძნელია კატეგორიულად ამტკიცოს კაცმა, რომ იდიომის შესაძლებელი სინონიმური წყვილიდან (გაერცობილი და რედუცირებული) ყოველთვის გაერცობილია ამოსავალი. არ ჩანს გარკვევით, გ უ ლ ი ს ჯ ა ვ რ ი ი ყ ა რ ა ი დ ლ ე ვ ა ჯ ა ვ რ ი ი ყ ა რ ა ო ს თ უ პ ი რ ი ქ ი თ . ფ ა ქ ტ ი ის ა ა , რომ ამოსავალი მოდელის ცვლა ხან გამარტივებისაკენ ისწრაფვის და ხანაც გართულებისაკენ.

4. გრამატიკული და ლექსიკური არქაიზმების დაცვა

იდიომისათვის უცხო არაა ძველი სინტაქსური კონსტრუქციები და არქაული მორფოლოგიური ფორმები. ცხადია, თუ ენის სხვა სფეროში ხდება ძველი ელემენტების შენარჩუნება, ეს მით უმეტეს უნდა იყოს ფრაზეოლოგიაში. ამ მხრივ საკმაოდ პროდუქტიულია რუსული: *смотрел в оба, ничтоже сумняшеся, спустя рукава...*

საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ფრაზეოლოგიზმების გრამატიკულ და ლექსიკურ არქაიზმებზე⁵². მისი აზრით, ენაში ძველი ელემენტების შემორჩენის ერთ-ერთ მოქმედ ფაქტორს წარმოადგენს ფრაზეოლოგიზაცია. ავტორი ერთმანეთს უდარებს მონათესავე ენათა იდიომებს და საყურადღებოდ ასაქვს გამოაქვს: „იგივეობრივი ფრაზეოლოგიზმების ჯგუფს ქმნიან ძირითადად ისინი; რომლებიც თავის სტრუქტურაში არქაულ ელემენტებს შეიცავენ და წარმოშობით შედარებით ძველ ერთეულებს წარმოადგენენ“⁵³.

მიუხედავად ამისა, არქაულ ელემენტებს ვერ ჩაეთვლით იდიომისთვის სპეციფიკურ ნიშნად. იდიომების უმრავლესობა თავისი აგებულებით არ განსხვავდება ენაში არსებულ თავისუფალ შესიტყვებათა მოდელისაგან. განსაკუთრებით ეს ითქმის ქართულის მიმართ, სადაც ლექსიკური არქაიზმების მხრივ ნაკლებობა არ იგრძნობა: ბო ლ თ ა ს ს ც ე მ ს , ა ბ უ ჩ ა დ ი გ დ ე ბ ს , მ ა რ ა ქ ა შ ი ე რ ე ვ ა⁵⁴, მაგრამ გრამატიკული არქაიზმები თითზე ჩამოსათვლელია: ა ღ ი გ ა ვ ა პ ი რ ი ს ა გ ა ნ მ ი წ ი ს ა , ყ უ რ ა დ ი ღ ო , ყ ბ ა დ ა ი ღ ო , ხ ე ლ თ ი გ დ ო , მ ი წ ა მ პ ი რ ი უ ყ ო .

⁵² Р. И. Понов, Грамматические архаизмы в устойчивых фразеологических единицах русского языка, Симферополь, 1956, гл. 471 (საკანდიდირტი).

⁵³ იქვე, გვ. 422.

⁵⁴ დაწვრილებით ქვემოთ.

ამრიგად, როგორც სწორად შენიშნავენ, „გრამატიკული (ისე როგორც ლექსიკური.—ა. თ.) არქაიზმები უმეტეს შემთხვევაში მხარს უჭერენ გამოთქმის იდიომატურობას, მაგრამ არ ქმნიან მას“⁵⁵.

5. გრამატიკული კატეგორიების მიჩქმალვა

გრამატიკული კლასიფიკაციის წარმომადგენლები ფრაზეოლოგიზმის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად თვლიან იმას, რომ მისი კომპონენტები ვერ ავლენენ რიგ გრამატიკულ კატეგორიას. მართლაც, იდიომები ხშირად არ იყენებენ სრულ პარადიგმას. ზმნური ელემენტი ხშირად იზღუდება ფორმათწარმოების შესაძლებლობებით. ამის მიზეზია მისი ფრაზეოლოგიურად დაბზულ კონტექსტებში წარმოდგენა.

უწინარეს ყოვლისა, გვხვდება ზმნები განსაზღვრული პირის ფორმით: მაგ., მესამე პირში: მარ ილის მოსატანად წავიდა, კაკას ხიდი გაიარა... მეორე პირით: ყურებზე ხახვი არ დამაჭრა, თვალთან თითს ვერ მიიტან. დასტურდება იდიომები, რომლებშიც ზმნა „გაქვევებულია“ I სერის მწკრივებში: სულს დაფავეს, მკლავი უჭრიდა, თავვი კუდს ვერ მოიქნევს. გვაქვს წარსულდროიანი ფორმებიც: სული ჩაუდგა, პირზე რძე არ შეშრობია.

იდიომის სახელადი ნაწილი ძირითადად აჩვენებს რომელიმე რიცხვის ფორმას, განსაკუთრებით მხოლოობითისას: ფეხი გადაუბრუნდა, თვალეცა, მათარახი გადაჭკრა.

ასეთი ვითარება იყო ინიზი იმისა, რომ ზოგიერთმა ენათმეცნიერმა უკუაგდო სემანტიკური პრინციპი და წინა პლანზე წამოსწია გრამატიკული ნხარე: მაგ., ვ. ნიკიტიევიჩს *больное место* ფრაზეოლოგიზმად მიაჩნია, უწინარეს ყოვლისა, ინიტომ, რომ გაქვევებულია მხოლოობითი რიცხვის ფორმაში (არა გვაქვს *больные места*). რაც შეეხება *большая комната*-ს, აქ წარმოდგენილია სამივე კატეგორია — რიცხვი, სქესი, ბრუნვა, ამიტომ, გამოთქმა, ავტორის აზრით, თავისუფალ შესიტყვებად ჩაითვლებან⁵⁶.

⁵⁵ В. В. Виноградов, Русский язык, გვ. 22.

⁵⁶ В. М. Никитиевич. Лексико-грамматические отношения в словосочетаниях фразеологического типа в русском языке, მოხუენება

რომლებიც ამ იდიომის გარეშე არ იხმარება და ხშირად საესეებით გაუგებარია⁸⁸.

ფიქრობთ, მისაღებია შ. ბალის მიერ იდიომების შინაგანი და გარეგანი ნიშნების გამოიყენება, მაგრამ არაა გამართლებული ლექსიკური (ისე როგორც გრამატიკული) არქაიზმებისათვის არსებითი მნიშვნელობის მინიჭება.

იდიომის არსებითი ნიშნები

იდიომის განსაზღვრის კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს შემდეგი:

I. სემანტიკური ერთიანობა

იდიომზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, სემანტიკური მომენტი იქცევა ყურადღებას. იგი ავტორთა უმრავლესობის მიერ სამართლიანადაა გამოყოფილი განსაზღვრულ ფაქტორად. მართლაც, მთელი რიგი გამოთქმები ენაში ხასიათდება სემანტიკური მონოლითურობითა და სიშვარით: გული გადააყოლა, ხმა გაუვარდა, თავს ლაფი დაესხა, თავზე ქუდი ხურავს...

თავისუფალი შესიტყვებისაგან განსხვავებით, სადაც კომპონენტების შეკავშირება ძილვეა დანაწევრებულ გაგებას, აქ ერთი ზოგადი ცნება გამოიხატება: იდიომი წყალში ჩაყარა „უმადურობის“ და „უპასუხისმგებლობის“ იდეას გადმოსცემს, გული გაუქტოა „გამხნეებას“ აღნიშნავს, მტერი აღინა — „განადგურებას“ და სხვ. ამიტომაც, ყოველ მათგანს გააჩნია ერთსიტყვიანი ეკვივალენტი: გულზე ცეცხლი მოეკიდა „გამწარდა“, „გაბრაზდა“, სულს ხდის „ტანჯავს“, „აწვალებს“. თავს მოსჭრის „შეარცხენს“, თავს უხვევს „ატყუებს“⁸⁹.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იდიომის გაგება, როგორც სიტყვის ეკვივალენტისა, ორგანულადაა დაკავშირებული მის სინტაქსურ ფუნქციასთან.

⁸⁸ Ch. Bally. *Traité de stylistique française*, sec. éd., Heidelberg, 1921, გვ. 66—92.

⁸⁹ სწორედ ამ ნიშანს გულისხმობდა შ. ბალი შინაგან კრიტერიუმად, როდესაც საკიროდ მიიჩნევდა იმავე მნიშვნელობის მქონე ერთსიტყვიანი ტოლფარდი გამოთქმის მონახვას.

ზოგიერთს მიჩნია, რომ ფრაზეოლოგიზმის ყოველი კომპონენტი დამოუკიდებელ სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, გამოდის წინადადების რომელიმე წევრის როლში. *Наташа вышла замуж* აქ *вышла* განიხილებოდა როგორც შემასმენელი, *замуж* კი — გარემოება. ფრაზეოლოგიური ერთეული გაიგივებული იყო თავისუფალ შესიტყვებასთან. მის ყოველ წევრს ესმებოდა დამოუკიდებელი კითხვა: „ლუარსაბს პირს კატა ეცა“. ეცა რა? — კატა; ეცა რას? — პირს.

ასეთი ფორმალური მიდგომა დიდხანს იყო გავრცელებული და დღემდე არსებობს სასკოლო პრაქტიკაში. მსგავსი ანალიზით იწოდებოდა ფრაზეოლოგიზმის, როგორც განსაკუთრებული სემანტიკური ერთეულის, ბუნება.

საქმე ისაა, რომ იდიომის სემანტიკური დაუშლელობა ერთგვარ გამოვლენას პოულობს სინტაქსში: იდიომი გამოდის წინადადების ერთი წევრის როლში. გამოთქმა თვალში ეცემა მთლიანად წარმოადგენს შემასმენელს წინადადებაში: „დაკვირვებულ მკითხველს თვალში ეცემა ნაწარმოების ძირითადი იდეა“. აქ, თავისუფალი შესიტყვებისაგან განსხვავებით, სემანტიკურმა მონოლითურობამ სძლია სინტაქსურ დაშლადობას. ზმნასთან არსებული დამატება ან გარემოება ფორმალური ხასიათისაა. ისინი მასთან ერთად აღგენენ ე. წ. „ფრაზულ“ შემასმენელს. წინადადებაში: „ამის გამგონე დავითს მუხლი მოეკვეთა“ — კითხვები ასევე არ ნაწილდება: დავითს რა მოეკვეთა? არამედ მთლიანდება: დავითს რა მოუვიდა? — მუხლი მოეკვეთა.

ამასთან ერთად, სემანტიკურ დაუშლელობას ზოგჯერ მივყავართ გრამატიკული დაყოფის დასუსტებამდე და გაცვეთამდეც კი. მაგ., იდიომი ერთი ათად იქცა (მნიშვნელობით „მრავლად“) აწმყოში გადაყვანისას არ ავლენს გრამატიკულ კავშირთა შესაძლებლობას — გვაქვს ერთი ათად აქცევს (უნდა ყოფილიყო: ერთს ათად აქცევს). მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი „სოლიდარობა“ გრამატიკის მხრივ არ შეინიშნება.

ამასთან დაკავშირებით არ ვიზიარებთ მო'აზრებას, თითქოს სემანტიკურ დაუშლელობაში ივლისხმებოდეს სიტყვათა განსაზღვრული რიგი, მუდმივი ლექსიკური შემადგენლობა და სხვ.⁶⁹ ჯერ ერთი, აქ ჩამოთვლილ ნიშანთა უმრავლესობა გრამატიკული

⁶⁹ როგორც ეს ვსნის ს. ოქეგოქს. იბ. მისი, О структуре фразеологизма, გვ. 41.

ხასიათისაა. მეორეც, გრამატიკული ხასიათისაც რომ არ იყოს, მათი არქონის შემთხვევაშიც იდიომი სემანტიკურ სიმყარეს არ კარგავს. მაგ., გამოთქმა თმა ყალყზე წაუვიდა სიტყვათა რიგსაც იცვლის (წაუვიდა თმა ყალყზე) და ლექსიკურ შემადგენლობასაც (თმა ყალყზე დაუდგა), მაგრამ მისი სემანტიკური სახე უცვლელია. ასევე ვერას ვენებს იდიომის სემანტიკას მისი „გახლეჩა“ წინადადების სხვა წევრებით: „დასლო მან შეილების ბედნიერებისათვის თავი“.

ამდენად, დაუშლელიობის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ სწორედ იდიომის სემანტიკური მთლიანობა, ერთი ცნების გამოძახატველობა.

2. იდიომის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს

სემანტიკური დაუშლელიობის ნიშნიდან უშუალოდ გამომდინარეობს იდიომის მეორე თავისებურება — მისი მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს. გამოთქმას ბეწვე ჰკიდია აქვს ზოგადი აზრი: „საფრთხეშია“, „განსაცდელშია“. ასევე თვალში მოუვიდა „მოეწონა“. ჰურში ზის „უვიცია“, ყინულზე გააცურა „მოატყუა“, კვერი დაუქრა „დაემოწმა“ და სხვ. ეს ერთიანი აზრი დამოკიდებული არაა წევრების კონკრეტულ მნიშვნელობაზე. ზოგადისა და სიტყვისიტყვიითი მნიშვნელობის ასეთი დაპირება ახასიათებს იდიომების აბსოლუტურ უმრავლესობას და, ამდენად, მათ საერთო ნიშნად ჩაითვლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს დაიწყეს იდიომატურობის ნიშნის კრიტიკა. ო. ახმანოვას აზრით, ამ ნიშნის პირველი ნაკლი ისაა, რომ მისი სპეციფიკის გათვალისწინებით იდიომატური შეიძლება იყოს რთული სიტყვებიც, ფრაზეოლოგიზმებიცა და ანალიტიკური ფორმებიც¹. მეორე ნაკლად ითვლება ის, რომ არა ჩანს, რა უნდა ვიგულისხმოთ „ნაწილების მნიშვნელობებში“, ანუ ფრაზეოლოგიზმის დამოუკიდებელი ელემენტების მნიშვნელობებში².

იდიომატურობის კრიტერიუმს „ზოგადი“ ხასიათის მქონედ და განსაზღვრულობას მიკლენსულად თელის ს. ოეგოვიც³.

¹ О. С. Ахманова, Очерки по лексикологии, гл. 168.

² იქვე.

³ С. И. Ожегов, О структуре фразеологии, гл. 41.

რას ეწყარებიან ავტორები ამ ვტკიცებისას?

ო. ახმანოვა ილიოზის ძირითად ნიშნად ასახელებს მისი (ილიოზის) სინამდვილესთან შეფარდების ხასიათს. მისი აზრით, მთავარია არა ილიომატურობა, არამედ ის, რომ გრამატიკულად ცალკე გაფორმებული ეესიტყვება (აქ ილიოში.—ა. თ.) ფუნქციონალურად სიტყვის ეკვივალენტია — „საგანზე“ უშუალოდ მიემართება რთული წარმონაქმნი მთლიანად⁶⁴.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ნომინაციის მთლიანობა“ ჩრდილავს სტრუქტურულ დამოუკიდებლობას. მას გამოთქმა თეორიის სახლი (ლაპარაკია ანეროიკის პრეზიდენტის რეზიდენციაზე.—ა. თ.) ფრაზეოლოგიზმად მიიჩნია არა იმიტომ, რომ სახლი თეორია არაა ან სახლი არაა (თეორიაცა და სახლიცაა), არამედ იმიტომ, რომ დასახელებულ საგანზე მოცემული შესიტყვება უშუალოდ მიემართება, როგორც მთლიანი (შდრ. თავისუფალი შესიტყვება თეორიის სახლი)⁶⁵.

ამის კვალზე ავტორი ასკენის, რომ ილიოზის წარმოქმნის ძირითად გაზად ჩანს თავისუფალი შესიტყვების „გარდაქმნა“ სიტყვის „რთულ ეკვივალენტად“⁶⁶.

ასეუსავე კრიტიკიულს ეყრდნობა ს. ოყეგოვიც. ერთიანი-აზრის მიღებასა და სინტაქსურ კავშირთა დასაქსტებას იგი ილიოზისთვის არსებითად თვლის. „ამ თვალსაზრისით საკითხი ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობის გამოყვანისა თუ არგამოყვანის შესახებ კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან ხდება ნეოარხარისბოვანი“⁶⁷.

ვდიქრობთ, ილიომატურობის კრიტიკიული აქ არასამართლიანადაა უკუგდებული.

ცხადია, ავტორების მიერ წარმოდგენილი ნიშანი—სემანტიკური დაუნლელობა და სიტყვის ეკვივალენტურობა—არსებითია ილიოზის განსაზღვრისათვის. მას გვერდს არ ზვლის არც ერთი ლინგვისტი, რომელიც ილიომატურობის თეორიის მომხრეა. არც არავითარი დაბრკოლება იქმნება მათი ერთად წარმოდგენისათვის. პირიქით: ორივე ნიშანი ხელს უწყობს ერთმანეთის გამოვლენას.

⁶⁴ О. С. Ахманова, ხსენ. ნაშრ., გვ. 169.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ იქვე, გვ. 170.

⁶⁷ С. И. Ожегов, ხსენ. ნაშრ., გვ. 41.

მაშ, რატომ გაურბიან ამ უკანასკნელს?

ო. ახმანოვას აზრით, იდიომატური შეიძლება იყოს რთული სიტყვებიც. მართლაც, რიგ კომპოზიციებში, რომელსაც მეტაფორული ამოსავალი აქვს, მთელის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს: ქინძისთავი, ქირნახული, ფასდაუდებელი, ზნედაცემული... მაგრამ იდიომის იდიომატურობის გამო რთულ სიტყვასთან გაიგივების საშიშროება არ ახლავს. ამ გაიგივებას ხელს უშლის მათი გარეგანი გამოხატულება: რთული სიტყვა მაინც სიტყვაა, მთლიანგაფორმებულია: თავზე ხელადებული, გულწასული, იდიომი კი ფორმით შესიტყვებაა, ცალკე გაფორმებულია: ნიშადური ამოსცხო, ნაცარს ქექავეს (დაწვრილებით მათ დამოკიდებულებზე ქვემოთ).

ახლა დავუშვათ, რომ იდიომის განსაზღვრისას მხოლოდ ო. ახმანოვას ნიშანს დავყურდებით. მაშინ, იდიომად ჩათვლებოდა ყველა გამოთქმა, რომელიც პირდაპირი დასახელების პრინციპზეა აგებული. ფრაზეოლოგიაში უნდა ჩაგვეერთო ყველა რთული ტერმინი და დაწესებულების სახელწოდება, რომელთა სემანტიკურ პროფილს ნომინატიურიანა განსაზღვრავს: წითელი კუთხე-ნავი ზღვა, შავი ოქრო, ნიისსისტემა, შემნახველი საღარო, ქალაქის საბჭო (აგრორის მიერ იდიომად გამოცხადებული თეთრი სახლიც ამათ რიცხვს შეეკუთვნება.— ა. თ.). ასეთი ერთეულების საერთო აზრი მეტ-ნაკლებად დამოკიდებულია კანს. ნენსტენის მნიშვნელობათა ჯამზე.

ამგვარად, მხოლოდ აღნიშნული ნიშანი რომ იყოს დასაყრდენი, საშიშროებაა იმისა, რომ „ყოველი ასეთი შესიტყვება, როგორც სემანტიკურად მთლიანი გამოხატველი სინაქსისის მონაკვეთისა, შეიძლება გახდეს ფრაზეოლოგიური ერთეული“⁴⁸.

მაშ, რა გვიმლის ხელს, რომ ეს გამოთქმები ფრაზეოლოგიზებად არ მივიღოთ? აქ მარჯვედ მოჩანს იდიომატურობის კრიტერიუმი, მთელის მნიშვნელობასთან ნაწილების მნიშვნელობის შეფარდების ნიშანი. ორი გამოთქმიდან: თეთრი სახლი და დაბალი ღობე, რომლებიც სემანტიკურად დაუსულებლნი არიან და წარმოადგენენ სიტყვის ეკვივალენტებს, იდიომად ჩათვლება მხოლოდ მეორე, რომლის მნიშვნელობა არ უტოლდება კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს: დაბალი ღობე უფისაც ადვილად იბრყვებენ“.

⁴⁸ С. И. Ожегов, О структуре фразеологии, გვ. 40.

მაშასადამე, იდიომატურობის კრიტერიუმში „მარეგულირებელი“ ყოფილა. იგი ისევე არსებითი ჩანს, როგორც სემანტიკური მთლიანობის ნიშანი.

ჰ. ექსპრესიულობა — ხატოვნების აუცილებელი შედეგი

იდიომები ენაში მოკლებული არიან ნომინატიურ ფუნქციას — არასოდეს არ არიან ცნების ერთადერთი გამომხატველნი. მათი უშუალო დანიშნულებაა უკვე სახელდებული საგნისა თუ მოვლენის ექსპრესიული ნიშნით დახასიათება. როდესაც ვხმარობთ გამოთქმას თვალში მოუვიდა, ამით არც მეტი, არც ნაკლები, მოწონების უკვე ცნობილ ცნებას ხატოვნად გადმოვცენთ.

რა აძლევს გამოთქმას ექსპრესიულობას? — ის აუცილებელი ხატოვნება, რომელიც მას წითელი ზოლივით გასდევს. „ხატოვნება განაპირობებს გამოთქმის აზრობრივ სტრუქტურასაც, მის ფუნქციას მეტყველებაში და ექსპრესიულობას“⁶⁹. პირს იწვავს, ტყავს აძრობს, სამარეს უთხრის, ოქროში ჩასვს, ბანს აძლევს, ანკესზე წამოაგო და სხვ. აშკარა ხატოვანი გამოთქმებია, რომლებსაც სათავე იმავე აგებულების თავისუფალ შესიტყვებებში აქვთ.

როგორ მოხდა, რომ კონკრეტული მნიშვნელობის გამოთქმისაგან მივიღეთ ერთიანი, ზოგადი გაგების იდიომა? ამის საფუძველია მნიშვნელობის გადატანა, მთელი გამოთქმის მეტაფორიზაცია, მისი სემანტიკური გადაზარება. მეტაფორიზაციის შედეგს, ჩვეულებრივ, შედარებით ფართო ცნების გამოხატვა წარმოადგენს, რაც ხერხდება გამოთქმის პირველად შინააოსში მოცემულ კონკრეტულ წარმოდგენათა განზოგადების გზით. ძირითადი მიზეზი ასეთი განზოგადებისა წარმოდგენათა ასოციაციაა. შედარება ხდება ასოციაციურად დაკავშირებული ორი მოვლენისა. პროცესის გზა ასე იხატება: არსებობს ნათელი, ერთპლანი-

⁶⁹ А. И. Ефимов, Фразеологическое новаторство Салтыкова-Щедрина: журн. Литературная учеба, 1939, № 12, гв. 45. ამ კონტექსტში არასწორად მიგვაჩნია ა. ონიანის მიერ იდიომებში ტერმინოლოგიური ხასიათის ისეთი გამოთქმების შეტანა, რომლებსაც ენაში სიტყვის სახით სინონიმი არ მოეპოვებათ და თან ექსპრესიულობა არ გააჩნიათ: დღის წესრიგი, წითელი კუთხე, დიდი დათვი, პატარა დათვი და სხვ. (ქართულ-საინფორმაციო იდიომატიკის საკითხები, გვ. 1.11—1.2).

ანი (одноплановый) თავისუფალი შესიტყვება (ფეხი გადაუბრუნდა, თავზე ლაფი დაესხა, ბიძგი მისცა...). მნიშვნელობის ცვლა იწყება ანალოგიური წარმოდგენის გაჩენით, რის შედეგადაც მიიღება განზოგადებული აზრი: უდავოა, არის ასოციაციური კავშირი კონკრეტულ ფეხის გადაბრუნებასა და ზოგად დამარცხების განცდას შორის, თავზე ლაფის დასხმასა და შერცხვენას შორის.

ზიზიად ფიზიკური მოძრაობა თითქოს მიგვანიშნებს სულიერ მდგომარეობაზე. ეს ნომიჯნავე ასოციაციები ახალი აზრით ტვირთავს შესიტყვებას, ასიმბოლურებს მას. მაგ., მხრების აჩეჩა „გაკვირვებას“ გამოხატავს, ცხვირის ჩამოშვება — „დაღონებას“, ხელის ჩაქნევა „გულგრილობაზე“ მიგვითითებს, თვალების გადმოქაჩვა „გაბრაზებას“ ნიშნავს და ა. შ.⁷⁰

მაშასადამე, ასოციაციის პროცესი ყოფილა სულიერის ფიზიკურით გადმოცემის, კონკრეტულით ზოგადის წარმოდგენის რთული პროცესი, რაც საერთოდ, ენის ყოველ რგალში შეიმჩნევა და აბსტრაქტული აზროვნებისკენ სვლას გულისხმობს.

ზოგიერთ ავტორს იდიომების გარკვეული ნაწილი მიაჩნია არახატოვან ერთეულებად. აქ გულისხმობენ იდიომებს, რომლებსაც დღეს ორპლანიანობა (двуплановости) არა აქვთ, რის გამოც არ უჩანთ მოტივაციის საფუძველი. ესაა: უმთავრესად, გარკვეულ ისტორიულ რეალიებზე დამყარებული გამოთქმები: კაკას ხიდი გაიარა, ჩაიღურის წყალი დალია...

ფეიქრობთ, მათში არაა სავსებით გამქრალი ხატოვნების კვალი (მათ რომ ხატოვანი წარსული ჰქონდათ, ანაში ექვი არავის ებარება). ეს კია, რომ კავშირი პირდაპირსა და გადატანით მნიშვნელობას შორის ნაკლებად შეიგოდნობა. მაგრამ ამ კავშირის მეტ-ნაკლებობის მიხედვით არ შეიძლება მოვლენის კვალიფიკაცია. ხატოვანი სახის შეგოდნება ყოველ იდიომში ერთნაირი სიძლიერით არცაა მოსალოდნელი.

რაც შეეხება ექსპრესიულობას, იდიომი მას მაინც არ კარგავს, რომც დაეუშვათ სახის სრული დაბნელება ზოგიერთ ნათგანში. ექსპრესიულობა შეიძინება გამოთქმაში ნხატვრული სახის გაჩენისთანავე და რჩება მას შემდეგაც, რაც გამოთქმის მოტივაცია

⁷⁰ საკითხი ასე აქვ, წარმოდგენილი ს. თქვეჯავს (О структуре фразеологии, გვ. 47).

ბნელდება. მაგ., ქართ. ეგ არის და გორის ციხე, ნარისლის მოსატანად წასვლა; რუს. *покажу, где раки зимуют; покажу кузькину мать...*

4. იდიომი შესიტყვების ფორმის მქონე ერთეულია

გადანწყვეტი ნნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, თუ რას წარმოადგენს იდიომი აგებულებით. ბევრი ენათმეცნიერი იდიომის ფორმად შესიტყვებას თვლის. მართლაც, აბსოლუტურ უმრავლესობაში იდიომი შესიტყვების ფორმის მქონეა: გულის მობრუნება, თავის აგდება, ბარგის აკერა, ხახამშრალის დატოვება, კულის მოქნევა, თვალსა და ხელს შუა გაქრობა, კარგი თვალით ყურება, ჯიბეზე ხელის გაკვრა...

ა. ონიანს ზიანია, რომ მრავალწევრა გამოთქმები: თვალს წყალი დაალევიანა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, კუდი ყავარზე აქვს გადებული და სხვ. წინადადების ფორმის მქონე ფრაზეოლოგიზებია.

ეს არასწორი გაგებაა. ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს წინადადებისა და შესიტყვების ცნების დაუზუსტებლობასთან. წინადადება, როგორც დისრულეზული აზრის გამონათქვამი, ხარისხობრივად განსჯავსება შესიტყვებას, რომელიც წინადადების ელემენტია და გამოხატავს არასრულ აზრს⁷¹.

მცდარია შეხედულება, თითქოს შესიტყვება შედგებოდეს მაქსიმუმნი ორი კომპონენტისაგან: ბურთს თამაშობს, მწვანე მინდორი... დაქტობრივად შესიტყვებაში დასაშვებია ორზე მეტი წევრიც. „შესიტყვება — ეს ენის უმარტივესი სინტაქსური ერთეულია, წარმოქმნილი მოცეხული ენის გრამატიკული კანონების მიხედვით და ორი ან მეტი რაოდენობის სიტყვების საშუალებით (დაყოფა ჩვენია. — ა. თ.), რომლებიც მიეკუთვნებიან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე მეტყველების ნაწილებს“⁷².

ამ თვალსაზრისიდან ამოსვლით, ა. ონიანის მიერ წინადადებად აღიარებული გამოთქმები: თვალს წყალი დაალე-

⁷¹ Б. А. Ларин, Очерки по фразеологии, გვ. 201.

⁷² Большая Советская Энциклопедия, т. 111, გვ. 359.

ვინა და სხვ. წარმოადგენენ „რთული“ სახის გავრცობილ შე-
სიტყვებებს.

ამგვარად, იდიომი ფორმით შესიტყვებაა. ეს გარეგანი ფორ-
მა იდიომის შინაგანი ბუნების გამოჩენის საშუალებად გვევლინება.
მისი წყალობით:

1. იდიომი სიტყვის ეკვივალენტურ ერთეულს წარმოად-
გენს. განსხვავებით ანდაზებისა, აფორიზმებისა და ლიტერატურ-
ული ციტატებისაგან, რომლებსაც წინადადების ფორმა აქვთ
და, ანდენად, მის ფარდად გამოდის, იდიომი ლექსიკური ერთე-
ულის ფუნქციას იძენს და წინადადების რომელიმე წევრის როლს
ასრულებს. მაგ., ფეხი გამოჰყო, ნიშადური ამოსცხო,
თავი გაუყადრა და მსგავსი გამოთქმები წინადადებაში ძლი-
ანად გამოდის შემასმენლის ფუნქციით.

2. იდიომი აზრის ნაწილს გამოხატავს. ობი მოეკიდა,
ყინულზე გააცურა, დეზი ჰკრა არ ქნის დასრულებული
აზრის მთაბეჭდილებას. ეს იმის გამოა, რომ ზნური იდიომი
ძირითადად უქვემდებარება წარმოდგენილი: არ ჩანს რეალური
სუბიექტი, რომელიც აღნიშნულ მოქმედებას ასრულებს. მისგან
განსხვავებით, ანდაზები მთლიან აზრს გადმოსცემენ. აქ წინადა-
დების ყველა მთავარი წევრი ძირითადად წარმოდგენილია: ალი-
ას დარდი ფლავიაო, ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაე-
სინჯება, ციხე შიგნიდან გატყდება...

ამგვარად, იდიომის შინაგანი ბუნებას, მის საეციფიკას გვირ-
კვეცს ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ნიშანი:

1) იდიომი სემანტიკურად დაუშლელია და სიტყვის ეკვივა-
ლენტურია.

2) იდიომის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნი-
შვნელობათა ჯამს.

3) ექსპრესიულობა იდიომის საეციფიკური მხარეა.

4) იდიომს აქვს შესიტყვების ფორმა.

ეს ნიშნები ურთიერთპოქმედებენ, ერთმანეთს ავსებენ და
იძლევიან იდიომის საერთო დახასიათებას. რა თქმა უნდა, ოთხი-
ვე ნიშანი მხოლოდ იდიომის საკუთრება არაა. ყოველი მათგანი
შეიძლება ახასიათებდეს მოსაზღვრე ერთეულებსაც, ზოგს სამიჯ-
კი. იდიომს ქმნის სწორედ ოთხივე ნიშნის ერთობლიობა. თუ
რომელიმე მათგანი გამოთქმას აკლია, მას იდიომად ვერ ჩა-
ვთვლით.

მივმართოთ მაგალითებს:

1. ქარის მოტანილს ქარი წაიღებს — აღნიშნულ გამოთქმას აქვს II და III ნიშანი: გადატანითი მნიშვნელობითაა ნახშირი და ექსპრესიული ფუნქციის მატარებელია. არა აქვს შესიტყვების ფორმა (წინადადებას წარმოადგენს) და სიტყვის ეკვივალენტური ვერაა. ამდენად, იდიომად ვერ ჩაითვლება (ანდაზა). მსგავსი გამოთქმებია: შუბი ხალთაში არ დაიმალება: ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდა; გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწევაო; ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება...

2. მოთმინება კარგი საქონელია — დასახელებული ოთხი ნიშნიდან არც ერთი არ გააჩნია. ამდენად, მას იდიომთან შეხების წერტილიც კი არა აქვს (აფორიზმა). მსგავსი გამოთქმებია: სჯობს გვიან, ვინემ არასდროს; დიდ სიყვარულს დიდი სიძულვილი მოსდევს; ავი კაცი აღდგომასაც ავიაო; თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, დასტანჯავს წუთისოფელი; ბრიყვი უწინ იტყვისო...

3. მოთოკა — აქვს გადატანითი მნიშვნელობა, ექსპრესიულობა, თუ შეიძლება ითქვას, „სემანტიკური მთლიანობაც“. არა აქვს შესიტყვების ფორმა (მეტაფორული სიტყვაა). ასეთებია: ააფრინა, დაშაქრა, გაშეშდა, იწვნია, გაიბერა, დაუტკბა, მოლბა...

4. ჭირნახული — მისი ზოგადი მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს, აქვს ექსპრესია და სიტყვის ეკვივალენტურია. აქლია ცალკე გაფორმებულობა — შესიტყვების ფორმა (კომპოზიტია). ასეთებია: თავლაფდასხმული, ენამწარე, წყალწადებული, ქვაწვია, გულმართალი, თავგასული...

5. წიგნი წაიკითხა — ფორმის გარდა (შესიტყვება) იდიომის არც ერთი ნიშანი არა აქვს. ამ რიგში შემოვა ყოველგვარი სახის თავისუფალი შესიტყვება.

6. მოწყალების და — აქვს შესიტყვების ფორმა და სიტყვის ეკვივალენტურია. აქლია ექსპრესიულობა და გადატანითობა. იგი პირდაპირი დასახელების პრინციპზე აგებული გამოთქმაა. შდრ. საქმეთა მმართველი, დაზღვევის აგენტი, წმინდა მამა.

7. დიდი დათვი (ვარსკვლავის სახელწოდება) — ექსპრესიულობის გარდა იდიომის სამივე ნიშანი გააჩნია. ასეთებია: ირ-

მის ნახტომი, წითელი კუთხე, ღვინის გადაბრუნება, ტყვიის ჩამოსხმა.

იდიომის ცნების დასუსტება

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ნიშნების ერთობლივად წარმოდგენა გვეხმარება სხვა სახის ერთეულთაგან იდიომის გამოსაყოფად. ცხადია, მათ საფუძველზე უნდა დადგინდეს იდიომის ცნებაც. იგი ავტორებს განსხვავებულად აქვთ მოცემული.

ა. როჟანსკის ფორმულირებით, „იდიომი — სიტყვათა მყარი შეერთებაა, გადატანითი მთლიანი და განზოგადებული მნიშვნელობით, რომელიც შემადგენელი ელემენტების არაადეკვატურია“⁷³.

ამ ფორმულას ორი უხერხულობა ახლავს: 1) არ ჩანს, რა იგულისხნება სიტყვათა მყარ შეერთებებში (იგი შეიძლება წინადადებასაც ნიშნავდეს); 2) განზოგადებული მნიშვნელობის გვერდით ზედმეტი გამოდის გადატანითის ხმარება (განზოგადებული თავისთავად გულისხმობს გადატანითს).

ა. როჟანსკისვე მოკლე განმარტებით, „იდიომი არის მყარი შესიტყვება, რომელსაც აქვს მთლიანი და გადატანითი მნიშვნელობა“⁷⁴.

ამ განმარტებაში არ ჩანს ექსპრესიულობის ნიშანი, ამასთან, იდიომატიურობის კრიტერიუმში (მთელისა და კომპონენტების მნიშვნელობის დაპოკიდებულების ხასიათი) მიჩქმალულია.

საინტერესო ფორმულა აქვს მოცემული ა. ონიანს: „იდიომი არის წესიტყვების ფორმის გქონე დაუშლელი, მყარი ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობაც არ გამოდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან“⁷⁵.

აღნიშნულ ფორმულასაც სჭირდება დასუსტება:

1) აკლია ექსპრესიულობის ნიშანი, რომლის გარეშეც იდიომის ცნება ვერ მიიღებს სრულყოფილ ხასიათს.

2) დაუშლელი და მყარი ფორმულაში ერთი მინაარსითაა, ამიტომ შეიძლება ერთ-ერთის ამოღება.

⁷³ А. Я. Рожа́нский. Идиомы современного литературного языка, გვ. 10 (საკანდ. დისერტ.).

⁷⁴ А. Я. Рожа́нский. Идиомы и их перевод: Иностранные языки в школе, 1948, № 3, გვ. 25.

⁷⁵ ა. ონიანი, ქართულ-სვანური იდიომატიკა, გვ. 69—70.

3) დაზუსტებას მოითხოვს ბოლო პუნქტი: „...რომლის (იდიომის) მნიშვნელობა არ გამოდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან“. იდიომის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, გარკვეულ კავშირშია კომპონენტების მნიშვნელობებთან (იგი ხომ მათი ჯამის გადააზრებითაა მიღებული!). ამიტომ ზუსტი იქნებოდა გვეთქვა: იდიომის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს.

აღნიშნული მომენტების გათვალისწინებით იდიომის ცორ-ზულა მიიღებდა შემდეგ სახეს: იდიომი არის შესიტყვების ცორმისა და ექსპრესიული ფუნქციის მქონე სემანტიკურად დაუშლელი ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს.

იდიომის მნიშვნელობის საფუძველი

იდიომატურობის კრიტერიუმი ავლენს იდიომის მნიშვნელობასთან კომპონენტების მნიშვნელობათა შეფარდებას. გამოთქმის ლელო გაიტანა'ს ზოგადი აზრი „გაიზარჯვა“ არ უდრის კომპონენტების ლელო + გაიტანა'ს არითმეტიკულ ჯამს. ასეთი შეჯამებით იქმნება, სახელდობრ, იმ თავისუფალი შესიტყვების შინაარსი, რომელიც გარკვეული სპორტული თამაშის დროს ბურთის ხაზს იქით გატანას გულრისხმობს.

ბუნებრივია, ენათმეცნიერთა წინაშე დაისვა კითხვა: რა ქნის უშუალოდ იდიომის მნიშვნელობას?

ა. როჯანსკიმ ექვის თვალთაჲ კი შეხედა იდიომატურობის ნიშანს. „რაც შეეხება მტკიცებას, რომ იდიომის აზრი არ შეიძლება გამოყვანილ იქნეს კომპონენტების მნიშვნელობიდან, დროულია კითხვის დასმა: რომელი სხვა წყაროებიდან შეიძლება იდიომის მნიშვნელობის გამოყვანა? აკი კომპონენტების გარდა არაფერი მოკეშული“¹⁶.

მართლაც, ავტორი სხვა „წყაროს“ ვერ პოულობს და ზოგადი მნიშვნელობის მიღებას კომპონენტების პირდაპირ მნიშვნელობათა შეერთებით ვარაუდობს.

¹⁶ А. Я. Рожа́нский, Идномы и их перевод, გვ. 25.

„მრავალი მკვლევარის მტკიცების წინააღმდეგ, რომლებიც ლაპარაკობენ ილიომის მნიშვნელობის კომპონენტების მნიშვნელობიდან გამოყვანის შეუძლებლობის შესახებ, უნდა ჩავთვალოთ, რომ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა არის გასაღები ილიომის ჩამოყალიბების გაგებისათვის“⁷⁷. მაგ., ილიომის *протянуя ноги*’ს მნიშვნელობა „მოკვდა“ მას გამოჰყავს ამავე აგებულების თავისუფალი შესიტყვებიდან. ამ კავშირს ბირდაპირსა და ზოგად მნიშვნელობას შორის, მისც აზრით, ამაგრებს ხელშესახები ასოციაცია, რაც ნათ შორის დასტურდება.

აღნიშნული თვალსაზრისის კრიტიკას იძლევა ა. ონიანი. მისი აზრით, ა. როჯანსკი ერთმანეთში ურევს ორ საკითხს: 1) ილიომის წარმოშობისა და 2) მისი მნიშვნელობის თავისებურების საკითხს თანამედროვე ენის ნორმების თვალსაზრისით⁷⁸.

საქმე ისაა, რომ ილიომების დიდ ნაწილში გამჟღავნდა მისი წარმოშობის საფუძველი. მიიჩქმალა გამოთქმის კაკას ხიდი გაიარას ამოსავალი, მაგრამ მისი ზოგადი მნიშვნელობა „დაიკარგა“, „დავიწყებას მიეცა“, მეტყველი კოლექტივისთვის საფსებით ნათელია. რით მიიღწევა ეს? ხომ არ გამომდინარეობს იგი კომპონენტების ბირდაპირ მნიშვნელობათა ჯამიდან? ა. ონიანი ამ კითხვას უარყოფითად უპასუხებს. მისი აზრით, ზოგადი მნიშვნელობა ილიონს ისტორიულად დაუმკვიდრდა. მაგრამ თუ რა გზით, ამაზე პასუხი არაა მოცემული⁷⁹. ავტორის აზრით, ასეთი სახის გამოთქმებში ნოტივაციის მიკვლევა და კომპონენტების მნიშვნელობათა გარკვევა მხოლოდ ილიომის წარმოშობას გვიხსნის, არაფერს გვეუბნება თანამედროვე ეტაპზე ამ ილიომისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობის შესახებ⁸⁰.

როგორ დგას საკითხი მოტივირებული ილიომების მიმართ? (მაგ., წყალს ნაყავს, ბირს იწვავს, სანთლით ეძებს, ხელით ატარებს). ა. ონიანის აზრით, მოტივირება არ გვაძლევს საბაზს მტკიცებისათვის, რომ გამოთქმის ზოგადი მნიშვნელობა გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან. „ეს რომ ასე იყოს, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ამგვარი ყველა

⁷⁷ А. Я. Рожанский, Идномы и их перевод, გვ. 25.

⁷⁸ ა. ონიანი, ქართულ-სვანური იდიომატიკა, გვ. 48.

⁷⁹ იქვე, გვ. 51.

⁸⁰ იქვე, გვ. 53.

იდიომის სხვა ენაზე თარგმნა მნიშვნელობის შეუცვლელად, რაც, ჩვეულებრივ, არ ხერხდება⁸¹.

აქ წარმოდგენილი თვალსაზრისებიდან ჩვენ შედარებით მისაღები გვეჩვენება პირველი.

მართლაც, კომპონენტებს გარკვეული წვლილი მიუძღვით ზოგადი მნიშვნელობის განვითარებაში. განსაკუთრებით ეს ითქმის ხატოვანი იდიომების მიმართ, რომლებსაც ასოციაციური კავშირი თავის ამოსავალთან დღესაც აქვთ. იდიომის ზოგადი აზრი თავისუფალი შესიტყვების პოტენციას შეადგენს, მისი კომპონენტების სიტყვასიტყვით მნიშვნელობათა ჯამის ზოგადი ანარეკლია.

რაც შეეხება სხვა ენაზე უთარგმნელობის ფაქტორს, იგი ვერაფერს გვეტყვის მოტივირების ნიშნის არასაკმარისობაზე კომპონენტების მნიშვნელობიდან ზოგადი მნიშვნელობის გამოყვანის საქმეში. ეს იმიტომ, რომ მთელი რიგი ხატოვანი იდიომები თარგმანს ემორჩილება: თვალში ეცემა — *бросается в глаза*, ხელები მოითხო — *руки нагрел*, ფეხზე მაგრად დგას — *крепко стоит на ногах*... რომ არ ყოფილიყო ზოგადსა და სიტყვასიტყვით მნიშვნელობას შორის ხელშესახები კავშირი, იდიომი დაიშლებოდა და, ცხადია, თარგმანი არ განხორციელდებოდა.

თითქოს სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის როლი ზოგადის წარმოქმნაში არ ჩანს უმოტივაციო ხასიათის გამოთქმებში. აქ ასოციაციური კავშირი გაწყვეტილია და ვეღარ ვხედავთ, რა საფუძვლზე მოხდა გადააზრება. ა. ონიანის აზრით, ხელთა გვაქვს მხოლოდ ფაქტი, რომ ზოგადი მნიშვნელობა ჩამოყალიბებულია ისტორიულად. კითხვის დასწრე, თუ საიდან მომდინარეობს იგი, ისევე უნივლოა, როგორც პასუხი კითხვაზე, თუ საიდან მომდინარეობს ცალკეული სიტყვის მნიშვნელობა⁸².

ვფიქრობთ, არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე დადგეს იდიომის მნიშვნელობისა და სიტყვის ნომინატიური მნიშვნელობის საკითხი. ეს უკანასკნელი სახელდების პროცესებს უკავშირდება და შორეულ წარსულში გადადის. მას წინ არ უსწრებს აღნიშვნის რაიმე პროცესი. იგი უშუალოდ მიემართება საგანზე. იდიომის

⁸¹ ა. ონიანი, ხსენ. ნაშრ., გვ. 55.

⁸² იქვე.

მნიშვნელობა კი ენაში უკვე არსებულის გადააზრებას გულისხმობს. აქ მას შეიძლება გვერდით დავუყენოთ მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით ნახშიარი სიტყვები, რომლებიც ხასიათდებიან აშოსავალი მნიშვნელობისაგან საგრძნობი გადახრით. გა შეეშება ნიშნავს უმეოქმედობითა და უტყუობით შე შას ავით გახდომას. ასევე ასოციაციური კავშირია გოგრა — ქვახსა და გოგრა — თავს შორის. გასაგებია აგრეთვე მარილით, საკვებისთვის აუცილებელი ნივთიერებით, რაიმე არსებითის და ძირითადის აღნიშვნა.

ისტორიული ხასიათის იდიომების მნიშვნელობაც მათი სიტყვასიტყვითი გაგებიდან უნდა მოდიოდეს. ისინიც თავის დროზე ასოციაციურ კავშირებს ეყრდნობოდნენ. კაკას ხიდი გაიარა იმ პერიოდშია გადააზრებული, როდესაც ჯერ კიდევ რეალური იყო სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის სიტუაცია (კაკას ხიდზე გამვლელს რომ უბედურება ელოდა). ამ რეალიის მოსპობამ ვეღარ დაარღვია იდიომა, რადგან იგი ღის „სიცოცხლეშივე“ იყო ჩასახული⁸³. და თუ ეს ზოგადი აზრი სიტყვასიტყვით გაგებაზე დაყრდნობით წარმოიშეა, იგი ახლაც ამ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის ანარეკლად რჩება.

ერთი მომენტიც ართულებს „ისტორიული“ ხასიათის იდიომების მნიშვნელობათა გარკვევას. ხშირად შეცდომით ვიძლევი იდიომის ეტიმოლოგიას, ვაბუნდოვანებთ მისი წარმოშობის სიტუაციას და, ამის გამო, მოტივაციადაკარგულად ვთვლით მას. მაგ., იდიომის ყურებზე ხახვი არ დაჰაქრა⁸⁴ს სადუძველს ხედავენ შემდეგში: ამ გამოთქმას ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებულად თვლიან. ძველ დროს დასასჯელს ყურს დანით დაუსერავდნენ, ხოლო სისხლის შესაჩერებლად მიწაზე გართხმულს ხახვს დააბრძინენ ყურზე, აქედან გამოიღინაროვებს გამოთქმა: ყურებზე ხახვი არ დაჰაქრაო⁸⁵.

შესაძლებელია, ამ იდიომს საერთო არაფერი ჰქონდეს აღნიშნულ პროცედურასთან და სავსებით მოტივირებული იყოს

⁸³ ამდენად, იდიომის წარმოშობისა და ღისი მნიშვნელობის გ.ჩენ.ს თარიღი ერთმანეთს ემთხვევა.

⁸⁴ თ. ს ა ხ თ კ ი ა, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. III, გვ. 44.

— ეყრდნობოდეს პროცესის შესრულების სიძნელეს (ძნელია, ადამიანს ყურებზე ხახვი დააქრა) და ატარებდეს ისეთსავე ირონიულ-ფამილარულ ელფერს, როგორსაც ხატოვანი იდიომი ფეხები არ მომჭამო. ასეთი დაშვებისკენ გვიბიძგებს ის ფაქტიც, რომ სვანურ შესატყვისში ყურის მაგივრად კისერია ნახმარი: კ ო ნ ხ ე ბ ი ხ ა ხ ვ ნ ო მ ა ნ ე მ ჭ კ ო რ ა — კ ის ე რ ზ ე ხ ა ხ ვ ი არ დ ა მ ა ქ რ ა.

არ შეიძლება აგრეთვე საესებით ხატოვანი იდიომის თავის ხლაქვისათვის წარმოშობა პირველყოფილი საზოგადოების მიჯნაზე გადავტანოთ⁸⁵, მხოლოდ იმის გამო, რომ ქვა იყო ამ დროს ერთადერთი იარაღი ადამიანის ხელში. უნდა ვერიდოთ მსგავსი გამოთქმების წარმოშობის ხალხურ საფუძველზე ახსნას, მათს ხალხურ ეტიმოლოგიას.

ამგვარად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ იდიომის მნიშვნელობა დამოკიდებულია კომპონენტების სიტყვასიტყვით მნიშვნელობაზე.

კომპონენტების ხვედრითი წონა საერთო მნიშვნელობაში

საინტერესო დაკვირვებები აქვს ამ საკითხზე ო. ახმანოვას⁸⁶. მისი აზრით, სიტყვა ფრაზულ გარემოცვაში სემანტიკურად იცვლის სახეს (выражается), აღიქმება ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ ვარიანტებში. როდესაც შესიტყვება გახდება სემანტიკურად დაუმშლელი და საგანზე ზემოქმედება როგორც მთლიანობა, მაშინ მისი ელემენტები აღარ გვევლინებიან სიტყვებად ნამდვილი გაგებით. მათ შერჩებათ გარეგნული ფორმა, მაგრამ კარგავენ სისავეს, „შინაგან შინაარსს“. ავტორი მათ უწოდებს არა სიტყვის ვარიანტს, არაზედ „პოტენციალურ“ სიტყვას: „პოტენციალური“ სიტყვა — ესაა გარეგანი გარსის განსაზღვრული ელემენტი და კომპლექსის, როგორც მთელის, წარმოქმნის მონაწილე. მაგრამ, იგი თითქოს სემანტიკურად „გათქვეფილია“ ფრაზეოლოგიურ ერთეულში. ფრაზეოლოგიური ერთეულის საერთო მნიშვნელობაში მისი ხვედრითი წონის განსაზღვრა შეუძლებელია⁸⁷.

⁸⁵ როგორც ეს ჭონია თ. სახოკიას (ბ. ვ. ნაზრ., ტ. I, გვ. 153).

⁸⁶ О. С. А х м а н о в а, Черки по лексикологии, გვ. 173.

⁸⁷ იქვე, გვ. 171.

ო. ახმანოვას აზრით, კომპონენტები სემანტიკური გრადაციის ამ ეტაპზე არ ჩერდებიან. აქ იგი იშველიებს „ფრაზათწარმოების დიალექტიკას“, რაც იმაში გამოიხატება, რომ შესიტყვების სემანტიკური გარდაქმნა ცალმხრივი პროცესი არაა⁸⁸. მის განხორციელებაში მონაწილეობენ ცენტრიდანული და ცენტრისკენული ძალები. იდიომის შემადგენელი ელემენტების პოტენციალური მნიშვნელობით წარმოდგენა და მთელისადმი დამორჩილება ცენტრისკენული ძალის (იდიომის ჩამოყალიბების) გამოვლენაა.

მაგრამ ირკვევა, რომ ეს „პოტენციალური“, საერთო შინაარსში „გათქვეფილი“ მნიშვნელობანი ხშირად იძენენ აქტუალიზების, გამოყოფისა და განცალკევებულად აღქმის შესაძლებლობას⁸⁹. აქ ავტორს მოაქვს იდიომი *делать из мухи слона*, რომლის ხნარება ქმნის შესაძლებლობას სიტყვებით სპილო და ბუზი გამოცხატოს არა მარტო შესაბამისი ცხიველები, არამედ განყენებული წარმოდგენებიც — მნიშვნელოვანი, არსებითი, მცირესთან, უმნიშვნელოსთან შეპირისპირებით. მნიშვნელობათა ეს აბსტრაქცია, ავტორის აზრით, კარგად ჩანს შენდევ ცრაზაში: *Если всех мух уничтожим, то из чего же слонов делать будем* (მაიაკოვსკი). „პოტენციალური“ სიტყვის ამ აქტუალიზაციას, ცნობილს იდიომის „დეფორმაციის“ სახელწოდებით, ავტორი უწოდებს ცენტრიდანული ძალის გამოვლენას. ეს ცენტრიდანული პროცესი იმითაცაა საინტერესო, რომ იდიომის „დეფორმაციაზე“ არ ჩერდება — იძლევა აქტუალიზებულ სიტყვათა ახალ ნომინატიურ მნიშვნელობებს⁹⁰.

წარმოდგენილ თვალსაზრისში სწორადაა გახსნილი იდიომის შემადგენელი ელემენტების სემანტიკური გრადაცია, მათი ახალი ბუნება. ცხადია, კომპონენტები იდიომში იწასვენ არ აღნიშნავენ, რასაც თავისუფალ შესიტყვებაში. იდიომში მათ სხვა, ახალი „სიცოცხლე“ აქვთ მოაოვებული. აქ მთლიანობის იდეა დომინანტობის მათს დაყოფადობაზე, მათი ცალკეული მნიშვნელობის გამოვლენაზე. გამოთქმის კალთას აფარებს ცალკეული ელემენტის მნიშვნელობა შთანთქმულია მთლიანი ზოგადი აზრით „მფარველობს“. ასევე არ განისაზღვრება კომპონენტების როლი გამოთქმის ხელი გაუმართა'ს ზოგადი აზრის

⁸⁸ О. С. Ахманова, იქვე, გვ. 170.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ იქვე.

„დაეხმარას“ შექმნაში. უფრო მეტიც: მეტყველების დროს მათ, ჩვეულებრივ, არც ექცევა ყურადღება. იდიომის ხმარებისას ლირებულება აქვს არა მისი კომპონენტების მნიშვნელობას, არამედ გამოთქმის საერთო შინაარსს. ეს ნიშნავს, რომ იდიომა აღიქმება არა ანალიზურად, არამედ როგორც სინთეზური ოდენობა, როგორც ერთი ზოგადი მნიშვნელობის მქონე მთელი⁹¹.

ო. ახმანოვას პოზიციის მთავარი ნაკლი ისაა, რომ არ ჩანს, რა იგულისხმება „პოტენციალური სიტყვის“ გაგებაში, რა შინაარსია მათში კონკრეტულად ჩადებული. უფრო მეტიც, ავტორი შეუძლებლად აც კი თვლის მათი ხვედრითი წონის განსაზღვრას საერთო მნიშვნელობაში.

ჩვენი აზრით, იდიომის ზოგადი მნიშვნელობა ნიღბება კომპონენტების პირდაპირ მნიშვნელობათა ჯამის მთლიანი მეტაფორული გადააზრებით. გამოთქმის ბეწვეზე ჰკიდია მნიშვნელობა „განსაცდელშია“ ეყრდნობა არა შემადგენელი ელემენტები; რაღაც გადატანით მნიშვნელობათა ჯამს, არამედ მათი, როგორც დაკავშირებულთა ერთიანობის გაგებას, ე. ი. იგულისხმება, რომ კომპონენტებს ბეწვი, დაკიდება ცალ-ცალკე კი არ მიუღიათ ზოგადი ელფერი და მათი შეერთებით იდიომის საერთო მნიშვნელობა, არამედ აბსტრაქტია მოხდა მათი პირდაპირი მნიშვნელობებით შეკავშირების შედეგად. ს. ოყეგოვის თქმით, „ახალი აზრი იქმნება ისე... თითქოს მთელ შესიტყვებას (დაყოფა ჩვენია.—ა. თ.) დაეფინა ახალი სემანტიკური და ექსპრესიული ფენა“⁹².

ჩვენ ვეთანხმებით ო. ახმანოვას, რომ შეიძლება არსებობდეს ცენტრიდანული ძალები, რომლებიც იწვევენ იდიომის დაშლას, და რომ კონკრეტული სიტყვები იდიომში ავლენენ აბსტრაქტულ მნიშვნელობებს (საილო'სა და ბუზი'ს მაგალითი). მაგრამ ვფიქრობთ, მათ იდიომში ხმარებამდეც ჰქონდათ პოტენციაში ეს ზოგადობის ელფერი: სპილო ცალკე ხმარებულიც დიდის, მნიშვნელოვანის სინონიმურია (მდრ. ფრაზა „ეს კაცი ნამდვილი სპილოა“), ბუზი კი, პირიქით, მცირეს, უმნიშვნელოს გამოხატავს (მდრ. რუს. ტერმინი *мучачий вес* — მცირე წონა. იხმარება სპორტში).

⁹¹ საკითხი ახვე ეამის ქ. კანდელაკს. (ინგლისური მეტაფორული იდიომები, გვ. 67).

⁹² С. И. Ожегов, О структуре фразеологии, გვ. 46.

სიტყვა ბ ა გ ა ე ს განმარტავენ როგორც „ერუდიციას, ცოდნის მარაგს“. ლომი დიდი ფიზიკური ძალის მქონე ადამიანზე ითქმის. ცხადია, მნიშვნელობის აბსტრაქტიზების ეს შესაძლებლობა სიტყვას გადაჰყვება იდიომშიც.

ამავე დროს არასწორად მიგვაჩნია ო. ახმანოვას ფორმულირება, თითქოს პოტენციალურ სემანტიკურ შესაძლებლობათა აქტუალიზების გზით სიტყვებს უვითარდება ახალი ნომინატიური (დაყოფა ჩვენია.—ა. თ.) მნიშვნელობა. სიტყვას, როგორც წესი, ერთი ნომინატიური მნიშვნელობა აქვს. ის არის ფუნდამენტი და საყრდენი ყველა სხვა მნიშვნელობებისა, რომლებსაც ნომინატიურ-წარმოებულნი ან მეტაფორული ხასიათი აქვთ.

ომონიმისა და პოლისემიის საკითხი იდიომში

როგორც დავინახეთ, რეალურად მოცემულ ერთ ფორმაში არსებობს ორი შესაძლებელი შინაარსი. მაგ., ქუჩებს ტკეპნის — თავისუფალი შესიტყვება და ქუჩებს ტკეპნის — იდიომი (მნიშვნელობით „უსაქმურადაა“). ეს გარემოება დიალექტიკის იმ პუნქტის შესანიშნავი დადასტურებაა, სადაც ლაპარაკია ძველ ფორმაში ახალი შინაარსის მოთავსებაზე, არსებულ სამოსელში ახალი აზრის გახვევაზე.

როგორი დამოკიდებულებაა იდიომსა და თავისუფალ შესიტყვებას შორის?

ზოგიერთი აქ ომონიმის მოვლენას ხედავს. ვ. ვ. ვინოგრადოვის აზრით, ესაა ომონიმური შესიტყვებანი — ერთმა განაპირობა მეორის გამოვლენა: თავისუფალმა შესიტყვებამ მიიღო ფრაზეოლოგიური ერთეულის სატოვნება და ამჟამად მათ შორის ომონიმური დამოკიდებულებაა³³.

ტ. ბარაბაშისათვის ესაა პოლისემიის ნიმუში. მისი აზრით, იდიომი თავისუფალ შესიტყვებათა გადატანით მნიშვნელობით ხმარების შედეგია. ამასთან, აზოობრივი კავშირი ამ ორი ქცევისა სულ მთლად გაწყვეტილი არაა. ამდენად, აქ უნდა ვილაპარაკოთ არა ომონიმიაზე, არამედ პოლისემიაზე³⁴.

³³ В. В. Виноградов, Об основных типах фразеологических единиц. გვ. 353.

³⁴ Т. К. Бараш, Образные глагольные фразеологические единства в современном английском языке. М., 1953, с. 55 (საკანდ. დიურტ.).

უნდა შეენიშნოთ, რომ იდიომში აღნიშნულ საკითხზე ერთიანი პოზიციის უქონლობა ანარეკლია სიტყვებში ომონიმიის და პოლისემიის ცნების დაუზუსტებლობისა. მაგ., *Высится* ზმნა ლ. ბულახოვსკისთვის ომონიმიის ნიშნულია, დ. უშაკოვისა და ს. ოტეგოვის ლექსიკონები კი მას პოლისემიურ სიტყვად თვლიან. ასევე სხვადასხვანაირადაა შეფასებული ომონიმი-პოლისემიის მსრავ *точить, ударник, нос* და სხვა სიტყვები.

ლ. ბულახოვსკი საბოლოოდ ვერ მიჯნავს ომონიმი-პოლისემიის და შემოაქვს მნიშვნელობათა კავშირის გრძობის ცნებას. წარმოშობით პოლისემიური სიტყვები დროთა განმავლობაში ომონიმებად იქცევიან, როცა მოლაპარაკეს უქრება მნიშვნელობათა წინანდელი კავშირის გრძობა. თუ მოლაპარაკე ამ გრძობას ინარჩუნებს, პოლისემიასთან გვაქვს საქმე⁹⁵.

რ. ბულაგოვის აზრით, სიტყვის მნიშვნელობებს შორის არსებობს რაღაც საერთო, თუნდაც შორეული კავშირი. სანამ ეს მნიშვნელობები ერთი აზრითი ღერძის ირგვლივ ერთიანდებიან და მას არ სწყდენიან — პოლისემიურობა შენარჩუნებულია. როგორც კი კავშირი წყდება და ერთმანეთთან საერთო რჩებათ მხოლოდ ბგერითი მხარე, საქმე გვაქვს ომონიმიასთან⁹⁶.

აღნიშნული (და კიდევ სხვა) თვალსაზრისების გადმოცემა და კრიტიკას იძლევა ბ. ფოჩუა წერილში „ომონიმი და პოლისემია“⁹⁷. ავტორის სანართლიანი დასკვნით, მოლაპარაკის გრძობა არ ქნის მკვიდრ საფუძველს ომონიმიისა და პოლისემიის გამიჯვნისათვის, რადგან მეტყველების პროცესში მეტყველისათვის არსებობს პოლისემიური სიტყვის ერთადერთი მნიშვნელობა⁹⁸.

ასევე, არც აზრითი ღერძის მოშლით ომონიმიად ქცევის დაქტარია მისაღები. ავტორის აზრით, მსჯელობა მნიშვნელობების ერთმანეთისაგან დაშორების წესახებ, როცა აღარა ჩანს მათს შორის კავშირი, ვერ იძლევა პასუხს კითხვაზე: როგორ უნდა მიხერხდეს მნიშვნელობათა მეტ-ნაკლები დაშორებულობის დადგენა⁹⁹.

⁹⁵ Л. А. Булаховский, Введение в языкознание, II, 1953, М., гл. 46—48.

⁹⁶ Р. А. Будагов, Очерки по языкознанию, М., 1953, гл. 33.

⁹⁷ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IX—X, 1958.

⁹⁸ იქვე, გვ. 15.

⁹⁹ იქვე.

ასეთი არეულობისა და ომონიმია-პოლისემიას შორის საზღვრის გაუფლელობის მიზეზად ბ. ფოჩხუა საძარტლიანად თვლის იმ ფაქტს, რომ ეს ცნებები სხვადასხვა თვალსაზრისითაა გაპო-ყოფილი. პოლისემია მისთვის ისტორიული ენათმეცნიერების ცნებაზე წარმოადგენს, ხოლო სიტყვაში რამდენიმე მნიშვნელობის დადასტურება ნიშნავს ისტორიზმის, დიაქრონული ლინგვისტიკის პოზიციებზე დადგომას¹⁰⁰.

მეორე მხრით, ავტორის აზრით, თუ ომონიმებად ჩავთვლით სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ერთგვარად მბგერ სიტყვებს და არ გავითვალისწინებთ მათს გენეზისურ იგივეობას, ამით უგულვებელყოფთ ისტორიას და სინქრონული ლინგვისტიკის პოზიციებზე ვდგებით.

„აუცილებელი წინაპირობა ომონიმეის რაობის გასარკვევად ამ წინააღმდეგობის დაძლევაა“¹⁰¹.

ფიქრობთ, სავსებით გაძარტლებულია ბ. ფოჩხუას პოზიცია ომონიმეის (ისე როგორც პოლისემიის) ფაქტებისადმი ისტორიული კუთხით მიდგომისა, რადგან, როგორც საძარტლიანად აღნიშნავენ, „ომონიმები მხოლოდ ზღინ გვაქვს, თუ გარეგნულად ერთნაირი სიტყვა განსხვავებულია არა მარტო მნიშვნელობით, არამედ წარმომავლობითაც“¹⁰².

ეს მოგვცემს საშუალებას ომონიმიიდან გამოვეყოთ ისეთი პოლისემიური სიტყვებიც კი, რომელთა მნიშვნელობები დღეს მეტისმეტადაა დაცილებული ერთმანეთს.

რაც სიტყვების შესახებ ითქვა, მეტ-ნაკლებად ეხება თავისუფალი შესიტყვებისა და იდიომის დამოკიდებულებასაც. იდიომა არ შეიძლება იყოს ომონიმური მისი პირველსახის, თავისუფალი შესიტყვების მიმართ, მიუხედავად შემდეგი გარემოებებისა:

1) ესჭერთეულები სხვადასხვა რიგის ენობრივ მოვლენებს წარმოადგენენ: თავისუფალი შესიტყვება ორგანიზდება მეტყველებაში ენას მისგან ეკუთვნის მხოლოდ მოდელი. მისი კონკრეტული დატვირთვა ხდება მეტყველებაში. იდიომა კვლავწარმოებადი მისი მოდელიცა და კონკრეტული ზინაარსიც ენის საკუთრებაზე წარმოადგენს.

¹⁰⁰ ბ. ფოჩხუა, ხსენებ. ნაშრ., გვ. 24.

¹⁰¹ იქვე.

¹⁰² არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 190.

2) თავისუფალი შესიტყვება რამდენიმე დამოუკიდებელი ცნებების უბრალო ჯამია, იდიომი კი მნიშვნელობით სიტყვის ეკვივალენტია.

თავისუფალი შესიტყვებისა და იდიომის ომონიმურობას წინ ეღობება ერთი არსებითი სახის დაბრკოლება: ომონიმია, როგორც აღვნიშნეთ, გულისხმობს ორი სხვადასხვა წარმომავლობის ერთეულის შემთხვევითს, ფორმალურ დამთხვევას, რომელთაც არაერთარი აზრობრივი კავშირი არა აქვთ ერთმანეთთან. ეს ასეა სიტყვების მიმართ. მაგ., წელი — ადამიანის სხეულის ნაწილი და წელი — დროის მონაკვეთი, წელიწადი.

ასეთი დამოკიდებულება არ შეინიშნება იდიომისა და თავისუფალ შესიტყვებას შორის. იდიომი ფორმითაც და წარმოშობითაც „დავალებულია“ თავისუფალი შესიტყვებისაგან. აქ ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც სიტყვის მეტაფორული გადააზრებისას. მაგ., იგივე წელი — ადამიანის სხეულის ნაწილი და წელი — „შეძლება“ (შდრ. გამოთქმა მაგის წელი არა მაქვს); მარხლი — საკვები ნივთიერება და მარხლი — „ეშხი, ლაზარი“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი ავტორი მეტაფორულობისა და პოლისემიურობის ცნებას ერთმანეთისაგან თიშავს. მაგ., ბ. ფოჩხუას აზრით, თუ მნიშვნელობის გადატანის მომენტს დავეყრდნობით, პოლისემიიდან უნდა გამოვრიცხოთ ისეთი ფაქტები, რომლებშიც „გადატანა“ თვალსაჩინო არაა. ამასთან, იმის გამო, რომ გადატანითი მნიშვნელობები ყოველთვის არ წარმოადგენს ენობრივ მოვლენას, გაჭირდება პოლისემიისა და პოეტური ტროპის გარჩევა¹⁰³. შემდეგ ავტორს საილუსტრაციოდ მოჰყავს დაანელებს ზმნის მაგალითი, რომელიც განმარტებით ლექსიკონში ასეა დახასიათებული: 1) დააქრობს, დაშრეტს, ჩააქრობს... 2) გადატ. გააქრობს, მოსპობს, გაანადგურებს, დაღუპავს. მისი აზრით, მეორე ნომრით დამოუკიდებელი მნიშვნელობა კი არაა წარმოდგენილი, არამედ მეტაფორული ხმარება¹⁰⁴. (დაყოფა ჩვენია. — ა. თ.).

საბოლოოდ ბ. ფოჩხუა გადატანითი მნიშვნელობის, მეტაფორის ცნებას გამოუსადეგრად თვლის პოლისემიის თეორიის

¹⁰³ ბ. ფოჩხუა, პოლისემიის საკითხისათვის, იბერიულ-კავკასიური ჟნათმეცნიერება, ტ. XII, 1960, გვ. 107.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 133.

ასაგებად და სავსებით ეყრდნობა კონტექსტის ცნებას, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს მასში შემავალი სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობას¹⁰⁶.

ვფიქრობთ, მეორეული მნიშვნელობების ცნება მოიცავს გადატანით მნიშვნელობასაც და ეს უკანასკნელი ერთ-ერთი აქტიური ელემენტი უნდა იყოს პოლისემიურობის დადგენისათვის.

მართალია, ზოგჯერ პოლისემიის პოეტურ ტროპში არევის საშიშროება ჩანს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში გადატანითი მნიშვნელობა ენის ფაქტს წარმოადგენს და დამოუკიდებელი მნიშვნელობის სახე აქვს. მაგ., მოცოცხა „გაიქცა“, ჩაფლავდა „მარცხი განიცადა“, მოინელა „იმსხვერპლა, გადაიყოლა“, იფრინა „დააფრთხო, გააქცია“... თვით მეტაფორულ ხმარებად გამოცხადებული და ანელებს ზმნის შემდეგი შინაარსიც — გააქრობს, მოსპობს, გაანადგურებს — გადატანით მნიშვნელობად უნდა ჩაითვალოს.

ასევე პოლისემიაში შეტანისათვის დაბრკოლება არ უნდა ხვდებოდეს იმ ფაქტებს, რომლებშიც მნიშვნელობის „გადატანა“ თვალსაჩინო არაა. პოლისემიის მიმართ ისტორიულ პოზიციებზე დადგომა ამ საკითხის მოვლასაც გულისხმობს.

ამდენად, თუკი სიტყვის ნომინატიური და გადატანითი მნიშვნელობები პოლისემიის ცნებაში ერთიანდება, ასევე უნდა შეფასდეს დამოკიდებულება თავისუფალ შესიტყვებასა და იდიომს შორის.

აღსანიშნავია, რომ პოლისემიის საკითხი იდიომთან სხვა სიბრტყეზედაც დგას. აქ იგულისხმება არა ნომინატიურ და გადატანით მნიშვნელობათა რეალიზაცია, არამედ ამ უკანასკნელის ნიუანსთაგან დამდგარი მნიშვნელობანი. ხშირად ეს გადახრები ძნელი გასარჩევია ერთმანეთისაგან, ხშირად კი საკმაოდ გამოკვეთილი ჩანს. იდიომის პოლისემიურობას იცავს გ. დემენტიევა. მისი აზრით, შემდგომი განვითარების პროცესში აზრობრივი ელფერი შეიძლება დადგეს დამოუკიდებელ მნიშვნელობად და შექმნას მნიშვნელობათა კომპლექსები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება „გადასვლის ხილებით“. ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს გამოთქმის პოლისემიასთან¹⁰⁶.

¹⁰⁶ ბ. ფოჩხუა. ხსენ. ნაშრ., გვ. 107.

¹⁰⁶ Г. Я. Дементьева, Семантико-стилистические особенности фразеологических выражений, гв. 296.

ავტორი აღნიშნავს, რომ პოლისემია ძირითადად დამახასიათებელია უმოტივაციო იდიომებისათვის. მისი აზრით, ამას ის გამართლება აქვს, რომ ასეთი გამოთქმები უშუალოდ არ არიან დაკავშირებული კომპონენტების მნიშვნელობებთან და სემანტიკური განვითარებისათვის მეტი თავისუფლება აქვთ. ამის შემდეგ საილუსტრაციოდ მოჰყავს მაგალითები:

Валять дурака: 1) Дурачиться, помешать выходками.

2) Делать глупость.

3) Бездельничать, ასევე: шутить, обманывать, капризничать და სხვ.

Висеть в воздухе: 1) Быть в неопределенном положении.

2) Остаться без движения, без исполнения.

3) Оказаться необоснованным, не находить поддержки.

Глядеть в оба: 1) Смотреть пристально, внимательно.

2) Быть осторожным, бдительным და სხვ.

ჩვენი აზრით, ავტორი მართალი არაა, როდესაც პოლისემიის მოვლენას უშვებს ძირითადად უმოტივაციო იდიომებში. იგი ასევე დამახასიათებელია მოტივირებული ხატოვანი იდიომებისათვის (ავტორის მიერ წარმოდგენილი გამოთქმები *высечь в воздухе* და *глядеть в оба* ხატოვანი იდიომების ნიმუშებია!).

ამ აზრს ამაგრებს ქართული ენის მონაცემებიც. აქ ბევრი ხატოვანი იდიომი გვხვდება რამდენიმე მნიშვნელობით:

გ უ ლ ი მ ო უ ბ რ უ ნ დ ა: 1) მდგომარეობას შეურიგდა.

2) შიში გაუქრა.

გ უ ლ ი ს კ ა რ ი გ ა უ ლ ო: 1) გამოუტყდა.

2) ენდო.

კ ბ ი ლ ი და ა დ გ ა: 1) ამოიჩემა.

2) შეიძულა.

ხ ე ლ ს ა რ აჭ ლ ე ვ ს: 1) უსარგებლოა.

2) არ ეხმარება.

თ ა ვ ი ა რ ა ა ქ ვ ს (რისამე): 1) დალილია.

2) უძლურია, არ შეუძლია..

გ უ ლ ი გ ა უ ს კ დ ა: 1) მოკვდა.

2) შეშინდა.

თ ვ ა ლ ი მ ო უ ხ უ ქ ა: 1) წაუყრუა.

2) უსაქმურია.

ტყავს აძრობს: 1) მკაცრად აკრიტიკებს.

2) ექსპლოატაციას უწევს.

ბელი გაუწოდა: 1) დაეხმარა.

2) თანაგრძნობა გამოუცხადა და სხვ.

ამგვარად, გარდა იმისა, რომ თავისუფალ შესიტყვებასა და იდიომის აქვს პოლისემიური დამოკიდებულება, თვით იდიომიც იფითარებს განსხვავებულ მნიშვნელობებს, რომელთა დაზუსტება კონტექსტში ხდება.

ლექსიკური არქაიზმები იდიომში

ხშირად სიტყვები ისე გამოდის ხმარებიდან, რომ კვალს არ ტოვებს. მაგრამ იშვიათად მათ „მცველად“ მყარი გამოთქმები, იდიომები რჩება. ცნობილია, რომ სიტყვა მყარ კონტექსტში, სხვა სიტყვებთან მკვიდრო კავშირში უფრო ინახავს თავს, ვიდრე ცალკე ხმარებისას.

ქართულ ფრაზეოლოგიაში ბლომად გვხვდება არქაული და ხმარებიდან გამოსული სიტყვები¹⁰⁷. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია შემთხვევები, რომელთა უცხოურობა ეჭვს არ იწვევს. ესაა ძირითადად არაბული და სპარსული წარმოშობის სიტყვები:

1) იხტიბარს არ იტებს — გულს არ იტებს, იმედს არ კარგავს, უხერხულ მდგომარეობას არ იმჩნევს. იხტიბარი გაუტყდება — საქციელი წაუხდება, შერცხვება.

იხტიბარი ← არაბ. იხტიბარ „გამოცდილება“, „მოხერხება“ (მღრ. განმ. ლექს., IV, სვ. 992). ცალკე შემოგვრჩა მხოლოდ უარყოფითი ფორმით: უიხტიბრო. დიალექტებში იხტიბარის გვერდით გვხვდება მისი ფონეტიკური სახეცვლილება: ესტიბარს || ესტიბარს გაიტებს.

2) აინუნშიაც არ მოსდის — ფიქრალაც არ მოსდის, არ ამჩნევს, ყურადღებას არ აქცევს, არაფრად აგდებს.

აინუნი ← არაბ. 'აინუნ „თვალი“ (მღრ. განმ. ლექს., I, სვ. 211).

¹⁰⁷. ასეთივე ვითარებაა სხვა ენებშიც. მაგ. რ. პოპოვის თავის დისგრამატიკაში (Грамматические архаизмы в устойчивых фразеологических единицах, გვ. 416) მოჰყავს ათასამდე რუსული ფრაზეოლოგიები, რომელთა შემადგენელი ელემენტები მოძველებულია თანამედროვე ვნისათვის.

3) თადარიგს დაიჭერს — წინასწარ მოემზადება. თადარიგს შეუდგება — სამზადისს შეუდგება.

თადარიგი ← არაბ. თადარუქი „მოემზადება“, „სიფრთხილე“ (შდრ. განმ. ლექს., IV, სვ. 202).

სასაუბრო მეტყველებაში გვხვდება აგრეთვე: თადარიგი დაიჭირა.

4) ილაჯი გაუწყდა || გამოელია — ძალა გამოელია. აქედან კომპოზიტები: ილაჯგაწყვეტილი, ილაჯნაწყვეტი, ილაჯწასული, ილაჯგამოლეული, ილაჯგამოცილილი.

ილაჯი ← არაბ. ყილაჯ „საშუალება“, „წამალი“, „მკურნალობა“ (შდრ. განმ. ლექს., IV, სვ. 665).

5) არაქათი გამოეცალა || გამოელია — დაიღალა, ძალა წაერთვა.

არაქათი ← არაბ. ჰარაქათ „მოძრაობა“ (შდრ. განმ. ლექს., I, სვ. 549).

6) ძე. თასლიბს გაუწყვეს — ძე. გაამხნევებს, ანუ გეშეგბს.

თასლიბი ← არაბ. თასლიბ „გამაგრება“ (შდრ. განმ. ლექს., IV, სვ. 345).

7) იშტაზე მოვიდა — მადაზე მოვიდა.

იშტა ← არაბ. იშთიჰან საუბ. „მადა“, „სურვილი“, „ნდობა“ (შდრ. განმ. ლექს., IV, სვ. 918).

8) აზამბარში მოყვანა — ძე. ღვინის სმაში გათანასწორება შემოსწრებულისა (როდესაც სმაში შემოსწრებულს იმდენსავე დააღვინებენ, რამდენიც მის მოსვლამდე დამხვედურებმა დალიეს).

აზამბარი ← სპარს. აზჰამბარ „თანასწორი ტვირთის მქონე“ (შდრ. განმ. ლექს., I, სვ. 167).

კახურში ღღესაც გვხვდება იმავე მნიშვნელობით: აზამბარში მოსვლა.

9) ბათილამა დაუსვა — ძე. გააუქმა. ბათილამა გამოართვი! — ძე. თამასუქების გაუქმების ხელწერილი ჩამოართვი.

ბათილამა ← არაბ.-სპარს. ბათილანმე „თამასუქების გაუქმების ხელწერილი“, ძე. გაუქმებული თამასუქი, ხელშეკრულება (შდრ. განმ. ლექს., I, სვ. 951). შემოგვრჩა მხოლოდ ზმნური ფორმით: აბათილებს.

10) აბრუსარიტებს — გაჭირვებას არ იმჩნევს, გულს არ იტებს, არ ეშუება.

• აბრუ ← სპარს. აბრუ „პირის წყალი“, „პატიოსნება“, „სახელი“, „პატივი“, „ავტორიტეტი“ (შდრ. განმ. ლექს., I, სვ. 77).
ფერეიდნულში გვაქვს გამოთქმა: პირზე არ მამდის — მრცხვენია (შდრ. პირის წყალი).

11) ბარიშანის აშლა — მშვიდობიანობის დარღვევა, ჩხუბის ატება.

ბარიშანი || ბარიშალი ← თურქ. ბარის „შერიგება“ (შდრ. განმ. ლექს., I, სვ. 982).

12) იაღლიშად მოსვლა — შეცდომის დაშვება.

იაღლიში ← თურქ. ანლიშ საუბ. „შეცდომა“ (შდრ. განმ. ლექს., IV, სვ. 543).

13) ბოლთასა სცემს || ჰკრავს — წინ და უკან დადის პატარა ადგილზე, ჩვეულებრივ დაფიქრებული ან გაბრაზებული.
ბოლთა ← იტალ. volta „მოტრიალება“ (შდრ. განმ. ლექს., I, სვ. 1091).

გარდა ზემოჩამოთვლილი უცხოური წარმომავლობის სიტყვებისა, იდიომებში დასტურდება ლექსიკური ერთეულები, რომლებიც საერთო სიტყვათხმარებიდან გამოსულია და ეტიმოლოგიური ახსნა არა გვაქვს.

14) აბუჩად აგდება — ვისიმე (ან რისამე) არარად მიჩნევა; ვინმესთვის, რაიმესთვის ანგარიშის გაუწველობა; ვისიმე ამით დამცილება.

აბუჩი — უხამსი (დაუპატივებელი) სტუმარი (საბა).

15) ალაიაში გატარება || გაძვრენა — ძვ. დასჯის სახეობა იყო: დასასჯელს ატარებდნენ ჯარისკაცთა ორ მწკრივს შორის. მწკრივში მდგომი ყველა დაარტყამდა დასასჯელს (წიკპლას, ჯოხს...) || გადატ. ადანიანის საჯაროდ შერცხვენა.

ალაია — კუთხ. (გურ.) ორი მწკრივი პირისპირ დამდგარ ადამიანთა (შდრ. განმ. ლექს., I, სვ. 264).

არის ვარაუდი, რომ ალაია რუს. аллея'ს (ხეივანი) დაუკავშირდეს. სინამდვილეში იგი თურქული წარმომავლობისა ჩანს: ალაი алау—1) ბრბო, 2) საზეიმო სვლა, პროცესია, 3) სამხ. ასეული, 4) ხუმრობა, დაცინვა¹⁰⁸.

¹⁰⁸ შდრ. Турецко-русский словарь, под редакцией В. А. Гордаевского, 1931, გვ. 58.

თურქ. *alay*'ს მნიშვნელობებიდან ყურადღებას იქცევს მესამე: *სამხ. ასეული, პოლკი* (ზღრ. ქართული: დასასჯელს ატარებდნენ *ჯარისკაცთა* ორ მწკრივს შორის) და მეოთხე: ხუმრობა, დაცინვა (ზღრ. ქართ. გადატანითი მნიშვნელობა: ადამიანის საჯარო დაცინვა).

16) დოგა-დოგა დაადგება თავს — თავზე დაადგება და საშეველს არ მისცემს. დოგა-დოგა მიდის ვინმეზე — პირდაპირ, მუშტის დასარტყმელად მიდის.

ამ გამოთქმებში დოგა-დოგა ასრულებს ზმნისართის როლს. გვხვდება ზედსართავის ფუნქციითაც: დოგა-დოგა ბიჭები — ახოვანი და თავისი სიტყვის გამტანი, მტკიცე ნების ბიჭები (ზღრ. განმ. ლექს., III, სვ. 1201).

17) ელეთ-მელეთი მოსდის — შიში იპყრობს, თავზარი ეცემა. ელეთ-მელეთს ჰგვრის — შიშის ზარს სცემს (ზღრ. განმ. ლექს., III, სვ. 1320).

ელეთ-მელეთი ფუძის გაორმაგებით მიღებული კომპოზიტი ჩანს (ზღრ. აფან-ჩავანი, აყალ-შაყალი...).

18) აფრაკად არის — მოისულელებს.

აფრაკი — 1. გახმობისაგან გამრუდებული ფიცარი. 2. საუბ. თავქარიანი, მოსულელო ადამიანი (ზღრ. განმ. ლექს., I, სვ. 705).

ქართლში გვხვდება: კარები აფრაკად არის (დააფრაკადება) — კარები ვერ დაიკეტება, ერთმანეთს ასცდება (აქ აფრაკი'ს პირველი მნიშვნელობის გამოვლენა ჩანს). აფრაკი თავისი გადატანითი მნიშვნელობით შესაძლოა უკავშირდებოდეს გურ. შეფრეკილა (|| შეპრეკილა) ჭკუაზე — შეშლილა ჭკუაზე.

შესაძლებელია, აფრაკი მოდიოდეს არაბ. ფარაკი-დან (?): ფარაკუნ — 1) დაყოფა, გაყოფა, განცალკევება, განსხვავება, დაბნევა, გაბნევა¹⁰⁹.

19) აბრაგანი ჰკრა — გადატ. პანლურის ცემით გააგლო, კიტლაყი ამოჰკრა.

აბრაგანი — ბურთის ჩოგნის აღმა კვრა (საბა).

20) ინადის გაწევა — ჯიბრის გაწევა. ინადში ჩადგომა — ჯიბრში ჩადგომა.

¹⁰⁹ ზღრ. *Арабско-русский словарь*, под ред. X. К. Баранова, 1958, გვ. 760.

ინადი — ძვ. ჯიბრი, ქიშპი, „შური“ (დ. ჩუბინ.). ნათქვა-
შია: „ერთმანეთისა ინადითა, სახლი აივსო ნაგვითა“ (შდრ. განმ.
ლექს., IV, სვ. 718).

21) სახტად დარჩა — გაოცდა, განცვიფრდა, გაშტერდა
(მოულოდნელი შემთხვევისაგან). არაა შემორჩენილი სახტად
სიტყვის სახელობითი ფორმა.

22) ილინქის მოგება || დაგება — ლალატი, დაღუპვა,
განადგურება, საფრთხეში ჩაგდება.

ილინქა — ძვ. ჩიტის მახე გალიის მსგავსი (საბა).

ილინჯა — იგივეა რაც ილინქა (დ. ჩუბინ.).

დღეს გამოთქმა ილინქის დაგება შეცვლილია მახის
დაგებით.

23) თავზე ბაყიას ატეხს — კუთხ. (ქიზიყ.) ნიშნის მო-
გებით უსაყვედურებს: ახია შენზე, გიმაღე, არ გამიგონეო (შდრ.
განმ. ლექს., I, სვ. 1002).

სავარაუდოა, ბაყია კავშირში იყოს ბაყთან: ბაყი — ძვ.
გარდამოვლით სამღურავი (საბა), ყვედრება. უფრო მოსალოდ-
ნელია მისი დაკავშირება ქართულში დადასტურებულ მეორე
ბაყთან: მესერი, ლობე (დ. ჩუბინ.), მით უმეტეს, რომ იმავე
ქიზიყურში გვაქვს ბაყი-ლო || ბაყი-ლა ახალნორჩი კაკლის
ხის აღსანიშნავად (სტ. მენტეშაშვილი. შდრ. განმ. ლექს.,
I, სვ. 1002).

24) დამის მოხდა, დამში მოყვანა — 1) პირდ. მოხარ-
შული ფლავისაგან ზედმეტი სინოტივის, წყლის მოცილება. 2) გა-
დატ. საქმის ბოლომდე მიყვანა, საქმის მოგვარება. დამში მო-
სული საქმე — გადატ. მოგვარებული, გაკეთებული, გათავებული
საქმე (შდრ. განმ. ლექს., III, სვ. 496).

სიტყვა დამი სპარსული წარმომავლობისაა და ნიშნავს
სუნთქვა'ს, ორთქლ'ს.

25) კარგი (კაი) დახლი დაუდგება! — ძვ. ირონ. მცი-
რე შემოსავალი ექნება || გადატ. ცუდად წაუვა საქმე.

დახლი — 1) წინიდან დახურული გრძელი, ვიწრო მაგიდა —
გამყიდველის დაზგა. 2) ძვ. ვაჭრობით აღებული ფული, შემო-
სავალი, ნაფაქრი (შდრ. განმ. ლექს., III, სვ. 108).

ამ ორი მნიშვნელობიდან დღეს ცოცხალია პირველი: დახ-
ლი — მაგიდა, მეორე მნიშვნელობა კი ილიომშია დაცული.

26) მუსრი გაავლო — მოსპო, ამოწყვიტა.

მუსრი ცალკე არ იხმარება არსებითი სახელის ფორმით, მაგრამ გვხვდება ზმნური სახით: მუსრავს — ხოცავს, ელეტს, სპობს, ამოწყვეტს. ძველ ქართულში ნამუსრი, ნამუსრევი ნიშნავს ნამტვრევს, ნატეხს, ნახორხალს (დ. ჩუბინ.).

მუს-ს-რი წარმოება ქართული არა ჩანს. აქ ასოციაციისათვის ზედმეტი არ იქნება არაბ. მა'სურ ქუნ'ის (ტყვე)¹¹⁰ მოყვანა.

27) ნირსარ იცვლის — წარბხარ იხრის, მაგრად დგას თავის საქმეზე. ნირი მეფეცვალა — ფერი წაუვიდა, შეშინდა.

ნირი — 1) წესი, რიგი. გეზი, მსვლელობა. 2) ზნე, ჩვევა, ხასიათი (შდრ. განმ. ლექს., V, სვ. 1491). ცალკე გვხვდება მხოლოდ უარყოფითი ფორმით: უნირო.

როგორც ვხედავთ, ბევრი ამგვარი სიტყვის წარმომავლობა და მნიშვნელობა ბუნდოვანია. ისინი შემორჩენილან მზამზარეულ ყალიბში მოქცეული ძველი მნიშვნელობით. ამის შედეგია დღეს ზოგიერთი მათგანის განსხვავებულ ფონეტიკურ-მორფოლოგიური ვარიანტებით წარმოდგენა. მაგ., თადარიგმა (არაბ. თადარუჟი), რომელიც შემდეგ შეუცნობელი გახდა ქართველისათვის, მიიღო წმინდა ქართული გაფორმება: თავდარიგი (თავ + და + რიგი). ასეთ გააზრებას, ალბათ, ხელი შეუწყო გარკვეულმა ანალოგიამ: წესრიგი, განრიგი. მსგავს შემთხვევებად ჩათვლება:

28) მარაქაში გაერევა — ირონ. ხალხში გამოჩნდება.

მარაქა — ქალთ ჯარი ლხინში (საბა), ადამიანთა კრებული (შდრ. განმ. ლექს., V, სვ. 55).

მარაქა სასაუბრო მეტყველებაში გადააზრებულადაა წარმოდგენილი: ბარაქაში ერევა.

მარაქა არაბულ-სპარსული წარმომავლობისა ჩანს: შდრ. არაბ. მაყრაქათუნ — ბრძოლა, შეტაკება, კომპანი¹¹¹ და სპარს. مکرکس — ...3) გადატ. ხალხის ხმაურიანი თავშეყრა¹¹².

¹¹⁰ Арабско-русский словарь, გვ. 39.

¹¹¹ შდრ. იქვე, გვ. 665.

¹¹² შდრ. Персидско-русский словарь, გვ. 510.

29) ნიშნის (მო)უგებს — (გა)უხსენებს, (მო)აგონებს რასმე (დაცინვის ელფერთ); აგრძობინებს, რომ თვითონ მართალია, რომ მას აჯობა (შდრ. განმ. ლექს., V, სვ. 1501). პარალელურად გვხვდება: ნიშს უგებს ან ნიშანს უგებს. გვაქვს აგრეთვე: შანს უგებს, იშნს უგებს.

რომელია ამოსავალი: ნიშნი, ნიშანი, ნიში, შანი თუ იში (იშნი)? რკვევისათვის რამდენიმე შესაძლებლობაა გასათვალისწინებელი:

1. ამოსავლად ნიშანი'ს მიჩნევა. შეკუმშული ფორმა ნიშნს უგებს (მოსალოდნელი იყო: ნიშანს უგებს) იმით შეიძლება აიხსნას, რომ მიცემითი დაეყრდნო არა სახელობითს: ნიშანი მოუგო, არამედ ნათესაობითს: ნიშნის მოგებით. ნიშან'თან კავშირში მოდის არაბ. ნაშუშანა — დამიზნება, მიზანში ამოღება, დაღის || ნიშნის დასმა (Арабско-русский словарь, გვ. 1024).

2. ამოსავლად ძველი ქართული ნიშის მიჩნევა: „ნიშები და სასწაულები ქმნა“. ნიში — რუს. *знамение*. შდრ. სვან. მქსმე ლანშან — მესამე ნიში || ნიშანი.

3. იში || იშნი ფორმების არსებობა ყურადღებას მიგვაქცევინებს თურქ. *iş-ზე*: იში — საქმე, სამუშაო (Турецко-русский словарь, М., 1931, გვ. 490).

4. არის ვარაუდი, რომ ეს ვარიანტი (იშს || იშნს უგებს) შორისდებულური წარმოშობისა იყოს.

30) დარჯაკში გამოივლის || დარჯაკში გატარდება — გადატ. დიდ გამოცდილებას მიიღებს, გამოიწრთობა.

დარჯაკი — ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბი (შდრ. განმ. ლექს., III, სვ. 647).

დარჯაკის პარალელურად გვხვდება: დარჯაგი, დარიჯაგი, დარიჯა.

31) დორანში ჩაეარდება — გადატ. კარგი ბედი მოუვა, კარგ ცხოვრებასა და სიმდიდრეში ჩაეარდება. დორანი დაეცემა — ბედი მოუვა.

დორანი — მყუდრო ადგილი წყალში, სადაც თევზები თავმოყრილი არიან. გადატ. ბედი, იღბალი. პარალელურად გვხვდება: დოვრანში ჩაეარდება (შდრ. განმ. ლექს., III, სვ. 1213).

ამ სიტყვას საერთო უნდა ჰქონდეს დარანთან: დარანი — 1. გამოკვებადი კლდეში ან მიწაში || თევზის ბუნავი, სამალავი, ჯილე.

დარანი შესაძლოა სომხ. დარან'ს უკავშირდებოდეს (ზღრ. სომხ. მატენა დარან — სიძველეთსაცავი).

32) მტლედ დაედება — წამლად დაედება, ემსხვერპლება, შეეწირება.

მტლე — იგივეა, რაც ტლე (ზღრ. განმ. ლექს., V, სვ. 1150). პარალელურად გვხვდება: მტლად დაედება || ტლედ დაედება.

33) კისტის კვრა. განმარტებით ლექსიკონში კისტის კვრა და კინწის კვრა გაიგივებულია: კისტის კვრა — იგივეა, რაც კინწის კვრა (ზღრ. განმ. ლექს., IV, სვ. 1232).

კინწი — 1. საუბ. კისერი, ქელი. აქედან გამოთქმები: კინწი მოსწყდება — ღონე გამოეცლება, არაქათი გამოეღევა; კინწის კვრა — კინწში ხელის ჩართვა; კინწის კვრით — ზმნს. ისე რომ კინწში ხელს წაკრავენ, ჩაართვამენ (ზღრ. განმ. ლექს., IV, სვ. 1220).

აღნიშნულ გამოთქმებში კინწი სხვადასხვა წარმომავლობისა უნდა იყოს: კინწი მოსწყდება — აქ იგი სალექსიკონო მნიშვნელობითაა: კისერი მოსწყდება, ქელი მოსწყდება. კინწის კვრა²ში კი კინწი კინძის (საკინძის) სახეცვლილებას უნდა წარმოადგენდეს¹¹³: კინწის კვრით გააგლო — საკინძის შეკვრა არ დააცალა, ისე გააგლო. ასეთი სახეცვლილება (კინძი → კინწი) რომ დასაშვებია, ამას ადასტურებს ქინძისთავი ← კინძისთავი ← საკინძისთავი (ივ. ჯავახიშვილი).

რაც შეეხება კისტს (გამოთქმაში კისტის კვრით), იგი უნდა უკავშირდებოდეს ქიშტს: ქიშტი — უკეთუ თითებითა გოჯის კერძო კრა (საბა). ასეთივე გაგება აქვს დ. გურამიშვილის ლექსში: „ყველამ წაკრა თითო ქიშტი“ (→ კისტი).

34) აღმაცერად უყურებს — უნდობლად უყურებს.

აღმაცერად მიღებულია ორი გამოთქმის კონტრამინაციით: ელმად (ელამად) ცქერა და ცერად (ირიზად) ცქერა. აქედან: ელმად ცერად → აღმაცერად (აქ. შანიძე).

¹¹³ კინწი რომ აქაც კისერს უდრიდეს, უნდა გვეჩინოდა კინწში კვრით და არა კინწის კვრით.

გარდა არსებითი სახელებისა, იდიომში გვხვდება ზმნური ელემენტები, რომლებიც ცალკე არ იხმარება:

35) თავს დურთავს — ერთბაშად გავარდება, გაიქცევა, მოკურცხლავს, თავს უშველის (ზდრ. განმ. ლექს., III, სვ. 1239).

დურთავს ზმნა მხოლოდ ამ გამოთქმაში გვხვდება და ოდნავ ირონიული ელფერი ახლავს.

36) გული ერჯის — ყოჩაღად არის, გული საითკენმე მიუწევს.

ერჯის'ს აკავშირებენ ერჩის'თან: გული ერჯის იგივეა, რაც გული ერჩის (ზდრ. განმ. ლექს., III, სვ. 1436). მართლაც, ორივე ფორმა უნდა მოდიოდეს საერთო ესჯის'იდან:

1) ერჯის ← ესჯის (ზდრ. რძე ← სძე, რძალი ← სძალი, რჯული ← სჯული).

2) ერჩის ← *ესჩის ← ესჯის (ზდრ. რჩული ← სჯული, სარჩელი ← სასჯელი).

ამრიგად: ესჯის → *ესჩის → ერჩის.

↙
ერჯის.

37) გული ეთანაღრება — გულნაკლულადაა, უკმაყოფილოა, გულს აკლია, საწყენად რჩება, დაუკმაყოფილებლობას გრძნობს.

ეთანაღრება გვხვდება მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში (ზდრ. განმ. ლექს., III, სვ. 1289).

38) ხელის მოცარვა — ხელის შეშლა, ხელის გაკუდება. დაცარვა — 1. უკულმა ტრიალით დაშლა, დარღვევა (დაგრეხილისა). 2. გადატ. უკულმა წაყვანა, ჩაშლა, წახდენა (საქმისა); ხელის შეშლა (ზდრ. განმ. ლექს., III, სვ. 981).

ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი

ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობა

ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში მრავლად გამოიყოფა შედარებით ანალიტიკური ხასიათის ერთეულები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომუნიკაციის პროცესში. მართალია, მათ არ ახასიათებს იდიომისებური შტკიცე სემანტიკა, მაგრამ ერთ მთლიან გაგებას მაინც იძლევიან. ესაა ე. წ. ფრაზეოლოგიური შესიტყვებები. ასეთი, გამოთქმების საფუძველს ქმნის ერთ-ერთი კომპონენტის მნიშვნელობის ფრაზეოლოგიურად დაკავშირება. გამოთქმაში სიჩუმე ჩამოყარდა ზმნათვისი კონკრეტული მნიშვნელობით არაა წარმოდგენილი. იგი შინაარსობრივად უტოლდება დადგაკორელატს: სიჩუმე დადგა. ასევე არანომინატიური გაგება აქვს ზმნებს გამოთქმებში: ეჭვი შეეპარა, ოცნებაში წაყვინდა, ყურადღება მიიზიდა...

ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობა სემანტიკური ცვლილების სხვადასხვა ხარისხს გვიჩვენებს. ერთი მხრივ, გვაქვს სიტყვა გარკვეულ კონტექსტში შექმნილი გადატანითი მნიშვნელობით. საკითხი წამოიჭრა — აქ მეორე კომპონენტი გადატანითად გამოყენებული. ასევე: ძილი გაუტყდა, შიში ჭამა, სიტყვა შეუბრუნა...

ასეთ შემთხვევებში სახელადი კომპონენტი ქმნის გამოთქმის სემანტიკურ ცენტრს. ზმნა მხოლოდ მოქმედებისთვის კონკრეტული სახის მიმცემია: ძილი ერევა — ძალიან ეძინება.

მეორე მხრივ, შეიმჩნევა საპირისპირო პროცესიც — საგნობრივ მნიშვნელობათა დაკარგვა. ეს ძირითადად მოსდის „ფართო სემანტიკური მოცულობის“ ზმნებს, რომლებიც სიტყვათკავშირებში მოქცევისას იცლებიან რეალურ-საგნობრივი შინაარსისაგან და რჩებათ დამხმარე ზმნის ფუნქცია¹¹⁴: განკარგულება გასცა, წინადადება მისცა, გამოცდები დაიჭირა, ბრძოლა აწარმოვა.

¹¹⁴ С. И. Ожегов, О структуре фразеологии, გვ. 44.

ხშირად ზმნები მხოლოდ ნახევრად დამხმარე მნიშვნელობას იტოვებენ და მოქმედების აბსტრაქტულ-ლექსიკურ კატეგორიას გამოხატავენ. ამოსავალში კი მათ თავისი ლექსიკური მნიშვნელობით შეედქოთ კონკრეტულ და ზოგად სახელებთან შეექმნათ ფართო ფრაზეოლოგიური სერიები: დასლო — ხელი, ფიცი, პირობა, სიტყვა, თავი; გაუტყდა — სახელი, გული, ძილი...

ზოგიერთი ავტორი გადატანითი მნიშვნელობისა და „ფართო სემანტიკის“ მქონე ზმნებს შორის მკვეთრ ზღვარს ავლებს, რაც არასწორად მიგვაჩნია. მართალია, „ფართო სემანტიკის“ ზმნებს სახელებთან დაკავშირების მეტი დიაპაზონი აქვთ, ვიდრე გადატანით მნიშვნელობიანებს, მაგრამ ეს არაა არსებითი. ვფიქრობთ, დიდი განსხვავება არ უნდა იყოს საკითხი წამოიჭრა'ს (გადატანითი მნიშვნელობა) და იმედი მიეცა'ს („ფართო სემანტიკის“ ზმნა) შორის. ბოლოსდაბოლოს ორივეგან სიტყვის არათავისუფალი მნიშვნელობა გვაქვს, გადატანითი მნიშვნელობის გაჩენის შედეგია იგი თუ ძველის დაკარგვისა. ძველი რომ იკარგება, რაღაც მნიშვნელობა (თუ მნიშვნელობის ელფერი) ხომ რჩება. ამასთან, გადატანითი მნიშვნელობის დამკვიდრებაც ხომ ნომინატიური მნიშვნელობის მიჩქმალვისა და დაბნელების ხარჯზე ხდება.

ფაქტია, რომ გადატანითი მნიშვნელობისა და „ფართო სემანტიკის“ მქონე ზმნების გათიშვა ქირს: მაგ., *излить* გამოთქმაში *излить гнев* მიაჩნიათ გადატანითი მნიშვნელობისად, *держат* კი *держат экзамен* ში — „ფართო სემანტიკისად“¹¹⁵. ორივე გადატანითია. ამავე დროს ზმნურ ეკვივალენტს ზოგი გადატანით მნიშვნელობიანი გამოთქმის შესატყვისად თვლის¹¹⁶ (შიში ქამა — შეშინდა), ზოგი კი „ფართო სემანტიკის“ ზმნის მქონე გამოთქმის ფარდად¹¹⁷ (სანან ურად გაუხდა — დაენანა).

დასაშვებია, ფრაზეოლოგიურ ტესიტყვებებში ფრაზეოლოგიურად დაკავშირებულ მნიშვნელობათა გაჩენის ორ სხვადასხვა პროცესთან კი არ გვეკონდეს საქმე (ერთი მხრივ — გადატანა, მეორე მხრივ — დაკარგვა), არამედ მნიშვნელობის გადატანისა და, ამის გამო, ნომინატიური მნიშვნელობის მიჩქმალვის ერთი პროცესის ორ სხვადასხვა სახეობასთან.

რაც შეეატება „ფართო სემანტიკის“ ზმნებს (ქონა, მიცემა, დაღება), ისინი იმდენად მნიშვნელობას კი არ კარგავენ,

¹¹⁵ С. И. Ожегов, ხსენ. ნაშრ., 13. 44.

¹¹⁶ А. П. Мордвилко; Глагольно-именные описательные выражения, 1956, გვ. 87 (საკანდ. დისერტ.).

¹¹⁷ С. И. Ожегов, იქვე.

რამდენადაც მათ მყარი სემანტიკური ბირთვი არ გააჩნიათ და ამიტომ შედარებით თავისუფლად უკავშირდებიან არსებით სახელთა ფართო წრეს.

სიტყვის გამოყენება და ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობა

ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობის საკითხთან ახლოს დგას სიტყვის გამოყენებისა და ხმარების საკითხი. მათ შორის სხვაობის დადგენა ძნელია. გადაჭრით ვერ ვიტყვით, ფრაზეოლოგიურ კონტექსტებში: მწარე ხუმრობა, ტკბილენა — მწარე და ტკბილი ფრაზეოლოგიური მნიშვნელობითაა თუ მათ სტილისტიკურ გამოყენებასთან გვაქვს საქმე.

ზოგიერთს ბაგაჟის განმარტება — ერუდიცია, ცოდნის მარაგი — არ მიაჩნია ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობად, რადგან მხოლოდ შესაბამის კონტექსტში ვლინდება იგი¹¹⁸. ასეთივე ექვემდებარება უკბილოს მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მისი გადატანითი მნიშვნელობით ხმარება ფრაზეოლოგიურად ჩაკეტილია გამოთქმათა ვიწრო წრით: უკბილო ხუმრობა, უკბილო კრიტიკა, უკბილო დაცინვა, მას მაინც გადატანითად გამოყენების ფორმად თვლიან¹¹⁹. ვ. ვ. ვინოგრადოვს ასევე *лающий* ფორმა (ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში *лающий голос*) გამოყენებად მიაჩნია, რადგან *лаять* ზმნის ძირითად მნიშვნელობას უერთდება მხოლოდ ხარისხობრივი დახასიათება: *словно лающий*¹²⁰. დ. უშაკოვს იგი ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობადა აქვს ჩათვლილი¹²¹.

ძნელია იმის თქმა, ამ კონკრეტულ შემთხვევებში რომელი შეფასება უფრო სწორია.

როდესაც სიტყვის გამოყენებაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება ის გარკვეული აზრი, რომლითაც გადატანითად ხმარებული სიტყვა იტვირთება ახალ ფრაზულ გარემოცვაში. ცბა-

¹¹⁸ В. В. Виноградов, Основные типы лексических значений: слов: Вопросы языкознания, 1953, № 5, გვ. 10.

¹¹⁹ იქვე.

¹²⁰ იქვე, გვ. 23.

¹²¹ Толковый словарь русского языка, под ред. Д. Н. Ушакова, т. II.

დია, აზრი ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობაზე ვიწრო შინა-
არსს შეიცავს. მისი მოქმედების სფეროს ახლად შექმნილი შესი-
ტყუებებია, რომელთაც ჯერ კიდევ ინდივიდუალურობის ბეჭედი
აზის და ენობრივი სანქცია არ ეიწილია.

აზრი შინაარსობრივ-სემანტიკური შესაძლებლობებით სხვა-
დასხვა ხასიათისაა. არსებობს ინდივიდუალური აზრი, რო-
მელიც ფრაზულ გარემოცვას რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას-
თან იძენს და, ამდენად, ინტუიციების სფეროს არ სცილდება. ინ-
დივიდუალურაზრიან სიტყვებს ხშირად ვხვდებით წყაროების მიერ
შემოქმედებითად და თვითნებურად შექმნილ სიტყვათკავშირებში,
რომელთაგან გარკვეული ნაწილი დროთა ვითარებაში ენის სა-
კუთრება ხდება.

გამოყოფენ ფრაზეოლოგიურ აზრს. რომელიც უცვლა-
ზე ახლოს დგას ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობასთან. ჩაგ. ნიან-
ნიათ; რომ გამოთქმა ცქერით (თვლებით) შექამა ფრაზე-
ოლოგიური შესიტყუება, მაგრამ წინამ ჯერ კიდევ ვერ განიღუ-
შაეა განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მიმართულებით. უბრა-
ლოდ, ზმნის ძირითადმა კონკრეტულმა მნიშვნელობამ მიიღო ახა-
ლი ელფერი, შეუერთდა რა განუცნებულ არსებობას. ეს ელფერი
ხარისხობრივი ხასიათისაა: უყურებს ისე, თითქოს ჭამს¹²². ფრა-
ზეოლოგიურ აზრს, რომელიც ახლოა მოთმენასთან,
იძენს აგრეთვე საყრდენი წინის მნიშვნელობა განიღუშეში *проз-
лотить обиду*.

ამგვარად, ფრაზეოლოგიური აზრი წარმოადგენს
ერთგვარ „ტრამპლინს“ ფრაზეოლოგიური მნიშვნელო-
ბის მისაღებად. იგი ბოლო საფეხურია ამ მნიშვნელობის ჩამო-
ყალიბების გზაზე. მიუხედავად იმისა, რომ ფრაზეოლოგიური
აზრი ხშირად რჩება აზრად, მას მაინც აქვს უფლება ფრაზეოლო-
გიურ შესიტყუებათა საწარმოებლად (*прозлотить обиду*’ს მა-
გალითი).

როგორც აღვნიშნეთ, ზოგადად აზრის (resp. სიტყვის გა-
მოყენების) გამოყენება ფრაზეოლოგიური მნიშვნელობისაგან სავ-
სებით კანონზომიერი აქტია. მაგრამ, როდესაც კონკრეტულ მა-
სალაზე მიდგება საქმე, კვლიდობა კერძო.

თუ მკაცრად განსაზღვრულ კონტექსტებში ხმარების ნიშანს
დავეყრდნობით, სხვაობას ვერ დავადგენთ: აზრიც და მნი-

¹²² В. С. Виноградов, Фразеологические сочетания, გვ. 67.

შენელობაც ვლინდება მცირერიცხოვან ფრაზულ გარემო-
ცვაში.

არც საზოგადოებრივი მასშტაბით აღიარებულობაა გამოი-
წავი კრიტიკიუმი. „ფრაზეოლოგიური აზრიც საზოგადოებ-
რივად განმტკიცებული ელფერია“¹²³.

ერთადერთ განმასხვავებელ ნიშნად რჩება დროის არალინ-
გვისტური ფაქტორი: ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა გამოვლინე-
ბულია ტრადიციულ, დროთა განმავლობაში დაკანონებულ კონ-
ტექსტებში, ფრაზეოლოგიური აზრი კი შედარებით „ახალია“.
მას ასეთი ტრადიციული საფუძველი არა აქვს.

ფეიქრობთ, ეს არალინგვისტური ნიშანი საკმარისი არაა
ფრაზეოლოგიური მნიშვნელობისაგან ფრაზეოლოგიური აზრის
გამოსაყოფად. მათი დანიშნულებების საკითხი ღიად რჩება.

საერთოდ, აზრის ამდენი სახეობის (ინდივიდუალუ-
რი, ფუნქციონალური, პოტენციალური, ფრაზეო-
ლოგიური)¹²⁴ შემოტანა არახელსაყრელად მიგვაჩნია. ეს არ-
თულებს მდგომარეობას და აფერხებს ფრაზეოლოგიურად დაკავ-
შირებული მნიშვნელობის ცნების დაზუსტებას.

ფრაზეოლოგიური შესიტყვების შემაჯგენელი ელემენტები

ფრაზეოლოგიური შესიტყვების ბუნების გარკვევისათვის დი-
დი მნიშვნელობა აქვს მისი კომპონენტების სემანტიკური სახის
ჩვენებას. უნდა აღინიშნოს, რომ ზმნურ ფრაზეოლოგიურ შესიტყვ-
ებებში სახელად ნაწილად აბსტრაქტული სახელები გამოდიან. ესე-
ნია, ძირითადად, გრძნობის, ემოციის, შინაგანი მდგომარეობის,
სულიერი განწყობის, მოძრაობის, თქმის და სხვ. გამომხატველი
სიტყვები: ყურადღება, ზიანი, ხათრი, წუხილი, დარ-
დი, სიჩუმე, მოთმინება, წინააღმდეგობა, სევდა,
ხმაური, შედეგი და სხვ.: ყურადღება მიიპყრო, ხათ-
რი გაუწია, შიში ჰამა, სიჩუმე ჩამოვარდა...

ეს ნიშანი, რომელიც ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას თავისე-
ბურ ელფერს აძლევს¹²⁵, სამეცნიერო ლიტერატურაში შენი-
შნულია.

¹²³ В. С. Виноградов, იქვე, გვ. 67.

¹²⁴ როგორც ვ. ს. ვინოგრადოვსა აქვს (იქვე, გვ. 58-72).

¹²⁵ თავისუფალი შესიტყვებისა და აქედან იდიომის საყრდენ სიტყვად
კონკრეტული მნიშვნელობის სახელია წარმოადგენილი: წიგნს კითხუ-

„როგორადაც უნდა განსხვავდებოდნენ ნომინატიური კომპონენტები თავისი ლექსიკური მნიშვნელობით, მათ აკავშირებს ერთი საერთო ნიშანი: ყველა ისინი არ ასახელებენ კონკრეტულ საგნებსა და ნივთებს, არ ეფარდებიან (не соотносят) მატერიის რომელსამე სამგანზომილებიან ფორმას“¹²⁶.

ფრაზეოლოგიური შესიტყვების სემანტიკურ პროცესს ქმნის სწორედ ამ აბსტრაქტული სიტყვების დაკავშირება კონკრეტულ-საგნობრივი მნიშვნელობის ზმანასთან¹²⁷: სიცილი და აყარა, ჯავრი ჩაპყვა, სიტყვა მოუჭრა, წინააღმდეგობა გაუწია... მდგომარეობა არ იცვლება იმით, როდესაც სუბსტანტიურ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებასთან გვაქვს საქმე. აქაც სემანტიკურ ცენტრად აბსტრაქტული სახელი გამოდის: მაღალი გრძობა, ტკბილი სიტყვა, ნწარე გაკვეთილი.

ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა სემანტიკურ თავისებურებებზე საინტერესოა აზრი აქვს გამოთქმული ვ. ს. ვინოგრადოვს. მას შემოაქვს ოთხი პირობითი ნიშანი: K , A , K^1 , A^1 . K -თი აღნიშნავს კონკრეტულ-საგნობრივი მოქმედების გამოზნატველ ზნებს, A -თი კი გრძობის, ინტელექტის, ემოციისა და სხვა ხასიათის აბსტრაქტულ ზნებს. მათ შესაბამისად K^1 -ით აღნიშნება კონკრეტული არსებობები, A^1 -ით კი—აბსტრაქტულები¹²⁸. შემდეგ ავტორი წარმოადგენს მათი შეკავშირების ოთხ შესაძლებელ ვარიანტს: 1) $K + K^1$, 2) $K + A^1$, 3) $A + A^1$, 4) $A + K^1$.

ამ ოთხი ტიპიდან, ავტორის აზრით, პირველი შესაძლებლობა (კონკრეტული ზნა + კონკრეტული არსებობითი) დამახასიათებელია თავისუფალი შესიტყვებისა და აქედან იდიომისათვის. თავისუფალ შესიტყვებას განეკუთვნება აგრეთვე მესამე ტიპი (ორივე აბსტრაქტული).

ვ. ს. ვინოგრადოვისათვის მხოლოდ მეორე ფორმულაში: $K + A^1$ — კონკრეტული ზნისა და აბსტრაქტული სახელის კავშირისას ხდება შესაძლებელი ფრაზეოლოგიური შესიტყვების ტიპის მიღება.

ლობს, ქვას ისყრის (თავისუფალი შესიტყვება), ენას კბილი და აკირა, მზე ახოსდის (იდიომა).

¹²⁶ В. С. Виноградов, სენ. ნაშრ., გვ. 91.

¹²⁷ იდიომებშიც ამ სახის ზნები გვაქვს. მაგამ, როგორც აღნიშნეთ. ისინი კონკრეტულ არსებობებთან არიან დაკავშირებული: ხელიდან წაუვიდა, თავი აიშვა, ტყავი გააძრო ...

¹²⁸ იხ. В. С. Виноградов, იქვე, გვ. 96.

„სწორედ აქ ჩნდება ზოგიერთი გზები და საშუალებანი-
აბსტრაქტულის სფეროში კონკრეტულის შექრისა თავისი კონ-
კრეტულობის შემდგომი „დაყრუებით“¹²⁹.

ჩვენ სავესებით ვენხრობით ვ. ს. ვინოგრადოვის ზიერ ფრა-
ზეოლოგიური წესიტყვების ძირითადი პროფილის $K + A^1$ ფორ-
მულით წარმოდგენას. მაგრამ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ამ
დროს $A + A^1$ ფორმულის (ორივე აბსტრაქტული) როლის მთლი-
ანად უგულვებლყოფა. ავტორის აზრით, შინაგანი მდგომარეობის,
გრძნობის, მოძრაობის და ლაპარაკის გამონხატველი ზნეები არ
შედიან ფრაზეოლოგიური წესიტყვების შემადგენლობაში¹³⁰.

ფტიქრობთ, ფრაზეოლოგიურ წესიტყვებათა ტიაში დასა-
შვებია ზოგიერთი აბსტრაქტული ხასიათის ზნეებიანი გამოთქმე-
ბის შეტანაც. არის ზნეები, რომლებიც მხოლოდ აბსტრაქტულ
სიტყვებთან კავშირში ამჟღავნებენ შინაარსს: ისახავს იქედს,
უზიარებს გამოცდილებას, სინადის დანაშაულს,
ატეხს განგაშს, აწარმოებს საქმეს, აგემებს და-
რტყმას...

რა როლს ასრულებენ კომპონენტები ფრაზეოლოგიურ შე-
სიტყვებაში?

განყენებულ არსებითებს ნომინატიური მნიშვნელობა აქვთ.
ისინი წარმოდგენენ საყრდენ სიტყვას და ატარებენ გამოთქმის
ძირითად მნიშვნელობას: ძილი ერევა ნიშნავს ეძინება'ს,
ანალიზი გაუქვთა — გააანალიზა'ს, წინააღმდეგობა
გაუწია — აეწინააღმდეგა'ს... ზნა ამ დროს ავლენს მაკონ-
სტრუირებელ ფუნქციას — გამოთქმას აძლევს პრედიკატულობას.
იგი შეუმწინველად კარგავს თავის კონკრეტულობას და აღნიშნულ
ფრაზულ გარემოცვაში იძენს აბსტრაქტულობის ელემენტს. და
რაც უფრო ქმეტ ფრაზეოლოგიურ კონტექსტებში მონაწილეობს
იგი, იმდენად მკვეთრად ჩანს მისი მანშნავებელი, დაშმარე
ფუნქცია.

სიტყვათა კავშირები

ენის ლექსიკურ სისტემაში მნიშვნელობათა ყოველგვარი გა-
დახრა ეყრდნობა არსებულ ნომინატიურ მნიშვნელობებს. ცხადია:

¹²⁹ В. С. Виноградов, *იქვე*, გვ. 105.

¹³⁰ *იქვე*, გვ. 103.

ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობის საფუძველსაც თავისუფალი, პირდაპირი მნიშვნელობა ქმნის, რომელიც სიტყვის საგნობრივ-ნივთიერ შინაარსს ატარებს, გრამატიკულად გაფორმებულია და ენის საერთო-სემანტიკური სისტემის ელემენტად ითვლება.

ნომინატიური მნიშვნელობანი მყარია და, ასე ვთქვათ, თავისუფალი. მათი გამოყენების წრე, მათი კავშირების წრე შეესაბამება თვით საგნებსა, მოვლენებსა და პროცესებს შორის კავშირებს. ასე მაგ., ზმნა გატეხა თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა გატეხაც რეალურად შესაძლებელია: გაუტყდა — ქიქა, თეფში, თავი, მანქანა, კალამი... ასევე შეიტანა ზმნა უკავშირდება ყველა იმ საგანს, რომლის შეტანაც მოსახერხებელია: შეიტანა — ფული, განცხადება, ლოგინი, თოფი...

როდესაც მნიშვნელობა ჩაიკეტება მკაცრად განსაზღვრულ ფრაზეოლოგიურ გარემოცვაში და შეერთდება მხოლოდ მცირერიცხვან სიტყვებს, მაშინ თავისუფალ მნიშვნელობაზე ლაპარაკი კი ზედმეტია. იგივე გატეხა ზმნა მესიტყვებებში: სახელი გაუტყდა, ძილი გაუტყდა, ფიცი გატეხა, პირობა გატეხა აღარ იხმარება პირდაპირი შინაარსით. აქ მას მიღებული აქვს წახდენის, მოშლის ელფერი. ასევე შეიტანა ზმნა კონტექსტში: ეჭვი, ხალისი, გარდატეხა, გამოცოცხლება, არეუდარევა — შეიტანა თავისებური ნიუანსის მატარებელი (არ ვიტყვით: დარდი, უბედურება — შეიტანა), განსხვავებულია ნომინატიურისაგან, მაგრამ მთლიანად არაა მოცილებული საგნობრივ შინაარსს.

ამგვარად, სიტყვის არაყოველღვარ კავშირში შესვლა არის პირველი ნიშანი მისი ფრაზეოლოგიურად ჩაკეტვისათვის. იძლევა ზმნის მნიშვნელობას იმიტომ ვაცხადებთ არათავისუფლად, რომ იგი არ უკავშირდება ყველა სინონიმურ და სემანტიკურად ასლოპ მდგომ სიტყვებს. ვამბობთ: პირობას, სიტყვას, იმედს — იძლევა, მაგრამ არ ვიტყვით: სურვილს იძლევა... იხმარება: შიში, სირცხვილი — ქამა, მაგრამ არ ითქმის: სიხარული, მწუხარება — ქამა.

გამორიცხულია შემთხვევები, როდესაც ზმნის არათავისუფალი მნიშვნელობა ელინდება არსებითის ყველა სინო-

ნიმთან ურთიერთობაში. ეს რომ ასე იყოს, მაშინ არათავისუფალი მნიშვნელობის ცნებაც მოიხსნებოდა.

არის კი რაიმე საფუძველი ასეთი შეზღუდვისათვის?

ყოველ შენთხვევაში, თვით აღსანიშნ ცნებათა ლოგიკურ ბუნებაში არავითარი. სიტყვათა კავშირებს ზღუდავს არა საგნობრივი მიმართებანი, არამედ კომპონენტთა სემანტიკური თავისებურებანი და სიტყვიერ მნიშვნელობათა კავშირის კანონები. ეს ფრაზეოლოგიური კონტექსტები ჩამოყალიბებულია საუკუნეთა მანძილზე და ასეა დღემდე მოღწეული. ამიტომ ენაღერსებელ დაქტორად მოქმედებს აგრეთვე სიტყვათხმარების ტრადიციის კანონიც. „არის ცტევები, რომელთა იმპროვიზაცია არ შეიძლება, ისინი მზა-მზარეულადაა გადმოცემული ტრადიციით“ (ლენსიური).

საქირაა ენობრივი კოლექტივის იმ ფსიქიკური სიტუაციის აღდგენა, როდესაც ეს შეროფარგვლა მკვიდრდებოდა. მაშინ შეიძლება რაღაც საზღვრები მოგვინოს ამ შეზღუდვას. მაგ., რუს. *берет* ზნა თავისი ფრაზეოლოგიური მნიშვნელობით უკავშირდება უარყოფითი ემოციების გამოშატველ სიტყვებს: *отраж, досада, тоска, злость* — *берет*, და არ გვსვდება დადებითთან: *радость, удовольствие* — *берет*.

შესაძლოა, თავდაპირველად ამ ზმნის გადატანითი გაგება შემოიფარგლა ერთი მინიარტულების ემოციებით. პემდგომ მისი ხმარების რადიუსი ჩან გაზარდილა, ამას გვიჩვენებს გამოთქმა: *с мех берет*. ასევე დასაწვებია დროთა განმავლობაში იგი დაუკავშირდეს *радостью, удовольствием*-ს და მიიღოს ენობრივი სანქცია.

ცნობილია, რომ ენები განსხვავებული არიან სიტყვათმეკავშირების კანონებით — ხშირად ერთ ენაში გარკვეული სიტყვის ირგვლივ შექმნილ ფრაზეოლოგიურ მესიტყვენებს მეორე ენაში არ გააჩნია რიცხობრივად ტოლი პარალელები. რუსულში არ ამბობენ: *радость берет*, ქართულში კი ამ გამოთქმას გაკვალული აქვს გზა: სიხარულმა შემოიპყრო (მდრ. პარალელური: სიხარულმა აღმიტაცა). რუსულში იხმარება *выразительный взгляд, красноречивый взгляд*, მაგრამ არ ამბობენ: *говорящий взгляд*, თუმცა პრედიკატული ფორმით გვხვდება: „*Ваши глаза просто говорят*“ (გოგოლი). ინგლისურში არსებობს გამოთქმა: *speaking look*, სიტყვასიტყვით *говорящий*

შედეგი. ქართულშიც გვხვდება ადეკვატური ფორმა: მეტყვე-
ლი გამოხედვა. ამასთან გვაქვს უარყოფითი სახითაც: არაფ-
რისმთქმელი გამოხედვა.

უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ ენებს შორისაა გან-
სხვავება სიტყვათა შეკავშირების მხრივ, არამედ ერთი ენის ფარგ-
ლებში, მის სხვადასხვა ეტაპებს შორისაც.

ცხადია, დროთა განმავლობაში ფრაზეოლოგიურ შესიტყვე-
ბათა მარაგი მატულობს, ისე როგორც მატულობს ენის ლექსი-
კური მარაგი. წინა საუკუნეებში შექმნილი მასალა მემკვიდრეო-
ბით გადმოეცენა მთავრობებს, რომელიც მას ზრდის და სრულ-
ყოფილს ხდის. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ზოგი სი-
ტყვათკავშირი გამრღის ხმარებიდან და იცვლება ახლით. ასეთი
შემთხვევები ყოველი ენის შიგნით შეიმჩნევა და ღირებულებათა
გადაფასების პროცესს ემორჩილება. მაგ., რუსულში ბოლო საუ-
კუნის მანძილზე აღწერილი გამოთქმებში შეიცვალენ ზმნური კომ-
პონენტები: *сделать предложение*'ს ნაცვლად დამკვიდრდა
произвести предложение, уважить просьбу'ს ნაცვლად —
удовлетворить || принять просьбу, учинить решение'ს
ნაცვლად — *вынести решение*. მათზე, როგორც სინონიმურ
წყვილებზე, ვერ ვინსჯებთ, რადგან პირველი ვარიანტები
დღეს საერთოდ აღარ გვხვდება.

იმევე რუსულში აღარ იხმარება ცნობილი წყვილების მიერ
შემოტანილი ფრაზეოლოგიური შესიტყვევები: *сделать вопрос*
(ა. ბუშკინი, ი. ტურგენევი, ნ. ოსტროვსკი), *делать обращение*
(ბ. ბელინსკი), *делать уверение* (ა. გერცენი), *делать восклицание*
(მ. ლერმონტოვი), *сделать возражение, делить рас-
спросы* (ი. გონჩაროვი), *сделать ответ, делать характеристику*
(ლ. ტოლსტოი), *сделать похвалу...* (ა. სოლოვიოვი)¹²¹.

ანალოგიური მდგომარეობაა ქართულშიც. მაგ., ი. ჭავჭავა-
ძის დროს ცოცხალი იყო გამოთქმა ღონისძიების მიცემა:
„ღონისძიება მამცეთ“ (ი. ჭავჭ., გლეზ. განთ. სცენ., გვ. 235)¹²²,
მაგრამ დღეს აღარ შემორჩა. იხმარებოდა აგრეთვე: დიმილი

¹²¹ В. А. Козьменко. Глагольно-именные фразеологические обороты в современном русском языке, 1955, გვ. 257 (საკანდ. დიხტრ.).

¹²² მაგალითები მოყვანილია 1952—54 წლებში გამოცემულ ი. ჭავჭავა-
ძის თხზულებათა სრული კრებულიდან.

მოსდით (იქვე), სიცილი მოსდის (იქვე, გვ. 349), ინტერესი მოგივიდა (დიამბ., გვ. 413), ე. ი. მოსვლა ზმნას XIX ს-ისთვის გამოყენების სხვა წრე ჰქონია დამატებით. დღეს იგი გვხვდება იქვედგ სემანტიკურ კავშირებში: მოსდის — ტირილი ოცრემლები, ძილი, შეცდომა, მარცხი, ბრაზი; სისულელე, კრუნჩხვა, ხარჯი. დასტურდება ილიომის შემადგენლობაშიც: გული მოუვიდა (გურ. კუჭი მოუვიდა). ვლეთ-მელეთი მოუვიდა.

აღარ დასტურდება აგრეთვე შემდეგი გამოთქმები: გაძლო-მა არ მოგეკიდათ (მაქანკ., გვ. 357), სიყვარული ჩამოვარდნილიყო (გლახ. ნაამბ., გვ. 99, მაგრამ იემორჩა საპირისპირო: სიძულვილის ჩამოვარდნა), მიზეზი მოუდო (ოთარ. ქვრ., გვ. 295), იმედი მოვემატე (გლახ. ნაამბ., გვ. 92), აღერსი მოეწყო რამ (კაც. ადამ., გვ. 136), ახირებულობას სჩადიოდა (აკაკი წერეთ., ჩემი თავგ., გვ. 26)¹³³, მუსრს აღენდნენ (ბაში-აჩუკი, გვ. 106), საჩივარი უნდა ავუტეხო (ჩემი თავგ., გვ. 68), მიზეზი ჩადგომა და სხვ.

ცხადია, დღეს ამ ხმარებიდან გააუღი ფორმების აღდგენა ისევე შექმნის უხერხულობას, როგორც ახლის დაუდევრად წარმოება, რაც ხშირად ძეიმჩნევა გაბმულ ზეტყველებაში. მაგ., წუხილში ჩაეარდა — საგონებელში ჩაეარდა'ს ნაცვლად, დარდი მოერია — ბრაზი მოერია'ს ზავიერად. ასევე ყურს უხეზად ხვდება შემდეგი ლაუსუსები: საგონებელში შევიდა, მარცხი მიაყენა, დანაკლისი მიაყენა, ეჭვი გამოიტანა და სხვ.

მაშასადამე, სიტყვათშეკავშირების კანონები ისტორიული ხასიათისა ყოფილა. იგი იცვლება სხვა ელემენტების შესაბამისად და ენის ყოველ ეტაპზე განსხვავებულ ფრაზეოლოგიურ კონტექსტებს წარმოგვიდგენს. ამიტომ ენის სემანტიკურ სიტყვანი სიტყვიერ კავშირთა კანონების შეფასებისათვის მიზანშეწონილი იქნება ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა ისტორიულ ასპექტში განხილვა, მათი ჩამოყალიბების სიტუაციის აღდგენა.

აქვე ერთი საკითხის შესახებ. ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ რამდენადაც მრავალ სემანტიკურ კავშირებში შედის ზმნა, იქნებად ერთმევა მას ფრაზეოლოგიური მნიშვნელობით წარმოდგენის უფლება. მათი აზრით, ეს დამოკიდებულია ზმნის მიერ

¹³³ მაგალითები დამოწმებულია ა. წერეთლის თხულებათა შედგენილის IV ტომიდან (1948 წ.).

საგნობრივ-რეალური მნიშვნელობის დაკარგვის ხარისხსა და იმ მომენტზე, თუ რამდენად მყარ გარემოცვაში უხდება მას არსებობა¹²⁴.

ჩვენი აზრით, ეს დებულება დაზუსტებას მოითხოვს. ზმნის გარშემო შექმნილ სიტყვათა დიდსა თუ მცირე წრეს გადაწყვეტი როლი არ უნდა ჰქონდეს ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის განსასაზღვრავად. მთავარია, რომ ეს წრე არ უტოლდებოდეს ზმნის ნომინატიური მნიშვნელობით შექმნილ წრეს. რაც შეეხება ფრაზების განსხვავებულ რაოდენობას, იგი ზმნის მნიშვნელობათა განსხვავებული სემანტიკური პოტენციის ანარეკლია. არის ზმნები, რომლებიც შედარებით ფართო ფრაზულ გარემოცვაში ვლინდებიან. მაგ., უწევს — კონტროლს, კონკურენციას, დახმარებას, მეგობრობას, ხათრს, მფარველობას, ურჩობას, წინააღმდეგობას, ჯიბრს, სამსახურს. ექსპლოატაციას... (არ ვიტყვით: უწევს — სიყვარულს, სიძულვილს, ბოროტებას...)

ასევე იღებს ზნა: აიღო — ტემპი, მაგალითი, ექვი, სიტყვა, ვალდებულება, (არ ვიტყვით: აიღო — ფიცი, პირობა, გამოცდილება...) ¹²⁵, მიიღო — გამოწვევა მონაწილეობა, გადაწყვეტილება, შემჩნევა, შენიშვნა, დასტური, პასუხი, შედეგი და სხვ. სულ რამდენიმე არსებითანაა დაკავშირებული გატება ზმნის სემანტიკა: გაუტყდა — სახელი, ძილი; გატება — ფიცი, სიტყვა, პირობა; გაუტება — ხათრი, სახელი. ასევე: ჰამა — მძი, სირცხვილი, ჯავრი; ჩამოვარდა — სიჩუმე, ლაპარაკი, საუბარი, უთანხმოება, განხეთქილება; მიაყენა — შეურაცხყოფა, უსიამოვნება, ჭრილობა, ზარალი და სხვ.

საქირია შესწავლილ იქნეს ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში შენაეალი ყველა ზნა და დაჯგუფდეს ნათი სემანტიკურ შესაძლებლობათა მიხედვით.

¹²⁴ В. С. Виноградов, Фразеологические сочетания, გვ. 84.

¹²⁵ აიღო ზნის მონაწილეობით შექმნილი ზოგიერთი სიტყვათაგანში კართულში რუაულის კალკს წარმოადგენს: აიღო — ტემპი, მაგალითი, ვალდებულება (შდრ. რუს. взять — темп, пример, обязательство), ზოგი კი წინდა ქართულია: აიღო ექვი. მაგრამ ამას არა აქვს ძირითადი საკითხისათვის მნიშვნელობა.

ხატოვნება ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში

ფრაზეოლოგიური შესიტყვების ერთ-ერთ საფუძვლად მეტაფორული გარემოა მისაჩნვეი. გადატანითი მნიშვნელობით ნახშირი სიტყვები „სარეალიზაციო ჯგუფთან“ ერთად ქმნიან ფრაზეოლოგიურ კონტექსტებს. გამოთქმას პასუხი მოუჭრა ტროპული ამოსავალი აქვს: მოუჭრა ზნა არათავისუფალი მნიშვნელობით (ნისცა, გასცა) უკავშირდება აბსტრაქტულ არსებითს (პასუხი). ასევე გამოთქმამი კავშირი გააბა მეტაფორულად ნახშირ სიტყვასთან (გააბა) გვაწვს საქმე. სწორედ ეს კავშირი კონკრეტულსა ზიგადთან ქმნის მეტაფორულობას. საესებით რეალურ სეგრინებას მწარე მიყვავართ შედარებით განყენებულ მეტაფორამდე: მწარე ხვედრი.

ფრაზეოლოგიური შესიტყვების ხატოვან საფუძველში ექვის შეტანა გამოწვეულია დღევანდელ ეტაპზე მასში ხატოვნების ელემენტის ისედაც მცირე ხვედრითი წონის უგულვებელყოფით.

ავტორთა ერთი ჯგუფი ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას განიხილავს როგორც სახოვნებისაგან დაცლილ მეტაფორას. ამის ძირითად მიზეზად მიანათ მეტაფორის აბსტრაქტიზება. „ენაში მეტაფორის დამკვიდრების შემდეგ სახე მთლიანად ნივიფიცება“¹³⁶. ლ. ბულახოვის ასრით, „მრავალმა სიტყვამ შენდგომი განვითარების შედეგად შეიძლება მთლიანად დაკარგოს მამეტაფორებელი აზრი. ვამბობა და გადატანითობას არ ვგრძნობთ: აქედან გამოზდინარეობს აუცილებლობა, შიშის დაძლევა-სათი ნიდის, სიტყვის გაწყვეტინება, ფიქრებში ჩაიძირა, ყინვან მოუქირა და სხვ.“¹³⁷.

ნართლაც, ფრაზეოლოგიური შესიტყვენის უმრავლესობაში მსატრული სახის სეგრინება დღევანდელ ეტაპზე მისუსტებულია: სინიუმე ჩამოვარდა, შიში ქამა, საკითხი გადაწყდა. ამის ძირითად მიზეზად ჩანს ის, რომ სასაუბრო მეტყველებაში ხშირი ხზარებით ცვთება გამოთქმა და იჩქნალება მამეტაფორებელი აზრი. რაც უფრო ახალია მეტაფორა, რაც უფრო ნაკლებად აზის ყოველდღიურობის ბეჭედი, მით უფრო ნათლად ხდება

¹³⁶ В. С. Виноградов, Фразеологические сочетания, гл. 76.

¹³⁷ Л. А. Булаховский, Введение в языкознание, 1954, гл. 61.

მისი აღქმა, რომელიმე ახლად დამკვიდრებულ გამოთქმას საჭმე დაიჭირა მეტი ექსპრესიული ძალა აქვს, ვიდრე ძველ შიში კამაჟს, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელში ხატოვნების მეტი ელემენტია. ვ. ს. ვინოგრადოვის მოსწრებული თქმით, „ნათელი ხატოვნება ფრაზეოლოგიზმის სიახალგაზრდავის მაჩვენებელია“¹²⁸. მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში ხატოვნების სრული გაქრობა ვიგულისხმოთ და მას აზრის გადმოცემისას მხოლოდ დანიშნარე ფუნქცია მივაკუთვნოთ. მაშინ ექვსის ავალით უნდა შეგვეხედავ იდიომების ექსპრესიული ფუნქციისთვისაც, რომელიც მათ საუკუნეების წინ მიიღეს.

ცხადია, ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში გამოავლილი სახოვნება ბნელდება, მაგრამ იგი არ ქრება. სახის გახსნა ნულამ შესაძლებელია, რადგან ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა ყოველთვის არსებობს სიტყვაში თავისუფალი მნიშვნელობის გვერდით, ადვილია მათ შორის აწრობრივი სიღის გაღება“.

ამგვარად, მიუხედავად ხატოვნების სემიოტიკურად აღქმის სხვადასხვა ხასიათისა, მთავარია, რომ იგი ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში სემიოტიკურად არსებობს და ანალიზით შესაძლებელია მისი მიკვლევა.

ფრაზეოლოგიური შესიტყვებისა და ეკვივალენტი ზმნის მიმართებისათვის

ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა უმრავლესობას მოეპყვება შესატყვისი ნასახელარი ნარტივი ზმნის სახით: გარდატეხა შეიტანა — გარდატეხა, დიქრში ჩავარდა — ფიქრობს, პასუხი მოვუტრა — უპასუხა. მარცხი მოსდო — უშარანუგეში სცა — ანუგეშა...¹²⁹.

¹²⁸ ანუ ხელოვნების ნაწარმოებიც: ნატოვის პეიზაჟი პირველად გაცილებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე მკაულ ნაუისა.

¹²⁹ ანუ შესაძლებლობას მოვლელელია თავისუფალი შესიტყვება. რომელიც სიტყვების გარდა არის მოქმედების სემიოტიკაც. შდრ. ფრაზეოლოგიური შესიტყვება უნდა ჩაუდგა — ექვსება და თავისუფალი შესიტყვება ქვესისვრის.

რაც შეეება იდიომს, აქ მხოლოდ რამდენიმე შენთხევა ევხდება ეკვივალენტური წარმოებისა: ცეცხლი მოეკიდა — გაეცხლდა, მხარი დაუჭირა — მიენხრო, თვალის ეცა — გაითვალა, თავის იდო — ითავა, კისრად იდო — იკისრა. ცხადია, ამ ვრთულ მაგალითებს იდიომისთვის დამახასიათებლად ვერ მივიღებთ.

გამოდის, რომ სინამდვილის ერთი და იმავე მონაკვეთის აღსანიშნავად ენა იყენებს ორ სხვადასხვა საშუალებას: შესიტყვებას და სიტყვას.

როგორია მათ შორის დამოკიდებულება ისტორიულად? რა ხვედრითი წონა აქვთ მათ ამჟამად ენაში?

პირველ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია გავითვალისწინოთ ორგანული ზმნებისა და აღწერითი ფორმების ისტორია, რადგან ფრაზეოლოგიური შესიტყვეების „წინაპრად“ სწორედ ამ უკანასკნელის გარკვეული ტიპი შეიძლება ჩაითვალოს.

ცნობილია, რომ აღწერითი ერთეული შედგება სახელადი ნაწილისა და ზმნის პირიანი ფორმისაგან, რომელიც ძირითადად დამხმარე ზმნას წარმოადგენს (ძველი ქართული არს, იყო, იქმნა, ყო). მაგრამ მის გვერდით ძველ ქართულშივე გვხვდება სხვა ზმნებიც, რომელთა როლსაც მხოლოდ დამხმარე ზმნის ფუნქციამდე ვერ დავიყვანთ. ისინი „გამოთქმაში თავისთავადობას, დამოუკიდებელ მნიშვნელობას მოკლებული არიან და მთლიანად აღწერაში იძენენ ახალ ზმნურ დანიშნულებას“¹⁴⁰.

„ვეითარცა სათნო-უჩნს სიწმიდესა შენსა, ეგრეთცა ქმენს“: ხანძთ., გვ. 23.

„ნუგეძინის-სცემდა მას და ეტყოდა“: შუშ., გვ. 5,2.

„მენათელ-გცემ თქვენ წყლითა“: ლ. 3,16.

გვხვდება აგრეთვე: ძალ-გიც, ზრახვა-ყვეს, ზიარ-იქმენ და სხვ.

სწორედ ამ სახის აღწერითი ფორმები გვაქვს მხედველობაში ფრაზეოლოგიური შესიტყვეების პირველ სახედ.

უნდა აღინიშნოს, რომ აღწერით ფორმათა (რისუ. ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა) გაჩენის საკითხს ენათმეცნიერები სხვადასხვანაირად უყურებენ:

1) თ. ბუსლაევის აზრით, ისინი წარმოიშვნენ ზმნასა და სახელზე მოქმედების განაწილების შედეგად: *держатъ речь — говорить*¹⁴¹.

2) ა. პოტებნიასთვის ამ „აღწერითი ზმნების“ არსებობა (*жалобу творить — жаловаться*) ენის ძველი ვითარების

¹⁴⁰ ივ. ქავთარაძე, აღწერითი ფორმების ზმნური მნიშვნელობის ისტორია ძველ ქართულში, მოხსენება წაკითხული იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართულურ ენათა განკოფილების სხდომაზე 1953 წლის 20 დეკემბერს.

¹⁴¹ ფ. И. Буслаев, Историческая грамматика русского языка, изд. 5-е, М., 1881. § 257. გვ. 320.

ამსახველია, როდესაც აზროვნება კონკრეტული იყო და მოქმედება გაიაზრებოდა. აუცილებლად ობიექტთან ერთად. მისთვის ჯერ იყო *шутки шутить* და შემდეგ *шутить*¹⁴².

3) არსებობს აზრი, რომ აღწერითი ფორმები წარმოადგენენ „ზედმეტი ინფორმაციის“ ნიმუშს. გაჩენისას ენაში მათ არავითარი ფუნქცია არ ჰქონიათ და შემდეგ ხმარებულან გარკვეული სტილისტიკური დანიშნულებით¹⁴³.

4) საინტერესო დაკვირვებები აქვს ძველი ქართული ენის მასალაზე ივ. ჭავჭავაძეს. მისი აზრით, დროის რთულ კატეგორიაზე გადასვლისას ყველა ძველი ასპექტური ფუძე ვერ მოექცა ახალი წარმოების ყალიბში და დარჩა დეფექტურად. ანტიომ აქ აღწერა შეიქნა რიგი ნაკვთების უქონლობის საკომპენსაციოდ გამოყენებული. „წ რ ც ე ლ-ყ ე ნ ი თ ერთადერთი შესაძლო ფორმა ასეთი მნიშვნელობის გადმოსაცემად. გა ა წ რ ფ ე ლ ე თ ძველ ქართულში შეუძლებელია“¹⁴⁴. ამრიგად, ავტორს ა. პოტებნიას მაგაფსად, აღწერითი ფორმები მიიჩნია მარტივი ზმნის წინარედ¹⁴⁵.

ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი თვალსაზრისები სწორად ვერ ასახავენ საქმის რეალურ ვითარებას.

დავიწყოთ იმით, რომ შეუძლებელია აღწერითი ფორმების მიჩნევა „ზედმეტი ინფორმაციის“ ნიმუშად. ყოვლად დაუკვებელია ენის ადრეულ სტადიაში წარმოქმნილი ელემენტების უფუნქციო ერთეულებად ჩათვლა. ენაში დასაბეგბეგია დროთა განმავლობაში ფუნქცია მოეპალოს რომელსაღმე ელემენტს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იგი უფუნქციოდ გაჩენილიყო, მით უმეტეს კონკრეტული, შედარებით მარტივი ენობრივი სტრუქტურის

¹⁴² А. А. Потебня, Из записок по русской грамматике, т. III, 1899, გვ. 355 და შმდ.

¹⁴³ ასეთი თვალსაზრისი ზოგიერთი ენათმეცნიერის მიერ (მ. კოპილენკო, ვ. ნიკიტევიჩი) გამოთქმულ იქნა შუა აზიის ენათმეცნიერთა თათბირის მსვლელობისას ფრაზეოლოგიის საკითხებზე ქ. სანარყანდში 1929 წლის სექტემბერში. ბოხსენებები იბეჭდება.

¹⁴⁴ ივ. ჭავთავაძე, ხსენებული ნაშრომი. ასეთივე თვალსაზრისი რუსული ჰევეების მიმართ მოცემული აქვს ვ. კოხმენკოს. ეს ჰევეები ასრულებენ დანაკლისი ფორმების როლს ზმნების ნასახულარი წარმოების ისტორიაში (Глагольно-именные фразеолог. обороты, გვ. 229).

¹⁴⁵ იგულისხმება არა საერთოდ ზმნისა და აღწერითი წარმოების პროლოგიური დანაკიდებულება (აქ, ცხადია, ზმნისა აქვს პროლოგიტი), არამედ ცალკეულ, გვივალენტურ შესატყვისებს შორის მიმართება.

სტადიაში. ცხადია, მას თავიდანვე გააჩნდა რალაც კონკრეტული დანიშნულება. მაგრამ რა სახისა? ყოველ შემთხვევაში იძულებას არ უნდა გამოეწვია ასეთი წარმოება, ე. ი. აღწერა არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ უქონლობის საკომპენსაციო რამ. ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ძველ ქართულშივე პარალელურად ნახმარი აღწერითი და მარტივი ეკვივალენტები: სწორ-ჰყვენ || დამასწორენ, ზიარ-იქმნა || იზიარა, გრძელ-ყვიან || განიგრძვიან, ზრახვა-ყვეს || შეიზრახნეს, მზა-უყვეს || დუშაღეს...¹⁴⁶

დაუშვებელია აგრეთვე აღწერითი ფორმების მოუქნელად და ძველი კონკრეტულობის გამომხატველად წარმოდგენა. ეს რომ ასე არ უნდა იყოს, ჩანს იქიდანაც, რომ აღწერითი წარმოების გაჩენა დღესაც ჩვეულებრივი პროცესია. ცნობილია, რომ ფრანგულში დღეს ზმნაზე მეტად ანალიზური ფორმები იკვლევს გზას, ხოლო ინგლისურში იმდენად გავრცელდა ზმნური შესიტყვებანი, რომ ზოგიერთი ენათმეცნიერი უკვე ლაპარაკობს (რა თქმა უნდა, არასამართლიანად) „ანალიზურ ენაში ზმნების კვდომის, ამ ლექსიკური ერთეულის დეგენერირების შესახებ“¹⁴⁷.

ძველი ორგანული წარმოების შეცვლა აღწერითით შეინიშნება ქართულშიც: ამოიყვანა → ამოყვანილიქნა, დავიწყდა → დავიწყებულქნა. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს და მხოლოდ სხვა ენასთან კონტაქტის პედეგად ვერ ჩაეთვლით მას.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, გაქირდება ხელალებით ამტიყო ზმნისა თუ ფრაზეოლოგიური შესიტყვების თსკარული პირველადობა (ფაქტია, რომ ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ძეგლებში გვხვდება მათი პარალელური წარმოება!). ამდენად, ეს საკითხი კვლავ ღიად რჩება.

რაც შეეხება ფრაზეოლოგიური შესიტყვებისა და ზმნური ეკვივალენტის ენობრივ ღირებულებას დღევანდელ ენაზე, ანას ნათელს ჰყენს ენათა ცოცხალი მონაცემები. მართალია, ისინი სინონიმურ ერთეულებად და აღიარებულნი, მაგრამ მათ შორის შეიმჩნევა საგრძობი განსხვავება.

ზოგიერთ ავტორს ანალიზური ფორმები არასრულყოფილად მიაჩნია, უპირატესობას ორგანულ წარმოებას ანიჭებს.

¹⁴⁶ ორგანული ფორმების ძველ ქართულში რომელიმე დი.ლექტიდან შესულად მიჩნევა დაპაჯერებლობას მოკლებულია.

¹⁴⁷ Н. А. Девитт, Фразеологические слово-сочетания с глаголом в современном английском языке: Иностр. языки в школе, 1955, № 4, стр. 18.

მოსაზრება, რომლის თანახმადაც ამ სინონიმურ წყვილში პრივილეგია ანალიზურ ერთეულებს მიეკუთვნება¹⁴⁸, გამართლებული უნდა იყოს.

კონკრეტულად რაში გამოიხატება ანალიზური ფორმის უპირატესობა?

1) უპირველეს ყოვლისა, იგი უფრო ექსპრესიულია, ვიდრე მარტივი ზმნა. ამ ექსპრესიულობას, როგორც აღვნიშნეთ, ქმნის ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობა. სიცილი და-აყარეს, მასხარად აიგდეს უფრო გამომხატველია, ვიდრე დასცინეს, გაამასხრეს. ამ უკანასკნელთ ექსპრესიულობის ელფერიც კი არა აქვთ. მათი უშუალო მიზანია ფაქტის კონსტატაცია.

2) განსხვავება დასტურდება სტილისტიკურ ასპექტშიც: ზმნურ შესიტყვებას აქვს შედარებით ოფიციალური ხასიათი. იგი „წიგნური“ ენისთვისაა ნიშანდობლივი. მ. ლომონოსოვის აზრით, პერიფრაზები ხელს უწყობენ მეტყველების მალალფარდოვნებას: *в страхе привести — устрашить, обижать кровью — окровавить*¹⁴⁹. ანალიზური ქცევების აკადემიური ტონი ჩანს იქიდანაც, რომ მათ ხშირად ტერმინოლოგიური დანიშნულებითაც იყენებენ: მაგ., რუს. *делать предложение* (მატრიმონიალური) — *предлагать*, *делать заявление* (დიპლომატიური) — *заявить*, *делать предостережение* (სასამართლო ტერმინი) — *предостерегать*¹⁵⁰. მათი შესატყვისი მარტივი ზმნები ძირითადად სასაუბრო მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი.

3) განსხვავებაა გრამატიკული ფუნქციების მხრივაც. ფრაზეოლოგიური შესიტყვება შედარებით მოქნილია. მას შეუძლია ყველა დროის წარმოება, რასაც ხშირად მოკლებულია ზმნური ეკვივალენტი. მაგ., რუსულში ვამბობთ: *делает доклад — докладывает*, მაგრამ *сделал доклад* — ნაწყოს წარმოება ზნას აღარ შეუძლია (გამოიყენება მისი მონაცვლე ძირი: *сделал*).

4) მოქმედების აღნიშვნაში ხარისხობრივი დახასიათების მხრივაც ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი აჯარბებენ ზმნებს. აქტიურ, მიზანდასახულ მოქმედებას ქცევები მეტად გადმოსცემენ:

¹⁴⁸ მსგავსი თანხმობის ტყუილ სინონიმებს იხილეთ: *Фразеологические обороты*, გვ. 428.

¹⁴⁹ იქვე, გვ. 49.

¹⁵⁰ იქვე.

სასაცილოდ აიგღო — აქ მოქმედება მეტადაა დაკონკრეტებული, ვადრე დასცინა“ში. ზოგად შეშინდა ზმნას ქცევის სახით გააჩნია რაჰდენიმე კონკრეტული შესატყვისი: შიში ჭამა, შიში ნახა, შიშია აიტანა, შიში მიეცა...

5) ხშირად სტილისტიკურ სხვაობასთან ერთად თავს იჩენს შინაარსობრივი დაცილებაც. ეკვივალენტური წყვილის ერთ-ერთი წევრი სემანტიკურად იხრება: სარგებლობა მოუტანა მნიშვნელობით არ უღრის ასარგებლას. ეს უკანასკნელი მხოლოდ ნივთიერ დაწარებას გულისხმობს, იმ დროს როდესაც სარგებლობა მოუტანა სულიერ მომენტსაც ითვალისწინებს: „წიგნის წაკითხვამ დიდი სარგებლობა მომიტანა“. არ ვიტყვი: დიდად მასარგებლა. ასევე ერთმანეთის ზუსტ სინონიმებად ვერ ვინხართ: ნება დართო — დაანება, ჯიბრში ჩაუდგა — გაეჯიბრა, სანანებლად გაუხდა — იწანა, მიზეზს ეძებს — მიზეზობს, ღონე მოიკრიბა — მოლონირდა...

ასეთია ფრაზეოლოგიურ შესიტყვებასა და ეკვივალენტ ზმნას შორის ნიშართება.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ყოველთვის არა გვაქვს ასეთი წყვილებრივი სისტემა. გვხვდება ანალიზური ერთეულები, რომლებიც მოკლებული არიან ზმნურ შესატყვისს: საკითხი წამოიჭრა, სიტყვა გააბრტყელა, ფიცი გატეხა... ასევე დასტურდება ზმნები ანალიზური ფორმების გარეშე. ასეთ „ანომალიებს“ თავისი ახსნა მოეძებნება. პირველ შემთხვევაში ორი გარემოებაა ანგარიშგასაწვეი:

1) როდესაც შესიტყვების სახელად ნაწილს პოტენციაში აქვს გაზმნავების შესაძლებლობა, მაგრამ ჯერ არ განხორციელებულა. იშვიათად სინონიმური შესიტყვებებიდან ერთი გაზმნავედება. მეორე — არა. მაგ., ეებას ასხამს — აქებს, მაგრამ ხობტას ასხამს — ზმნა აღარა გვაქვს (უნდა ყოფილიყო: ხობტავს). არსებობს გამოთქმა ვალდებულება აიღო. ბოლო ხანებში გაზეთის დურკლებზე მკვიდრდება მისი ზმნური ეკვივალენტი დავალდებულა: „ბრძვადამ ივალდებულა, რომ გეგმის გადაწყეტებით ნოკრეფდა 1000 კგ ჩაის ფოთოლს“.

2) სახელადი ნაწილის სემანტიკური მოუქნელობის გამო მისი გაზმნავება არცაა მოსალოდნელი: ღონე ასწია, კურსი აიღო, შთაბეჭდილება მიიღო, საკითხს ბადებს. ასეთ შემთხვევებში ხანდახან ზმნურ ეკვივალენტობას კისრულობს

არსებითი სახელის სემანტიკურად მონათესავე ფუძის ზმნა: მე-
ხსიერებო და ნ გამორჩა — და ავიწყდა, ცრემლებს
ღვრის — ტირის (სასაუბრო მეტყველებაში გვხვდება იცრემ-
ლება') (3); რუს. მაგ., *дежачать нумы — иду*.

იშვიათად, ზმნა ზედსართავის ფუძისაა: მომხიბვლელი
შთაბეჭდილება დატოვა — მოხიბლა.

ფრაზეოლოგიური შესიტყვების იდიომთან მიმართებისათვის

ფრაზეოლოგიური შესიტყვებას კომუნიკაციის პროცესში მნი-
შვნელოვანი როლი აქვს მინიჭებული. იგი გამოყენების სიზშირით
შტოლდება ურთიერთობის ნომინატიურ საშუალებებს და ამასთან
არ კარგავს ექსპრესიულ ფუნქციას. მას თავისუფლად გამოჰყოფენ
ენაში არსებული მყარი გამოთქმების საერთო მასიდან და იდი-
ომთან ერთად თვლიან ფრაზეოლოგიის შესწავლის ობიექტად.

რა არის ის საერთო, რომლის მიხედვითაც იგი იდიომს
ენათესავება?

1) უწინარეს ყოვლისა, ესაა სემანტიკური დაუშლლობა:
ფრაზეოლოგიური შესიტყვება იდიომის მსგავსად ქმნის ერთ
მთლიან გაგებას და წარმოადგენს სიტყვის ეკვივალენტს. შდრ:
იდიომი ხელი გაუწოდა „დაეხმარა“ და ფრაზეოლოგიური შე-
სიტყვება სასაცილოდ აიგდო „დასცინა“. ზართალია, ამ
უკანასკნელის კომპონენტებს მეტი სემანტიკური თავისუფლება
აქვს, მაგრამ ეს ყველფერი გაიგება გამოთქმის მნიშვნელობის
მთლიანობის ფონზე.

2) ფრაზეოლოგიური შესიტყვებაც შესიტყვების ფორმის
შქონეა და, ამდენად, გამოხატავს აზრის ნაწილს. მრავალეღმენ-
ტიანი გამოთქმები: მძიმე დამარცხება აგემე, დამსახუ-
რებული გამარჯვება მოიპოვა... აქაც არ გამოდის შესი-
ტყვების ფარგლებიდან.

3) ფრაზეოლოგიური შესიტყვების სემანტიკური მონოლითუ-
რობა აირეკლება სინტაქსში: წინადადებაში იგიც ასრულებს
ერთ-ერთი წევრის ფუნქციას. „ბრივადამ ვალდებულეა აი-
ლო, რომ გეგმას გადამეტებით შეასრულებდა“ — აქ ვალდებუ-
ლეა აილო მთლიანად გამოდის შემასმენლის როლში.

ზოგიერთ ავტორს ეჭვი შეაქვს ფრაზეოლოგიური შესიტყვე-
ბის სინტაქსურ ფუნქციაში. მათი აზრით, ფრაზეოლოგიური შე-

სიტყვება არ ასრულებს წინადადების ცალკეული წევრის როლს, არამედ ჩვეულებრივ წარმოადგენს წინადადების ორ წევრს¹⁵¹.

ასეთი აზრი შექმნილია ფრაზეოლოგიური შესიტყვების შედარებით ანალიტიკური ხასიათის გამო. თითქოს იგი ისეთს სემანტიკურ მთლიანობას არ ქნის, როგორსაც იდიომი.

ეს ნაწილობრივ ასეა, მაგრამ კომპონენტების სემანტიკური კავშირი სპარბობს მათს სინტაქსურ დაშლადობას. ამის გამოა, რომ გამოთქმის მოთმინება გამოელა ნომინატიური კომპონენტი (მოთმინება) არ უდრის თავისუფალი შესიტყვების პირდაპირ დამატებას. ეს უკანასკნელი აქაც ფორმალურადაა წარმოდგენილი.

ამის მიზეზი კვლავ ისაა, რომ ფრაზეოლოგიური შესიტყვება გადმოსცემს, მართალია დაშლადს, მაგრამ ერთიან ჯაგებას.

ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე შედგენილ შემასმენელშიც. უზრუნველყო, აკრძალულ იქნა და სხვა მთლიანად გამოდის შემასმენლის ფუნქციით.

4) იდიომის მსგავსად ფრაზეოლოგიური შესიტყვებაც ენაში შუა ფორმით არსებობს (კვლავ იწარმოება) და აქვს მუდმივი ლექსიკური შემადგენლობა. ამ დებულებას, ცხადია, ვერ არღვევს მისი ელემენტების სინონიმებით შეცვლის შესაძლებლობა: პირობას დებს || იძლევა, ექვი ეპარება || შეაქვს, მოთმინება დაკარგა || გამოელა, შიში ქამა || იწვია... ასეთი რამ ჩვენ იდიომებშიც დავადასტურეთ და მისი ფორმის მოქნილობითა და გრამატიკული თავისუფლებით ახსენით.

ასევე დასაშვებია ფრაზეოლოგიური შესიტყვების ამოსავალი შოდელის ცვლილება. იდიომის მსგავსად მის დამახასიათებელ ნიშნად ჩაითვლება სახელადი კომპონენტის გავრცობის შესაძლებლობა: შემთხვევა მიეცა—მშვენიერი შემთხვევა მიეცა, სიჩუმე ჩამოვარდა—სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა...

ზოგიერთი ავტორის აზრით, ზედსართავის დართვის შემდეგ ფრაზეოლოგიური შესიტყვება იქცევა თავისუფალ შესიტყვებად და არსებითი სახელი გადმოგვცემს დამოუკიდებელ შინაარსს¹⁵².

¹⁵¹ В. Л. Архангельский, Фразеология „Поучения“ Владимира Мономаха“, М., 1950, გვ. 89 (საკანდ. დისერტ.).

¹⁵² Э. А. Турчинская, Глагольные устойчивые сочетания в современном французском языке, М., 1953, გვ. 13 (საკანდ. დისერტ. ავტორეფერატი).

ასეთი თვალსაზრისი სწორი არაა.

სამართლიანად შენიშნავენ, რომ ფრაზეოლოგიური შესიტყვება ისეთი ელემენტით განიცდება, რომელიც მხოლოდ ერთი კომპონენტის საკუთრება არაა¹⁵³. მძიმე დანაშაული ჩაიდინა — აქ ზედსართავი მარტო დანაშაულის განსაზღვრებას კი არ წარმოადგენს, არამედ მთელ ფრაზეოლოგიზმს სწვდება, აკონკრეტებს მას და ავსებს ხარისხობრივი დახასიათებით, რაც თავისი მინაარსით ზმნისზედის ფუნქციას უახლოვდება. ამგვარად, როგორც მართებულად შენიშნავს ვ. ს. ვინოგრადოვი, „ფრაზეოლოგიური შესიტყვების ბირთვის — ზმნისა და არსებითის სემანტიკური კავშირი რჩება იგივე და სწორედ ესაა ის შიდაატომური ძალა, რომელიც ხელს უშლის ფრაზეოლოგიზმის დაშლას“¹⁵⁴.

რაც შეეხება სიტყვათა რიგის ცვლასა და სხვა გრამატიკულ ნიშნებს, ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას ისინი იდიომზე ნაკლებად (თუ არა მეტად!) არ ახასიათებს. ეს გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ მისი კომპონენტების შედარებით თავისუფლებას.

5) ფრაზეოლოგიური შესიტყვება, ისე როგორც იდიომი, ექსპრესიული ფუნქციის მქონე ერთეულს წარმოადგენს. ამ ექსპრესიას ქმნის მათთვის დამახასიათებელი ხატოვნება. იდიომი წყალს ნაყავს და ფრაზეოლოგიური შესიტყვება ექვს ბადებს მეტაფორულობის ელემენტებს შეიცავს. ასეთი ხატოვანი საფუძველი მათ სტილისტიკურ ღირებულებას ანიჭებს და მხატვრულად ფასეული ერთეულების გვერდით აყენებს.

სწორედ ეს ზემოთ ჩამოთვლილი ხუთი ნიშანი ქმნის იმ შემხვედრ მომენტებს, რომელთა წყალობითაც ფრაზეოლოგიური შესიტყვებისა და იდიომის მსგავსება აშკარა ხდება და ისინიც ფრაზეოლოგიის შესწავლის ობიექტებად ერთიანდებიან.

მაგრამ. ამის გვერდით იდიომი და ფრაზეოლოგიური შესიტყვება ავლენს რამდენიმე სპეციფიკურ ნიშანს, რომელთა მიხედვით ისინი ცალ-ცალკე ქვეჯგუფებში ექცევიან.

1) ფრაზეოლოგიური შესიტყვების საერთო მნიშვნელობა ნაწილობრივ მისი საყრდენი სიტყვიდან გამომდინარეობს, ხშირად მასშია „განივთებული“. სარგებლობა მოუტანა — ამ გამოთქმის მნიშვნელობა თვით სახელად კომპონენტშია: ასარგებლა. ამიტომაც, რომ უმეტეს შემთხვევაში მათ ეკვივალენტად

¹⁵³ В. С. Виноградов, Фразеологические сочетания, гл. 206.

¹⁵⁴ იქვე, გვ. 205.

გაზმნავებული სახელადი ნაწილი გამოდის: მიზეზს ეძებს— მიზეზობს, შარი მოსდო — უშარა.

იდიომის ზოგადი მნიშვნელობა კი, როგორც აღვნიშნეთ, არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს. გამოთქმის ანკესზე წამოაგო მნიშვნელობა „მოატყუა“ უშუალოდ არაა დაკავშირებული თითოეული წევრის კონკრეტულ მნიშვნელობასთან.

2) ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში მხოლოდ ერთი კომპონენტი ექვემდებარება მეტაფორიზაციას, მხოლოდ ერთი წევრია არათავისუფალი, ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის მქონე. სიჩუმე ჩამოვარდა — აქ მარტო ჩამოვარდასა აქვს გადატანითი გაგება: დადგა, დამყარდა.

იდიომში მთელი გამოთქმის მეტაფორიზაციაა. ყინულზე გააცურა, ყბაში ჩაუვარდა, გზაზე დააყენა და სხვ. მიიღება ენაში არსებულ თავისუფალ შესიტყვებათა მთლიანი მეტაფორული გადააზრებით.

3) ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში კომპონენტთა კავშირი ეყრდნობა არა სინამდვილის, არამედ ენობრივ ფაქტორს—სიტყვათა შეკავშირების კანონებს. პასუხი მოუქრა — აქ ელემენტთა ურთიერთობა განპირობებულია ენაში არსებული შინაგანი სემანტიკური დამოკიდებულებით.

იდიომში კომპონენტებს შორის კავშირი ემყარება სინამდვილის ფაქტებს. ქვა ქვაზე არ დატოვა, ხელი არ მისცა — აქ დამოკიდებულება ელემენტებს შორის წმინდა „მატერიალურია“, განპირობებულია სინამდვილის მოვლენებს შორის ლოგიკური მიმართებებით.

4) ამის გამო განსხვავებაა აგებულებაშიც: ფრაზეოლოგიური შესიტყვების საყრდენი სიტყვა ზოგადი, განყენებული შინაარსის არსებითი სახელია, არ გულისხმობს მატერიის სამწვეროვანი ფორმის დასახელებას: შიში (კამა), მოთმინება (გამოელდა), ძილი (გაუტყდა). ძირითადად ამ ზოგადი არსებობის კავშირი კონკრეტულ ზმნასთან ქმნის პირობას ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის განვითარებისათვის.

იდიომის სემანტიკური ფუძე კონკრეტული, ფიზიკური საგნის გამომხატველი სახელია: თავი (დასდო), ხელი (ჩაავლო), ქვაზე (დაასახლებს), წყალი (არ გაუვდა)... სწორედ ამ კონკრეტული სახელის კავშირი კონკრეტულ ზმნასთან ქმნის თავისუფალი შესიტყვების იდიომად გადაქცევის შესაძლებლობას. ასეთ მტკიცებას ხელს ვერ შეუშლის ის ფაქტი, რომ იშვიათად იდიო-

მის შემადგენლობაში აბსტრაქტული სახელია წარმოდგენილი, როგორც ეს ლექსიკურ არქაიზმებზე მსჯელობისას ვნახეთ: იხტიბარს — გამოცდილება, მოხერხება (ა რ ი ტ ე ხ ს), ილაჯი — საშუალება, მკურნალობა (გ ა უ წ ყ დ ა), თასლიბს — გამაგრება (გ ა უ წ ე ე ს) და სხვ.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს სიტყვები უცხო წარმოშობისაა, ცალკე არ იხმარება და მათი თავდაპირველი მნიშვნელობაც ქართული მოლაპარაკე კოლექტივისათვის უცნობი ან ბუნდოვანია. რიგ შემთხვევაში ხდება მათი მნიშვნელობის გადააზრება, „გაკონკრეტულება“. შემთხვევითი არაა ის, რომ გამოთქმას იხტიბარი გაუტყდა სინონიმადა აქვს გული გაუტყდა.

ასეთია მიმართება ფრაზეოლოგიურ შესიტყვებასა და იდიომს შორის.

არასწორად გვეჩვენება მოსაზრება, რომ ფრაზეოლოგიური შესიტყვებისაგან შესაძლებელია იდიომის მიღება: „ფრაზეოლოგიური შესიტყვება, — ესაა წარმავალი, მოკლევადიანი ეპიზოდი იდიომის შექმნის გზაზე“¹⁸⁵.

ეს რომ შეუძლებელია, გაარკვია იდიომისა და ფრაზეოლოგიური შესიტყვების (რომლებიც სხვადასხვა ამოსავალ მომენტებს ეყრდნობა) აგებულების განხილვამ.

იდიომი, როგორც ვთქვით, თავისუფალი შესიტყვების მეტაფორული გადააზრებაა, ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას კი ასეთი საფუძველი არ ეძებნება. იგი სემანტიკურ პროფილს იდიომივით არ იძენს. რა მნიშვნელობითაც გაფორმდა, იმავე მნიშვნელობით რჩება (კითხვა დასვა, შიში ჰამა, წინააღმდეგობაში ჩავარდა).

„ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას თავისი წარმოშობის დღიდან აქვს ერთი ცნობილი მნიშვნელობა წარსულსა თუ აწმყოში“¹⁸⁶.

ზხოლოდ ეს მომენტიც კი ფრაზეოლოგიური შესიტყვების იდიომში გადასვლას შეუძლებლად ხდის.

¹⁸⁵ В. А. Ларин, Очерки по фразеологии, гл. 223.

ამ მცდარი თვალსაზრისის გამო ავტორი საკუროდ არ ცნობს ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა ფრაზეოლოგიაში დატოვებას და მოითხოვს მათ განხილვას „თავისუფალ“ შესიტყვებებში, რაც გაუმართლებელი ჩანს.

¹⁸⁶ Н. Я. Габараев, Русские фразеологические единицы и их соответствия в осетинском языке, М., 1955, гл. 112 (საკანდ. დისერტ.). ამავე აზრს გამოთქვამს ა. კუნიცი: „ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს ჩვეულებრივ არ შეესაბამება ანალოგიური თავისუფალი შესიტყვებები, რომლებიც შედგება იმავე კომპონენტებისაგან“ (Фразеологический словарь, гл. 1434).

ფრაზეოლოგიების დამოკიდებულება • მოსაზღვრე ერთეულზეთან

ფრაზეოლოგიში და მეტაფორული სიტყვა

როდესაც მარტივი სიტყვისა და ფრაზეოლოგიის დამოკიდებულებაზე ლაპარაკობენ, ფრაზეოლოგიის მხრივ მხედველობაში აქვთ შედარებით სინთეზური აღნაგობის ერთეულები (resp. იდიომები), რომლებიც სემანტიკურ მთლიანობებს ქმნიან. სწორედ ეს სემანტიკური მხარეა უპირველესი ნიშანი მათი სიტყვებთან მსგავსების დასადგენად: გამოთქმაში პირს კატაეცა მთელი კომპლექსი ერთ (გაოცების) იდეას გამოხატავს. ასევეა. თვალში მოუვიდა „მოეწონა“, ხელიდან გამოსტაცა „წაართვა“...

მსგავსების მეორე ნიშნად მიჩნეულია მეტაფორულობა. ა. რეფორმატსკი გადატანითი მნიშვნელობით ნაამარ სიტყვებს იდიომად თვლის¹⁸⁷. როგორც იდიომის ჩამოყალიბება წარმოადგენს მნიშვნელობის აბსტრაქტიზების პროცესს, ასევე განზოგადებას გამოხატავს სიტყვის მეტაფორიზაცია: მოთოქა, მოთაფლა, დაშაქრა, დაგესლა, დაკბინა და სხვ. მოთოქა გადატანითად „დაიმორჩილას“ ნიშნავს, მაგრამ არავინ აქცევს ყურადღებას, რომ ამ მნიშვნელობას კონკრეტული (თოქთან დაკავშირებული) პროცესი უძევს საფუძვლად.

სიტყვისა და იდიომის მსგავსების მესამე ნიშნად მიჩნიათ ის, რომ ორივე წინადადების წევრს წარმოადგენს. გაშეშებაც და ცეცხლის მოკიდებაც წინადადების ასაგებ მასალად (წევრად) ითვლება.

მაგრამ ზემოთ თქმულის მიხედვით არ შეიძლება სიტყვისა, და ფრაზეოლოგიის საბოლოო მსგავსებაზე ვილაპარაკოთ.

¹⁸⁷ А. А. Реформатский, Введение в языкознание, М., 1959, გვ. 93.

ის, რომ იდიოში დუნქციურად სიტყვას უტოლდება, საქმისის არ არის მათ გასაიგიველად. „პოტენცილური სიტყვა“ (იდიოში) მინც არ არის სიტყვა.

იმის გამო, რომ სიტყვა მეტაფორულობას იძენს, ვერ ჩავთვლით მას იდიოშად. მეტაფორულობა ზოგადი კატეგორიაა. ცნობილია მეტაფორა წინადადებები — ანდაზები, რომლებიც ფრაზეოლოგიის გარეთ რჩებიან.

მართალია, სიტყვა და იდიოში წინადადების ასაგებ ელემენტად ითვლება, მაგრამ არც ესაა არსებითი.

მთავარია, რომ ისინი ერთმანეთისაგან სტრუქტურით განსხვავდებიან და შედარებისას ეს უნდა იქნეს ზედველობაში წილებული.

ერთია სიტყვა, მეტყველების უცირვნი ერთეული, ბგერათშეერთება (მაგ., მ-ო-თ-ო-კ-ა, გ-ო-გ-რ-ა—თ ა ვ ის წნიშვნელობით), მეორეა — სიტყვათშეერთება, წესიერება. სიტყვა უაღრველესად შესიტყვეების ელემენტია და შედეგ წინადადებისა. განსხვავებაა მათი შემადგენელი ნაწილების დამოკიდებულებაშიც.

„ლ ე ქ ს ე მ ის (სიტყვის.—ა. თ.) კომპონენტები ერთდებიან ერთ მთელად, ქმნიან ბგერით ერთიანობას, ფ რ ა ზ ე მ ის (ფრაზეოლოგიისის.—ა. თ.) კომპონენტები კი ინახავენ სიტყვათცვლილების შესაძლებლობას, დაკავშირებული არიან აზრობრივი და გრამატიკული კავშირებით“¹⁸⁸.

ეს გარემოება გვაძლევს საშუალებას, რომ მეტაფორული სიტყვები გამოვეყოთ ფრაზეოლოგიური განთქმებისაგან და განვიხილოთ, როგორც სხვა კატეგორიის ოდენობა. როგორც ზარტებულად შენიშნავს ბ. ლარინი, „მარტივი სიტყვა — ერთი სიტყვა — რაგინდ. რთული იყოს სემანტიკური სტრუქტურით, რაგინდ იდიომატიკური იყოს და არ ითარგმნებოდეს სხვა ენაზე, არ განეკუთვნე-

¹⁸⁸ А. В. Яковлевская. Фразеология стихотворного языка Маяковского, Сталинград, 1949, გვ. 32 (საკანდ. დისერტ.). ამ ძირითადი სხვაობის გარდა ავტორები ეძებენ სხვა განმასხვავებელ ნიშანსაც, მაგრამ უმეტესი მათგანი შემთხვევით მომენტს უყრდნობა. მაგალითად, აღნიშნავენ: რას ფრაზეოლოგიზმებს აქვთ ნათელი აზრობრივი სტრუქტურა, ბევრი სიტყვა კი არამოტივირებულია (З. Н. А н н с и м о в а, Фразеологические единицы, გვ. 58).

მართალია, მრავალ სიტყვაში არ ჩანს სახელდებისა და მოტივიციის საფუძველი (განსაკუთრებით ძველი წარმონაქმლების სიტყვებში), მაგრამ ფრაზეოლოგიური შენახარდის (იდიომის) ტიპსაც ხომ სწორედ მნიშვნელობის მოტი-

ბა. ფრაზეოლოგიის სფეროს — ისაა ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკოლოგიის ობიექტი¹⁵⁹.

ფრაზეოლოგიზმი და კომპოზიტი

რთულია ფრაზეოლოგიზმისა და კომპოზიტის მიმართების საკითხი. დასავლეთეუროპელ მეცნიერთა ერთი ნაწილი ღათ ერთმანეთისაგან არ თიშავს. ამ აღრევის საფუძველი, როგორც ზ. ანისიმოვა შენიშნავს, არის ფორმისა და შინაარსის დიალექტიკური ერთიანობის იგნორირება¹⁶⁰. მაგალითად, კომპოზიტს განმარტავენ როგორც ორ ან მეტ სიტყვათა შეერთებას ერთ სემანტიკურ მთელად, რომლის მნიშვნელობა არ უტოლდება კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს. ასეთსავე დახასიათებას გულისხმობს იდიომის ცნობილი განმარტებაც. მაშასადამე, სემანტიკის თვალსაზრისით სხვაობა არ ჩანს: ქინძის თავი ისევე დაუშლელია და სემანტიკურად ერთიანი, როგორც გულის მოსვლა, ყინულზე გატურება.

ერთგვარი სინათლე მათი დამოკიდებულებების საკითხში შეაქვს ჰ. პაულის „იზოლაციის“ თეორიას¹⁶¹. ჰ. პაული გამოყოფს ფრაზეოლოგიზმებს რთული სიტყვისაგან და მათ ამ უკანასკნელის

ვაციის არქონის მიხედვით გამოყოფენ: ყურებზე ხახვი არ დამაქრა, თვალს წყალი დააღვეინა, ბოლთას სცემს და სხვ.

და ისედაც: მნიშვნელობის მორტივაციის დაბნელება არ წარპოადგენს მუდმივ მოქმედ ნიშანს. იგი ისტორიული ხასიათისაა: უმორტივაციოდ მიჩნეული ერთეულები იხსნება ანალიზის შედეგად. სიტყვებში ეს მიიღწევა ეტიმოლოგიური კვლევა-ძიებითა და შედარებით-ისტორიული მეთოდის მეშვეობით (მაგ., გაირკვა, რომ უმორტივაციო კბენს ზმნის ამოსავალი ყოფილა კბილი, ასევე რცხვენია ზნაში ეტიმოლოგიურ საწყისად იგულისხმება ცხვირი და სხვ.).

ფრაზეოლოგიზმში მნიშვნელობის მორტივაცია მიიღწევა იმ ისტორიული რეალიების აღდგენით, რომელშიც წარმოიქმნა იდიომი. ასე მოეფინა შუქი გამოთქმის თაყვანს სცემს მნიშვნელობას, როდესაც გაირკვა რომ იგი დაკავშირებულია პარტივის ცემის დროს თავის ყანაზე (მიწაზე) ცემას, თან: თაყვანის ცემა — თაყვანის ცემა (აკ. შანისძე).

არაა მართებული აზრი, თითქმის სიტყვას აქვს ფართო გრამატიკული შესაძლებლობანი, ფრაზეოლოგიზმი კი სინტაქსურად ჩაყვრილია (ბ. ლარინი). როგორც ენახეთ, ფრაზეოლოგიზმების უმრავლესობაც ხასიათდება გრამატიკული თავისუფლებით.

¹⁵⁹ Б. А. Ларин, Очерки по фразеологии, გვ. 201.

¹⁶⁰ З. Н. Анисимова, Фразеологические единицы, გვ. 10.

¹⁶¹ ჰ. პაულის თვალსაზრისი დაწვრილებით არის გადმოცემული ზ. ანისიმოვას ზემოაღნიშნულ სადისერტაციო შრომაში, გვ. 11-13.

წინასაფხურად თელის. კომპონენტების მიერ თავდაპირველი მნიშვნელობის დაკარგვას და მთელის მიერ ახალი მნიშვნელობის შექმნას ჰ. პაული იზოლაციის პირველ ეტაპს უწოდებს. ეს, რთული სიტყვის მსგავსად, ახასიათებს ფრაზეოლოგიზმებსაც. განსხვავება იწყება შემდგომ: თუ მოხდა ფორმის იზოლაცია, მივიღებთ რთულ სიტყვას (მაგ., გამოთქმაში კუდი ყავარზე აქვს გადაებული ნხლოდ მნიშვნელობის იზოლაცია გვაქვს, ფორმა კი უცვლელი რჩება, კომპოზიტი კირნახული კი მნიშვნელობითაც „გადასხვაფერებულია“ და ფორმითაც).

როგორც სამართლიანად შენიშნავენ, ეს თეორია საბოლოო დასკვნებს არ იძლევა. მართალია, გამიჯნულია ფრაზეოლოგიზმი და რთული სიტყვა, მაგრამ ბოლომდე არაა ნაჩვენები მათი სხვაობა, მათი კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულება¹⁶³.

არ შეიძლება ფრაზეოლოგიზმი ყოველთვის მივიჩნიოთ ეტაპად სინტაქსური შენაერთის რთულ სიტყვად გადაქცევის გზაზე. ასეთ პროცესს, სხვა აზრობრივ მომენტებს რომ თავი დავანებოთ, ეღობება ფრაზეოლოგიზმის სინტაქსური და მორფოლოგიური შესაძლებლობანი. რთულ სიტყვასა და ფრაზეოლოგიზმს შორის სხვაობა სწორედ გრამატიკულ აგებულებაში, შემადგენელი ელემენტების ცვლილებათა ფორმებში უნდა ვეძიოთ.

რთული სიტყვის პირველი კომპონენტი ძირითადად ფუძისაგან შედგება, ფრაზეოლოგიზმის კომპონენტი კი გრამატიკულად გაფორმებულია. ეს ნიშნავს, რომ კომპოზიტის პირველ წევრებს გრამატიკული ფუნქციები მოშლილი აქვთ და ერთ სიტყვაში გაქვავებულან: წყალწაღებული, ობმოკიდებული, ვაღებული, ბრაზმორეული... ფრაზეოლოგიზმის კომპონენტებს კი ცოცხალი სინტაქსური კავშირი ახასიათებთ: პირი იბრუნა — პირს იბრუნებს, ხავსი მოედო — მოედო ხავსი...

არის შემთხვევები, როდესაც კომპოზიტის ორივე კომპონენტად გრამატიკულად გაფორმებული სიტყვაა: თავისუფალი, ავადმყოფი, გულთმისანი... ასეთი კომპოზიტი იმით განსხვავდება ფრაზეოლოგიზმისაგან, რომ იცვლება როგორც ერთი სიტყვა: ავადმყოფმა, ავადმყოფობა, ავადმყოფობა; გულთმისნობა, გულთმისნობს, მაშინ როდესაც ფრაზეოლოგიზმში შენარჩუნებულია შიდაფრაზეოლოგიური მოდე-

¹⁶³ З. И. Анисимова, ხსენ. ნაშრ., გვ. 13.

ლის ცვლილება: წყალს ნაყავს — წყალი ნაყა, ცეცხლს უნთებს — ცეცხლი შეუნთო...

ფრაზეოლოგიზმების ცალკე გაფორმება წარმოადგენს მათ არსებით ნიშანს რთული სიტყვისაგან განსასხვავებლად, რის გამოც ისინი (ფრაზეოლოგიზმები) გამოიყოფიან რთული წარმონაქმნების თავისებურ ჯგუფში და იწოდებიან ფრაზეოლოგიურ ერთეულებად საკუთრივ ლექსიკური ერთეულების — სიტყვებისაგან განსხვავებით¹⁶⁴.

მაშასადამე, ფრაზეოლოგიზმის ყოველ ნაწილს შეუძლია ცვლა, რთული სიტყვა კი მთლიანად იბრუნვის ან იუღვლის.

ამავე დროს ცხადია, პირველისგან შეიძლება მეორის მიღება, მაგრამ რა გზებით:

ვ. ს. ვინოგრადოვის აზრით, ფრაზეოლოგიური შესიტყვებისგან (ასევე იდიომისგან.—ა. თ.) რთული სიტყვის მიღებისათვის. საჭიროა მხოლოდ ერთ კომპონენტს დარჩეს რიცხვის, პირის და სხვათა გამოხატვის ფუნქცია და, ამავე დროს, ეს უნდა იყოს ბოლო კომპონენტი¹⁶⁵. ავტორი ფიქრობს, რომ ასეთი შესაძლებლობა გამორიცხულია ესპანური ფრაზეოლოგიზმებისათვის, რადგან ესპანურში ბოლო კომპონენტი არსებითია და, ცხადია, მას არ შეუძლია ზმნურობის გამოვლენა.

ჩვენ ეს დებულება სწორად არ მიგვაჩნია ქართული ფრაზეოლოგიზმების მიმართ: აქ ბოლო კომპონენტად უმეტესად ზმნა გვევლინება და, ამდენად, ხერხდება ზმნური ელემენტის შენარჩუნება: გზაამებნა, გზადაგვბნევი. რთულ სიტყვას მაშინ ვიღებთ, როდესაც ბოლო კომპონენტი ზმნურობისაგან მთლიანად იცლება და მხოლოდ ბრუნვისა და რიცხვის ცვლის შესაძლებლობას იტოვებს: გზააბნეულ-ი, გზააბნეულ-მა, გზააბნეულ-ებო...

ეს ხდება ფრაზეოლოგიზმის სემანტიკური და გრამატიკული გაქვეავების შედეგად.

კომპოზიტები ენაში არსებობენ მათი წარმომქმნელი ფრაზეოლოგიზმების გვერდით: წყალმა წაიღო — წყალწალეხული.

¹⁶⁴ А. И. Смирницкий, Лексикология английского языка, М., 1956, გვ. 207.

¹⁶⁵ В. С. Виноградов, Фразеологические сочетания, გვ. 228.

თავზარი დაეცა — თავზარდაცემული, ნამუსი ახა-
და — ნამუსახდილი...¹⁶⁶

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც კომპოზიტი ცოცხლობს.
მისი ამოსავალი ფრაზეოლოგიზმის კვალი კი არ ჩანს.

მაგ., გვაქვს: არა გვაქვს:

პირწავარდნილი * პირი წავარდა || წაუვარდა

ზნედაცემული * ზნე დაეცა

თავქუდმოგლეჯილი * თავს ქუდი მოაგლი-
ჯეს || მოგლიჯა

ფერმიხდილი * ფერი მიეხადა და სხვ.

რიგ შემთხვევებში ფრაზეოლოგიური კორელატი დაკარ-
გული ჩანს და ძიების შედეგად შესაძლებელი ხდება მისი მიკვლე-
ვა. მაგ., გვაქვს ხელსაყრელი და გულხელდაკრეფილი.
ლიტერატურულ ძეგლებში დასტურდება მათი ფრაზეოლოგიური
ამოსავალი:

ხელს ყრის: „რა ხელს ყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული“ (ნ. ბარათაშვილი).

გულს ხელი დაიკრიფა: „დალონებულა თანდილა,
დაუკრეფია გულს ხელი“ (რ. ერისთავი).

შესაძლებელია ამ დროს იდიომების დაკარგვა მივაწეროთ
კომპოზიტებთან შედარებით მათს ნაკლებ სემანტიკურ და გრამა-
ტიკულ სიმყარეს. მაგრამ ყოველთვის არ იგულისხმება კომპოზი-
ტის ამოსავლად ფრაზეოლოგიზმი. არსებობს მისი მიღების სხვა
გზაც — ესაა ანალოგია. ბევრი კომპოზიტი ამ გზით მიღებუ-
ლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ადვილად დასაშვებია, პირწა-
ვარდნილი სხვა კომპოზიტთა ანალოგიით წარმოქმნილიყო და
არა იდიომისაგან (*ჭირი წავარდა). ყოველ შემთხვევაში,
ეს მეორე შესაძლებლობაც ძალაში რჩება, სანამ იდიომის კვალი
მიგნებული არაა.

¹⁶⁶ როდესაც ფრაზეოლოგიზმისგან კომპოზიტის მიღებაზე ვლაპარაკობთ,
ცხადია, არ უგულებელყოფთ საპირისპირო პრაქტეს: კომპოზიტისგან ფრაზეო-
ლოგიზმის წარმოქმნას. რა თქმა უნდა, ენაში მეორე სახის შესაძლებლობაც
არსებობს და ანგარიშის გაწევას მოითხოვს. უფრო მეტიც: ხშირად ძნელია
ითქვას, პირველ შემთხვევასთან გვაქვს საქმე თუ მეორესთან. (მაგ., გაურკვევე-
ლია, თავი დაიკირა გვაძლევს თავდაკეცილს თუ პირიქით (შესაძ-
ლებელია აგრეთვე ერთმანეთის გარეშე, თავისთავად იყოს წარმოქმნილი ან
ერთი, ან მეორე).

პირველ გზას იმიტომ ვეყრდნობით, რომ იგი უფრო მასობრივი და
კანონზომიერი ჩანს: სემანტიკურ-გრამატიკული სიმყარის მხრივ კომპოზიტი
ფრაზეოლოგიზმის შემდგომ საფეხურს წარმოადგენს.

ფრაზეოლოგიზმი და ტერმინოლოგიური ერთეული

ზოგიერთი შესიტყვება ისე მტკიცდება მეტყველებაში, რომ მათზე შეიძლება ვიმსჯელოთ როგორც კვლავ წარმოებულზე (вопросы происхождения) და არა როგორც ყოველ წუთს შექმნილზე მეტყველების დინებაში.

მყარობის ნიშნის უნივერსალურად გამოცხადება ფრაზეოლოგიაში გზას უხსნის ყოველგვარ მყარ გამოთქმას: შ ა ე ი ზ ლ ე ა, ქ ე ი ს ს ა ხ ლ ი, წ ი თ ე ლ ი დ რ ო შ ა, მ ზ ი ს ს ი ს ტ ე მ ა... მართლაც, ფრაზეოლოგიაში შექმნილად მრავალი ტერმინოლოგიური ცნება. აქვე განიხილავდნენ ჩვეულებრივ შესიტყვებებს და საგაზეთო, საკანცელარიო შტამპებს. აზრობრივი ანალიზის შედეგად გამოაყოფდნენ ერთი. ცნების აღმნიშვნელ ძირითად „ნომინატიურ ფრაზეოლოგიზმებს“: *мировая война, сестра милосердия*¹⁶⁷. ავტორებს ამ დაშვების საბაბს აძლევდა გამოთქმის მყარობა, ხმარების სიხშირე და ერთი ცნების გამომხატველობა.

მართალია, საგანთან თუ მოვლენასთან ტერმინის პირდაპირი, „ლოგიკურად გამართლებული“ მიდგომით მიიღწევა ფრაზული სტრუქტურის დაუშლელი და სიტყვის ეკვივალენტურობა, მაგრამ ეს არაა საქმარისი *железная дорога, грудная жаба*'ს მსგავს ტერმინთა ფრაზეოლოგიურ შენაზარდებად ჩასათვლელად.

როგორც ს. ოყეგოვი აღნიშნავს, „საქმე პრინციპული, სტრუქტურული სხვაობაა მთლიანი აზრის, განსაზღვრული გაგების გამოხატვისას“¹⁶⁸.

ეს სხვაობა ვლინდება შემდეგში:

1) ტერმინოლოგიური ერთეულები მთლიან აზრს გადმოსცემენ კომპონენტების პირდაპირი მნიშვნელობებით. ისინი არ განიცდიან აზრობრივ ცვლილებებს: წ ი თ ე ლ ი ა რ მ ი ა, მ წ ე რ ა ლ თ ა კ ა ვ შ ი რ ი.

ფრაზეოლოგიზმებში მნიშვნელობის გადატანა გვაქვს.

2) ტერმინოლოგიურ ერთეულებს აქვთ საგნობრივი შინაარსი და ითვლებიან სინამდვილის მონაკვეთთა ზუსტად აღნიშვნის საშუალებად. უმეტეს შემთხვევაში ისინი წარმოადგენენ საგნებისა

¹⁶⁷ Л. С. Вирясова, Субстантивная фразеология в романе М. Шолохова „Тихий Дон“, М., 1956, გვ. 116 (საკანდ. დისერტ.).

¹⁶⁸ С. И. Ожегов, О структуре фразеологии, გვ. 40.

და მოვლენების ერთადერთ დასახელებას: კ ა ვ შ ი რ გ ა ბ მ უ ლ ო ბ ი ს ქ ს ე ლ ი , ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა .

ფრაზეოლოგიზმები კი არ გამოდიან სახელდების ფუნქციით. ისინი წარმოადგენენ ცნების მრავალფეროვნებაში აღქმის დამხმარე საშუალებას.

3) ტერმინი მხოლოდ ასახელებს და ვერ ახასიათებს. იგი ნეიტრალურია სტილისტიკური თვალსაზრისით.

ფრაზეოლოგიზმი ძირითადად ასახელებს და ექსპრესიულ ფუნქციასაც ასრულებს.

4) ტერმინი ერთმნიშვნელობიანია. ერთი და იმავე ტერმინით შეუძლებელია ორი სხვადასხვა მოვლენის გამოხატვა. მაგ., მ ზ ი ს ს ი ს ტ ე მ ა აღნიშნავს მხოლოდ ერთ ცნებას.

ფრაზეოლოგიზმს კი პოლისემიის შესაძლებლობა აქვს. მაგ., ფ რ თ ე ბ ი შ ე ე ს ხ ა — 1) გაუხარდა, 2) გამხნევდა...

როგორც ვხედავთ, სხვაობა დიდია. ა. რეფორმატსკი იდიომს და ტერმინს სამართლიანად თვლის ლექსიკის პოლუსებად¹⁶⁹.

ფრაზეოლოგიზმი და დამხმარე სიტყვები

ფრაზეოლოგიურ მთლიანობებში სრულმნიშვნელოვანი გამოთქმების გვერდით ათავსებენ რთულ საკავშირებელ ერთეულებსაც, რომლებსაც გაქვეავებული სინტაქსური ფორმები აქვთ: *так как; свиду того; от того, что* და სხვ.

კომპონენტთა სემანტიკური შერწყმის ხარისხითა და მნიშვნელობის მოტივირების თვალსაზრისით ისინი უახლოვდებიან იდიომებს. მაგრამ ამის იქით იწყება პრინციპული სხვაობა.

1) იდიომი, უპირველესად, სრულმნიშვნელოვანი სიტყვის ეკვივალენტია. იგი აღნიშნავს საგანს, მოვლენას, მოქმედებას.

¹⁶⁹ А. А. Реформатский, Введение в языкознание, გვ. 95. მსგავს თვალსაზრისზე დგანან სხვა ავტორებიც. ვ. რ უ დ ო ვ ი ს აზრით, „ფრაზეოლოგიის შემადგენლობაში ჩართვა შემდეგი ტიპის ე. წ. მყარი და დაუშლელი შესიტყვებებისა: железная дорога, шагающий экскаватор, Черное море, машинно-тракторная станция და სხვა სრულებით უსაფუძვლოა“ (Фразеология произведений М. Горького: Учен. записки Таганрогского гос. пед. института, т. II, 1957, გვ. 4).

საკავშირებელი ერთეულები კი მარეგულირებლის როლში გამოდიან სრულმნიშვნელოვანი სიტყვებისა და ფრაზეოლოგიზმების მიმართებაში. მათი აზრობრივი შინაარსი გამოხატულია მათი გრამატიკული კავშირებით¹⁷⁰. მაგ., „მან მორჩილების ნიშნად დახარა თავი, მაშინ როდესაც გიორგი უკვე წონასწორობიდან გამოსული იყო“. ამ შემთხვევაში დამხმარე სიტყვები წინადადებას დროის გარემოებით ფუნქციას აძლევენ.

2) საკავშირებელი ერთეულები, ტერმინების მსგავსად, სტილისტიკურად ნეიტრალურია. სიტყვათკომპლექსებს თუ ასეა, მაშინ; იმიტომ რომ; მიუხედავად იმისა, რომ დასხვ. არავითარი სტილისტიკური ღირებულება არა აქვთ. მათი გაჩენა უფრო პრაქტიკული და ლოგიკური საჭიროებითაა ნაკარნახევი.

ვ. ს. ვინოგრადოვის აზრით, დამხმარე სიტყვების წარმოქმნას ხელს უწყობს აღქმათა გაფართოება მიზეზობრივს, დროითს და ა. შ. კავშირთა სფეროებში საგნებს შორის, აგრეთვე პირვანდელი სახის (მარტივი) თანდებულებისა და კავშირების მნიშვნელობათა გადატვირთვა¹⁷¹.

ასეთი განსაზღვრა სწორად ახასიათებს ამ ერთეულთა ფუნქციას ენაში.

3) იდიომები ასე თუ ისე იცვლიან გრამატიკულ სახეს. საკავშირებელი ერთეულები კი მეტყველებაში გაქვავებული არიან ერთადერთ ფორმაში: იმ დროს, როცა; იმ დენად რამდენად ა... (ფერ ვიტყვი: როცა იმ დროს, როდესაც მაშინ... ეს თანამიმდევრობა განპირობებულია მიზეზ-შედეგობრივ კავშირთა შემდგომადობით დროსა და სივრცეში.

4) იდიომები შედგება მნიშვნელობის მქონე ორი წევრისაგან მაინც: გული ამოუჯდა, თავი აიშვა, პირი შეკრეს, საკავშირებელ ერთეულებში კი სრულმნიშვნელოვანი კომპონენტები არა გვაქვს.

ასეთი სხვაობის გამო შემოაქვთ „საკავშირებელი ფრაზეოლოგიზმის“ ცნება მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიზმისაგან განსასხვავებლად¹⁷².

¹⁷⁰ ამის შესახებ В. С. Виноградов, Фразеологические сочетания, გვ. 15.

¹⁷¹ იქვე, გვ. 17.

¹⁷² იქვე, გვ. 20.

ჩვენი აზრით, ამით საქმის რეალური ვითარება არ იცვლება. ფრაზეოლოგიზმს ვერ შექმნის სრულმნიშვნელოვანი და მნიშვნელობის არმქონე სიტყვათა შეკავშირება.

ასევე გაუმართლებელია ფრაზეოლოგიზმებში წინდებულისანი (ქართ. თანდებულისანი) და ნაწილაკიანი სახელების შეტანა: *на носу, ни слова, без памяти, при смерти, без смеху, за компанию*. ამათ აკუთვნებენ შემასმენლურ სიტყვებსაც: *не грех; сил нет*.

თანდებულისანი სიტყვა მაინც სიტყვაა (და არა შესიტყვება!), რუსულში, მართალია, ფორმალურად ჩამოკავავს შესიტყვებას — წინდებული სახელისაგან დამოუკიდებლად იწერება: *при смерти, без смеху*, მაგრამ ანალიზისას სხვაობა ჩნდება. ქართულში საქმე მარტივად — თანდებული სახელთანაა შერწყმული: ძალაზე (შდრ. რუს. *на силу*), კომპანიისთვის (შდრ. რუს. *за компанию*) და სხვ.

ფრაზეოლოგიზმი და თავისუფალი შესიტყვება

შესიტყვებათა ერთ-ერთი კატეგორიაა, რომლისგანაც ფრაზეოლოგიზმს ფორმის მიხედვით არ განსხვავდება, თავისუფალი შესიტყვებაა. ეს ორი ერთეული კონსტრუქციითა და სტრუქტურული შესაძლებლობით ორგანულად უკავშირდება. ერთმანეთს: გული მოუვიდა, ბრაზი მოუვიდა, ფიცი დადო, თავი დადო (ფრაზეოლოგიზმი), სტუმარი მოუვიდა, წიგნი დადო (თავისუფალი შესიტყვება). ფრაზეოლოგიზმის აგებულება იმეორებს თავისუფალ შესიტყვებათა სტრუქტურას.

მაშ სადაა სხვაობა?

შ. ბალი მათ გასამიჯნავად იმარჯვებს მხოლოდ სემანტიკურ მომენტს. მაგრამ მხოლოდ სემანტიკური დაუშლელობის კრიტერიუმში ზოგჯერ სუბიექტურია. მასთან ერთად საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს გრამატიკული ფაქტორებიც.

1) მათ განმასხვავებელ ყველაზე არსებით ნიშნად მიიჩნევა ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობის გამოუყვანლობა კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან. მეავე წყალი დალია — აქ ყოველი წვერი პირდაპირი მნიშვნელობითაა, რომელთა ჯამი გვაძლევს მთელი თავისუფალი შესიტყვების საერთო დანაწევრებულ გაგებას. თვალს წყალი დააღვეინა — აქ ზოგადი მნიშვნელობა (,გა-

ერთო“, „გული გადააყოლა“) არაა კონკრეტულ მნიშვნელობათა ჯამის ფარდი. ამის გამო თავისუფალ შესიტყვებასა და ფრაზეოლოგიზმს ადარებენ უბრალო ნარევსა და ქიმიურ ნაერთს¹⁷³.

2) ამ განმასხვავებელი ნიშნიდან აუცილებლობით გამომდინარეობს გრამატიკული ხასიათის სხვაობაც: თავისუფალი შესიტყვების კომპონენტებს ახასიათებთ გრამატიკული თავისთავადობა, ცალ-ცალკე გამოდიან წინადადების სხედასხვა წევრის როლში. ფო ს ტ ა ლ ი ო ნ მ ა წ ე რ ი ლ ი მ ო ი ტ ა ნ ა — აქ წინადადების სამი წევრი გვაქვს: ფო ს ტ ა ლ ი ო ნ მ ა — ქვემდებარე, წ ე რ ი ლ ი — პირდაპირი დამატება და მ ო ი ტ ა ნ ა — შემასმენელი.

ფრაზეოლოგიზმი წინადადებაში ასრულებს ერთი წევრის ფუნქციას: ბ ა ბ უ ა მ წ ე რ ი ლ ი წ ა ი ლ ო, აქ ბ ა ბ უ ა ქვემდებარეა, წ ე რ ი ლ ი წ ა ი ლ ო კი — შემასმენელი („მოკვდას“ მნიშვნელობით).

3) ფრაზეოლოგიზმის (განსაკუთრებით ფრაზეოლოგიური შესიტყვების) ზმნას აქვს მოქმედების შეზღუდული სფერო. იგი კავშირშია არსებითი სახელის მკაცრად განსაზღვრულ წრესთან: შ ი შ ი, ს ი რ ც ხ ვ ი ლ ი, ჯ ა ვ რ ი — ჭ ა მ ა.

თავისუფალ შესიტყვებაში კი ზმნის მოქმედების რადიუსი შეუზღუდავია: ჭ ა მ ა — ხ ი ლ ი, თ ე ვ ზ ი, პ უ რ ი... და, საერთოდ, ყველაფერი, რისი ჭამაც შეიძლება.

4) განსხვავებას ქმნის ისიც, რომ თავისუფალი შესიტყვება სტილისტიკურად ნეიტრალურია.

ამგვარად, თავისუფალი შესიტყვება, რაგინდ ფრაზეოლოგიზმის ამოსავალ კატეგორიად ჩაითვალოს, ვერ მოთავსდება ფრაზეოლოგიაში. იგი მუდამ იყო და დარჩება სინტაქსის შესწავლის საგანი.

ფრაზეოლოგიზმი და ანდაზა

ფრაზეოლოგიზმის მოსაზღვრე კატეგორიებიდან სირთულეს ქმნის ანდაზასთან მისი მიმართების გარკვევა. ეს სირთულე ნაწილობრივ აიხსნება ანდაზის ცნების დაუზუსტებლობითაც. საანდაზო კრებულებში შეაქვთ მასალა, რომელსაც ანდაზასთან არაფერი აქვს საერთო. და, რაც მთავარია, ხშირად მათ ილირიგებში ათავ-

¹⁷³ В. В. Виноградов, Русский язык, გვ. 23.

სებენ. ზოგიერთი ავტორი, მართალია, ანდაზებს წიჯნავს იდიომისაგან, მაგრამ ფრაზეოლოგიაში მაინც ტოვებს¹⁷⁴.

ანდაზას ფრაზეოლოგიზმად თვლიან ოთხი საერთო ნიშნის გამო:

1. ორივე გადატანითი მნიშვნელობით იხმარება.
2. მულტივი ლექსიკური შემადგენლობა ახასიათებთ.
3. ენაში მზა ფორმით არსებობენ.
4. შეიცავენ არქაიზმებს.

ამ ნიშანთაგან მხოლოდ მეოთხე არ ჩანს აბსოლუტურად: არქაიზმები არ ახასიათებს იდიომებისა და ანდაზების უპირველესობას.

პირველი სამი ნიშანი კი საერთო გამოდის¹⁷⁵. მაგრამ ეს არ კმარა ანდაზისა და იდიომის ერთ კატეგორიაში მოქცევისათვის. მათ შორის სხვაობას ქმნის შემდეგი:

1) ფრაზეოლოგიზმი ფორმით შესიტყვებაა, ანდაზა კი — წინადადება. „ანდაზის იგავისაგან განმასხვავებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ გადმოსაცემი შინაარსი ერთ წინადადებაშია (დაყოფა ჩვენი. — ა. თ.) მოქცეული“¹⁷⁶. მაგ., მჩხავანა კატათა გვს ვერ დაიქერსო, ნიორმა თავისი სიმყრალე სამ წელიწადს შეინახაო, ქარის მოტანილს ქართ წაიღებსო...

¹⁷⁴ ა. ნეიმანი, ქართული იდიომები „კაცია-ადამიანის“ მიხედვით და მათი რუსული შესატყვისები: პუშკინის სახ. პედ. ინსტ. შრომები, ტ. I, 1941; აგრეთვე И. А. Вульфийс, К вопросу о классификации идиом: Русский язык в советской школе, 1929, № 6, გვ. 46; В. Л. Архангельский, Фразеология „Почуения“, გვ. 78; А. В. Яковлевская, Фразеология языка Маяковского, გვ. 94—98.

¹⁷⁵ ზოგიერთ ავტორს ეკვირ შეაქვს პირველი ნიშნის აბსოლუტურობაში: „ანდაზებს ხშირად აკლიათ ექსპრესია და ხატოვნება, აქვთ ცხოლოდ დანრიგებლობა“ (И. Н. Шахов, Лексика и фразеология басен Крылова, М., 1952; გვ. 142 (საკანდ. დისერტ.). ამის გამო ანდაზების კრებულში შექცნდთ პირდაპირი მნიშვნელობის განუზოჯადებელი გამოთქმები: მჯობის ცჯობი არ დაიღვეაო, ხარმაცისათვის ყოველდღე უქმეაო და სხვ. აქ სენცტენცია პირდაპირაა მოწოდებული.

ჩვენ ვეთანხმებით საანდაზო ცნების იმჯეარ განმარტებას, რომლის მიხედვითაც ანდაზაში ერთ-ერთ ძირითად ნიშნად ამოსავალი და გადატანითი მნიშვნელობის არსებობა იგულისხმება (ფ. ერთელიშვილი, ანდაზის ცნების საკითხისათვის: ნათობი, 1957, № 3, გვ. 104. შენდეში: ფ. ერთელიშვილი, ანდაზის ცნების საკითხისათვის).

¹⁷⁶ ფ. ერთელიშვილი, ხსენ. ნაშრ., გვ. 105.

2) ზმნური ფრაზეოლოგიზმი დასრულებულ აზრს არ გამოხატავს—აქლია ქვემდებარე: წილებზე ფეხს იდგამს, ფეხს იკიდებს, გული აიყარა... ცნობილია, რომ ასეთი გამოთქმა ყოველთვის მოქმედების ჩვენებას ითვალისწინებს. ეს ზოგადი მოქმედება მიეყენება კონკრეტულ ვითარებას და გარკვეულ კონტექსტში ჩნდება კონკრეტული ქვემდებარე: (მამამისი). წილებზე ფეხს იდგამს; (მის ძნიშვილს) თავში არაფერი უყრია, იმას კი კუდი ყავარზე აქვს გადებული... სხვა სიტუაციაში სხვა ქვემდებარეა მოსალოდნელი. რაც შეეხება სუბსტანტურ ფრაზეოლოგიზმებს, მათში კი შემასმენელია გამოტოვებული: მკედარი წერტილი, ნოეს კიდობანი, ტკბილი სიტყვა...

ანდაზა, როგორც აღვნიშნეთ, დასრულებულ აზრს გადმოგვცემს. აქ სუბიექტი და პრედიკატი გამოთქმის ორგანულ ნაწილს შეადგენს: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი; ალიას დარდი ფლავიაო; ნახუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება და სხვ.

3) ფრაზეოლოგიზმი სიტყვის ეკვივალენტია, რომელიმე წევრის ფუნქციით გამოდის: ენას კბილს აჭერს, ხაფანგი დაუგო (შემასმენლის ფუნქციით); დაბალი ღობე, აქილემეხის ქუსლი (ქვემდებარის ან დამატების ფუნქციით) და სხვ.

ანდაზა ისევ და ისევ წინადადების ეკვივალენტია: ქადა ორივე ხელით იჭმებო, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო. ასეთი გამოთქმების ერთი სიტყვით გამოხატვა ყოველად შეუძლებელია.

4) ფრაზეოლოგიზმი ფორმას იცვლის სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიების მიხედვით, დამოკიდებულია წინადადების შინაარსზე: სამარეს უთხრის, სამარე გაუთხარა, გაუთხარა სამარე.

ანდაზის ენობრივი ტექნიკა მყარია, უცვლელია სინტაქსური რიგი: მღვდელს ჭილოფში იცნობენო, პაპის ნაქამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილია.

5) ფრაზეოლოგიზმი ფაქტს აღნიშნავს.

ანდაზის მიზანი კი დიდაქტიკურია — იგი კონკრეტული ფაქტის გადმოცემასთან ერთად იძლევა აღმზრდელობით სენტიმენტს: ანდაზა ძალღივიც მოჰკლა, იმან გადაათ-

როსო გვაფრთხილებს, რომ ვინც იწყებს საქმეს, მანვე უნდა მიიყვანოს იგი ბოლომდე¹⁷⁷.

ამგვარად, ირკვევა, რომ ფრაზეოლოგიზმი და ანდაზა სხვადასხვა რიგის ენობრივი ოდენობებია, განსხვავებული როგორც ფორმით, ისე სტრუქტურით. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის ჩინური კედელია აღმართული. ფრთიან სიტყვათა მსგავსად ანდაზები ფრაზეოლოგიის შეესების ერთ-ერთ მოქმედ წყაროს წარმოადგენენ. ეს ძირითადად ხდება ანდაზის ელიფსიის ხარჯზე: მაგ., რუს. *убил добра* ← *не убить добра* — *не видеть добра*; *стреляный воробей* ← *стреляного воробья на мякине не проведешь*. ქართულში ბევრი გვაქვს ანდაზისგან იდიომის მიღების შემთხვევები: პირი ეწვის ← თუ პილიპილი არ გიჭამია, პირი რად გეწვისო; ახალი ცოცხი ← ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოჭანს ქვიშასა; ხავსს ეჭიდება ← წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო; ასევე: კედელს ნახშირი, პირველი მერცხალი, კბილს უსინჯავს, მათრახს არ დაიკრავს, კედელს ცერცვი და სხვ.

ზოგჯერ ეს გამოთქმები შემოკლებულ ანდაზებად მიაჩნიათ, რადგან ამ ნაწყვეტით შესაძლებელია მთელი ტექსტის აღდგენა. მაგრამ ეს ხერხდება თავდაპირველ ეტაპზე. დროთა განმავლობაში კონტექსტის გარეშე მიივიწყება, კოლორიტის ელფერი იკარგება და რედუცირებული ერთეული დამოუკიდებელ სახეს იღებს, ისე როგორც იდიომის კბილს უსინჯავს ხმარებისას არავინ ფიქრობს, რომ იგი მიღებულია ანდაზისაგან: ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაეისინჯება.

¹⁷⁷ ანდაზისათვის ნიშანდობლივად თვლიან აგრეთვე მის მხატვრულ დამუშავებულობას, რითმის, რიტმის, ალიტერაციის ქონას და სხვ. მაგრამ ეს ნიშნები ანდაზების გარკვეულ ნაწილს ახასიათებს.

არც „ხალხურობის“ ნიშანია სპეციფიკური. უფრო ერთი, იდიომების გარკვეული ნაწილიც ხალხური წარმოშობისაა. იდიომების „ხალხურ ხასიათს“ თვით ინგლისის შექმნილი კლასის ზედაფენები გრძნობდნენ (ამის შესახებ ქ. კანდელაკი, ინგლისური მეტაფორული იდიომები, გვ. 5—7). ნეორეკლავადა, „ეს ნიშანი შესასწავლი ობიექტის ბუნებით კი არ არის შეპირობებული, არამედ კუთვნილებითი მომენტით“ (ფ. ერთეული შეილი, ანდაზის ცნების საკითხისათვის, გვ. 107). მესამე, რაც მთავარია, იგი აბსოლუტური არ არის.

ფრაზეოლოგიზმი და აფორიზმი

ის, რაც ანდაზის იდიომთან დამოკიდებულების შესახებ ითქვა, სავსებით უდგება აფორიზმსაც. აფორიზმიც ფორმით წინადადებაა, ფრაზაა და ანდაზის მსგავსად გადმოსცემს დამრიგებლობითი მნიშვნელობის ბრძნულ აზრს. მათ შორის ხშირად ზღვარის გავლება ქირს. მართლაც, რა განსხვავებაა ანდაზასა არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი და აფორიზმად მიჩნეულ კოქასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების შორის? ფორმით, სტრუქტურულად და სემანტიკურად — არავითარი. ორივეს ამოსავალი მნიშვნელობა კონკრეტულ ფაქტთან არის დაკავშირებული, რომლის მიღმა ზოგადი იგულისხმება.

ერთადერთ განსხვავებად მათ შორის თვლიან იმას, რომ პირველი ხალხის წილშია გაჩენილი, ხალხურია, მეორეს კი პასპორტი აქვს: ლიტერატურის გზითაა შემოსული და ერთი პიროვნების კალამს ეკუთვნის.

ფიქრობთ, ეს არაა არსებითი მომენტი მათ გასამიჯნავად. როგორც იდიომისთვისაა მეორეხარისხოვანი, იგი ხალხური წარმოშობისაა (ნემსებზეზის, ცხვირიჩამოუშვა. გულს იფხანს...) თუ ლიტერატურული წყარო აქვს ამოსავლად (ღია კარებს ამტვრევს, აქილევსის ქუსლი, ჭანიბალის ფიცია...), ასევე უნდა იყოს ანდაზისა და აფორიზმისთვისაც. ხალხრობა, როგორც აღნიშნავენ, არ ქმნის მასალის სპეციფიკას, არ ავლენს შესასწავლი ობიექტის ბუნებას. იგი მხოლოდ კუთვნილებით მომენტზე მიუთითებს.¹⁷⁸

ამიტომ სამართლიანად გვეჩვენება მოსაზრება¹⁷⁹, რომ ანდაზებში გადაირიცხოს გადატანითი მნიშვნელობით ნახშირი აფორიზმები: ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია; გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი; კოქასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების და სხვ.

რა რჩება აფორიზმებში? აქ განიხილავენ გამოთქმებს, რომლებსაც მეტაფორულობა არა აქვთ, ექსპრესიის მატარებელი არ არიან და, ამდენად, დამრიგებლობით აზრს პირდაპირ აჩვენებენ: მაგ...

¹⁷⁸ ფ. ერთელიშვილი, ანდაზის ცნების საკითხისათვის, გვ. 107.

¹⁷⁹ როგორც ამას ფიქრობს ფ. ერთელიშვილი, იქვე, გვ. 108.

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელო-
ვანი (შ. რუსთაველი); სჯობს მონებაში გადიდქაცე-
ბულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი (აკაკი); სი-
ცოცხლეს აუგიანსა სიკვდილი მიჯობს ხმაღზედა
(ვაჟა) და სხვ.

საკითხავია: მხოლოდ გამოჩენილ პირთა კალამს ეკუთვნის
ასეთი არა ხატოვანი დარიგებანი? ხალხის წიალში არა აქვს მით
ადგილი?

პასუხი? დადებითია. ანდაზების კრებულებში უხვადაა წარ-
მოდგენილი გამოთქმები, რომლებსაც ხალხურობის ბეკედი აზის
და ზემოთ აღნიშნული აფორიზმებისგან არ განირჩევა: სჯობს
გვიან, ვინემ არასდროს; მჯობს მჯობი არ დაეღე-
ვაო; მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო; ცდა
ბედის მონახევრეა; ზარმაცისათვის ყოველდღე
უქმეაო და სხვ.

ჩვენი აზრით, მსგავსი ერთეულები უნდა გამოიყოს ანდაზე-
ბიდან და აფორიზმებში გადაირიცხოს (ისე, როგორც აფორიზ-
მების ნაწილი შეუერთდეს ანდაზებს). ეს იქნება მოვლენათა კანონ-
ზომიერი გადაფასება.

ამგვარად, მეორეხარისხოვანი კუთვნილებითი, მომენტის უგუ-
ლებელყოფა და ძირითად თავისებურებათა გათვალისწინება
ერთად წარმოგვადგენინებს განსხვავებულად კვალიფიციურებულ
მასალას.

რა თქმა უნდა, ასე გაგებულ აფორიზმებს მით უფრო არ
ექნება საერთო ფრაზეოლოგიზმებთან.

ფრაზეოლოგიზმი და ფრაზა

ცხადია, თუ არსებობს ტერმინი ფრაზეოლოგია, უნდა
იყოს ტერმინი ფრაზის გაგებაც. ყოველდღიურ პრაქტიკაში
ჩვენ ხშირად ვიყენებთ ამ სიტყვას, ისე რომ ზუსტად არ გვესმის
მისი მნიშვნელობა. კონტექსტში: მოქნილი ოლაკონიური
ფრაზა აქვს, ფრაზას ფლობს და სხვ., უპირველესად, იგუ-
ლისხმება ფრაზის შინაარსის დადებითი გაგება. გამოთქმებში:
ცარიელ ფრაზებს ისვრის, ფრაზების რახარუხია
და სხვ. ფრაზის შინაარსის უარყოფითი დახასიათებაა მოცემუ-
ლი და არაუფერია ნათქვამი მის სტრუქტურულ სპეციფიკაზე.

ამ კონტექსტში საყურადღებოა ტერმინ ფრაზეოლოგიის მე-
საზე მნიშვნელობად მოცემული განმარტება: „უშინაარსო ფრაზე-
ბის გროვა, ყბედობა“. ცარიელი ფრაზებით ვარჯიშს
ფრაზიორობას უწოდებენ, რაც თავისთავად უარყოფით მო-
ვლენადაა ცნობილი.

უბირველეს ყოვლისა, ფრაზა დასრულებულ აზრს გამოხა-
ტავს¹⁸⁰.

მაგრამ, დასრულებულ აზრს გადმოგვცემს წინადადებაც. რა
დამოკიდებულებაა მათ შორის? მეცნიერებაში ამ საკითხზე ორი
თვალსაზრისი არსებობს:

1) ფრაზა იგივე წინადადებაა. ამ აზრს ავითარებენ
ფრანგული ენათმეცნიერული სკოლის წარმომადგენლები.

2) ფრაზა ტერმინ წინადადების საპირისპიროა¹⁸¹.

ამ უკანასკნელი პოზიციის მიმდევრები იყენებენ შემდეგ
არგუმენტს: მათ წინადადებაც და ფრაზაც აზრობრივ ერთიანო-
ბად მიაჩნიათ, ოღონდ წინადადებაში ეს მთლიანობა და დასრუ-
ლებულობა გამოიხატება ფორმალურ-გრამატიკული (და პრე-
დიკატული) საშუალებებით, ფრაზაში კი ეს ამასთან ერთად მი-
ღწეულია ინტონაციური შესაძლებლობით¹⁸².

ასეთი შეპირისპირება განასხვავებს სინტაქსური მთელის ორ
სახეს. ა. პეშკოვსკის მარტივი წინადადება ფრაზადაც მიაჩნია და
წინადადებადაც, რთული კი მხოლოდ ფრაზად, რადგან მოკლებუ-
ლია ფორმალურ-გრამატიკულ ერთიანობას და რჩება მხოლოდ
აზრობრივ და ინტონაციურ მთლიანობად¹⁸³.

ჩვენ ვემხრობით ბირველ თვალსაზრისს, რადგან ფრაზისა და
წინადადების დაყოფა ხელოვნურ ხასიათს ატარებს. რთული წინა-
დადება, რადგინდ მოკლებული იყოს ფორმალურ-გრამატიკულ სა-
შუალებებს, მაინც წინადადებაა. რაც შეეხება ინტონაციას, იგი
გრამატიკოსების უმრავლესობას ჩართული აქვს წინადადების არ-
სებით ნიშნებში¹⁸⁴.

¹⁸⁰ ასეთივე მნიშვნელობითაა გაგებული ფრაზა მუსიკალურ ტერმინოლო-
გიაში: „ყოველი ცალკეული. შედარებით დამთავრებული მუსიკალური საქცე-
ვი, დასრულებული მუსიკალური აზრი“ (Словарь иностранных слов, 1954,
გვ. 749).

¹⁸¹ А. М. Пешковский и, Русский синтаксис в научном освеще-
нии, М., 1938, გვ. 410—411.

¹⁸² ამის შესახებ Большая Советская Энциклопедия, ტ. 45, გვ. 411.

¹⁸³ А. М. Пешковский и, იქვე.

¹⁸⁴ მაგ. А. А. Шахматов, Синтаксис русского языка, Л., 1941-

ამგვარად, ფრაზად ჩაითვლება ყოველგვარი სახის წინადადება, ოღონდ მისი შესწავლის საგანი არ ემთხვევა სინტაქსისას.

რაც შეეხება „მოქნილ“, „გამართულ“, „ცარიელ“ ფრაზებს, ეს უკვე ფრაზის ექსპრესიულ-მხატვრული დუნქციის დახასიათებას ნიშნავს, რაც ცხადია, სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება. ფრაზის ფართო გაგებას ყველაზე მეტად სტილისტიკაში ეძებნება ადგილი. სწორედ აქ ხდება როზელიმე მწერლის ან ლიტერატურული მიმართულების ფრაზულ თავისებურებათა ანალიზი. მწერლის ფრაზის სპეციფიკურობათა გარკვევა დიდი პრობლემის — მწერლის სტილის ანალიზის — ერთ-ერთ ძირითად მომენტს წარმოადგენს.

რა დამოკიდებულებაში რჩება ფრაზა ფრაზეოლოგიასთან? უნდა შევნიშნოთ, რომ ფრაზის ცნება არც ფრაზეოლოგიისთვისაა უცხო, მაგრამ აქ იგი ვიწრო გაგებითაა განოყენებული.

ა. იაკოვლევესკაია ფრაზემის გვერდით (იგულისხმება ფრაზეოლოგიზმი, ფრაზის ნაწილი) ფრაზეოლოგიის შესწავლის ობიექტად გამოჰყოფს ფრაზასაც, მაგრამ არა ყოველგვარს, არამედ მყარი ფორმის, სიტყვათა მუდმივი რიგისა და ზოგადი მნიშვნელობის მქონეს. აქ იგულისხმება ანდაზები, ადრბიზმები, ლიტერატურული ციტატები¹⁶⁵.

ამ დაყოფას კომუნიკაციის პროცესი უძევს საფუძვლად. ფრაზემასა და ფრაზას (рефр. იდიომსა და ანდაზას) შორის ზღვარი გავლებულია, მაგრამ ეს უკანასკნელი ფრაზეოლოგიაში მაინც დატოვებულია, რაც მიუღებელი ჩანს.

ამგვარად, როგორი მოვლოდნელიც უნდა იყოს, ფრაზა რჩება ფრაზეოლოგიის გარეთ.

¹⁶⁵ А. В. Яковлевская, Фразеология языка Маяковского. გვ. 94. ცხადია, ავტორისათვის ფრაზა ისევე არაა ჩვეულებრივი წინადადება, როგორც ფრაზემა (ფრაზეოლოგიზმი) არაა ჩვეულებრივი შესიტყვება.

ფრაზეოლოგიკების თარგმნის საკითხისათვის

ილიომის უთარგმნელობის ნიშანი აბსოლუტური არ არის

მთარგმნელობითს პრაქტიკაში ფრაზეოლოგია რჩება ერთ-ერთ ძნელ უბნად. ცნობილია, თუ რა დაბრკოლებას აწყდებიან მთარგმნელები უცხო ენის ფრაზეოლოგიური მასალის, კერძოდ იდიომატიკის გადმოტანისას. ამ ამოცანის დაძლევა თარგმნის კულტურის მაღალ დონეზე მიუთითებს.

ნაკლებ დამუშავებულია საკითხის თეორიული მხარეც. ითარგმნება თუ არა იდიომი?— ეს კითხვა დიდი ხანია დასმულია, მაგრამ მასზე დამაკმაყოფილებელი პასუხი არაა გაცემული.

ზოგიერთი ავტორი ილიომის სპეციფიკურ ნიშნად თარგმნის შეუძლებლობას მიიჩნევს. „იდიომი გამოთქმაა, რომელიც დამახასიათებელია რომელიმე ენისათვის და სიტყვასიტყვით არ ითარგმნება სხვა ენაზე“¹⁸⁶. რ. ბუდაგოვს ილიომის მეოთხე არსებით ნიშნად მისი უთარგმნელობა მიაჩნია¹⁸⁷.

ასეთი თვალსაზრისი თეორიულად საფუძველშივე მცდარია.

უთარგმნელობის ნიშნის განმსაზღვრელად გამოცხადება მეორე პლანზე აქცევს გამოთქმის შინაგანი სტრუქტურის საკითხს, მისი სემანტიკური თავისებურებების ანალიზს, რაც ილიომის ბუნების შეცნობის ნამდვილ გზას წარმოადგენს. სამაგიეროდ, წინა პლანზე გამოდის ილიომის სხვა ენის მასალასთან შეპირისპირება (ვეყრდნობით მეორე ენას და არა მშობლიურს!), რაც ფაქტობრივ

¹⁸⁶ Толковый словарь русского языка, под. ред. Д. Н. Ушакова, 1935, I, გვ. 1134.

¹⁸⁷ Р. А. Будагов, Введение в науку о языке, М., 1958, გვ. 105. მსგავსი აზრი აქვთ განვითარებული ს. აბაკუშოვს, ა. რეფორმატსკის, ლ. ბულახოვსკისა და სხვ.

ფვართმევეს იდიომთა მეცნიერული კლასიფიკაციის შესაძლებლობას ცალკეული ენების ფრაზეოლოგიის სისტემაში¹⁸⁸.

ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ის, რაც არ ითარგმნება ერთ ენაზე, შეიძლება ითარგმნოს მეორეზე, მივიღებთ გამოთქმებს, იდიომატურს ერთი ენის მიმართ და, არაიდიომატურს მეორის მიმართ, რაც მიგვიყვანს ყველა ენაში იდიომის ერთიანი ცნების არსებობის უარყოფამდე¹⁸⁹.

რა დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა ფაქტობრივი მონაცემები?

ექვს არ იწვევს, რომ ზოგიერთი გამოთქმის სიტყვასიტყვითი გადატანა სხვა ენაზე უაზრობას ქმნის. უაზრობაა რუსულად: ყურებზე ხახვი არ დამატრა, თვალი მისდის, ბოლთას სცემს... ასევე ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული იქნება ქართულად: *тянуть камителъ, глуп как пробка...*

აღნიშნული მომენტის ანგარიშგაუწვევლობას ხშირად კუროზ-ზაიდე მივყავართ. ამის კლასიკური მაგალითი მოჰყავს ენგელსი: ერთ-ერთ კორესპონდენტს ინგლისური გამოთქმა *to eat a crab*, რაც ნიშნავს „ნიჩბის უიღბლოდ წყალში ჩაშვებას“, სიტყვასიტყვით უთარგმნია გერმანულად: *კიბორჩხალას დაჭერა*, რამაც შექმნა კომიკური ეფექტი¹⁹⁰.

უთარგმნელობის მიზეზად მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ იდიომის ზოგადი მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს.

მაგრამ ამ შეუსაბამობას ხომ მშობლიურ ენაზედაც აქვს ადგილი? რას ნიშნავს პირდაპირი გაგებით: წყალს ნაყავს, კუდი ყავარზე აქვს გადებული, კუდი ეწვის... ეს ხომ არარეალური, განუხორციელებელი მოქმედებებია.

მაშ, რატომაა ეს იდიომები ადგილობრივ ნიადაგზე გასაგები? იმიტომ, რომ დროთა განმავლობაში, ტრადიციის ძალით, ამ შესიტყვებებმა აქ დაიმკვიდრა ზოგადი აზრი — უპასუხებენ უთარგმნე-

¹⁸⁸ ამის შესახებ ა. კუნინი, *О фразеологических сращениях в современном английском языке: Иностраные языки в школе*, 1953, № 3, გვ. 27.

¹⁸⁹ ასე ესმის საკითხი ქ. კანდელაკსაც (ინგლისური მეტაფორული იდიომები, გვ. 27–28).

¹⁹⁰ K. Маркс, Ф. Энгельс, *Об искусстве*, М., 1937, გვ. 674–675.

ლობის თეორიის დამცველნი. „სხვა ენებში შესაბამისი სიტყვების შეხამებას არ მიუღია ანალოგიური მნიშვნელობა“¹⁹¹. რუსული ფრაზეოლოგიზმი *клясть зубы на полку* ქართულად სიტყვა-სიტყვით გადმოტანისას კარგავს თავის მნიშვნელობას („საქმელი არაფერია“), რადგან ქართულში კბილების თაროზე დაწყობა ფრაზეოლოგიზმი არ არის.

სხვა ენაში იმავე მნიშვნელობას იძლევა სიტყვათა სხვა შეკავშირება. აქ უპირისპირდებიან ენები ერთმანეთს თავისი მხატვრული აზროვნებით, ერთი შინაარსის სხვადასხვა ფორმით გადმოცემის შესაძლებლობით. ყოველ ერს საზოგადოების საკუთარი არსენალი აქვს და აქედან ხდება სხვადასხვა ცნებებისა და მოვლენების სახელდება. მოხერხებულობის აღსანიშნავად ქართველი ხმარობს ნ ე მ ს ის ყ უ ნ წ შ ი გ ა ძ ვ რ ო მ ა 'ს, რუსი კი სხვა სახეს უღებს საფუძვლად: *по взоздым проехать*. მეტისმეტი შრომის და ჯაფის გაწევა ქართულში გამოიხატება გამოთქმით: *წ ე ლ ე ბ ზ ე ფ ე ხ ს ი დ გ ა მ ს*; რუსულში კი: *из кожи лезет вон*, ან *вытягивается в нитку*. შდრ. აგრეთვე ქართ. ფ ი ა ნ დ ა ზ ა დ დ ა ე გ ო ს — რუს. *расширяться в лепешку*; ქართ. ნ ა ც ა რ ს ქ ე ქ ა ვ ს — რუს. *бить баклуши*; ქართ. ფ ე ხ ე ბ ი ე ბ ლ ა ნ დ ე ბ ა — რუს. *вонзеля писать* და სხვ.

ცხადია, ენებში ნხოლოდ ამ სახის იდიომები რომ არსებობდეს, მათი უთარგმნელობის საკითხი დადებითად გადაწყდებოდა.

მაგრამ ირკვევა, რომ მსგავსი შემთხვევები აბსოლუტური არ არის. შესაძლებელია ერთი ენის სიტყვათკავშირმა სხვაგან მიიღოს ანალოგიური მნიშვნელობა. ეს საფუძველშივე გაძარტლებული დაშვებაა. თუ კი ენაში გვხვდება ნასესხები სიტყვები, კომპოზიტების კალკები და უცხო გრამატიკული კონსტრუქციები, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს სხვა ენის ხატოვანი გამოთქმების მოდელის გადმოღება.

უპირველეს ყოვლისა, დავასახელებთ საერთო წყაროდან სხვადასხვა ენაში გადასულ საყოველთაოდ ცნობილ იდიომებს:

ბიბლიიდან: ხ ე ლ ი დ ა ი ბ ა ნ ა, მ ე შ ე ი დ ე ც ა, ქ ვ ი შ ა ზ ე ა გ ე ბ ს, ხ ე ლ ის გ უ ლ ზ ე ა ტ ა რ ე ბ ს, ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი ხ ი ლ ი, ე კ ლ ი ა ნ ი გ ზ ა...

191. ა. თ ნ ი ა ნ ი, ქართულ-სვანური იდიომატია, გვ. 64.

მითოლოგიიდან: აქილევსის ქუსლი, დამოკლეს
მახვილი, ნოეს კიდობანი, დემოსთენეს კენჭი, პრო-
კრუსტეს სარეცელი...

ისტორიიდან და ლიტერატურიდან: ამერიკის აღმო-
ჩენა, ჰანიბალის ფიცი, ჩინური კედელი, რუბიკონ-
ის გადალახვა, პოტიომკინის სოფელი, ქარის
წისკვილებთან ბრძოლა, დათვური სამსახური, ღია
კარების მტვრევა...¹⁹²

გარდა ამ ინტერნაციონალური ხასიათის გამოთქმებისა და-
სტურდება სესხების კონკრეტული შემთხვევებიც. ა. პუშკინს მია-
წერენ რუსულში გამოთქმების *отдать сердце, открыть ду-
шу*'ს შემოტანას ფრანგულიდან. *Делать большие глаза*
კალკია გერმანული გამოთქმისა *große Augen machen* („განცვიფ-
რება“). რუსული *легавая собака* („ჯაშუში“) ნასესხებია პოლო-
ნურიდან: *legawy (pies)*, პოლონურს თავის მხრივ ფრანგული
გამოთქმა უძვეეს საფუძვლად: *chien couchant* (სიტყვასიტყვ. მწო-
ლარე ძაღლი). ა. გრიბოედოვს აქვს პირველად ნახმარი იდიომი
не в своей тарелке, რომელიც ფრანგულიდან მოდის: *il n'est
pas dans son assiette*. კალკს წარმოადგენს რუსულში *ломать
голову*, რომელმაც აქედან ქართულშიც შემოაღწია: თავს იმ-
ტვრევს.

ინგლისურ-რუსულ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში შეტანილია
შედარებით გავრცელებული ავსტრალიზმები, ირლანდიზმები და
შოტლანდიზმები, რომლებიც გვხვდება თანამედროვე ინგლისურ
ლიტერატურაში¹⁹³. ინგლისურში ბევრია აგრეთვე ლათინური და
ფრანგული წარმოშობის იდიომები, რომელთა უცხოური წარმო-
მავლობის გარკვევა დღეს ქირს.

მსგავსი ვითარებაა ქართულშიც. ბევრი ვერც კი გრძნობს,
რომ გამოთქმები: ფეხზე დადგა, თვალში ეცემია, კისერ-
ზე აზის, ხელი მოითბო და სხვ. წარმოადგენს შესაბამისად
რუსული გამოთქმის კალკს: *стать на ноги, бросается в гла-
за, на нее сидеть, руки нагреть*.

¹⁹² შეიძლება თქვან: ეს საერთო ხმარების, ერთი წყაროდან მომდინარე
ერთეულებია, რომლებიც კაცობრიობის კულტურის საერთო საგანძურს განე-
კუთვნება. მაგრამ ფაქტია, რომ ჩგი სესხების გზითაა ენიდან ენაში გადასული.
ახალი ამერიკის აღმოჩენა, ღია კარების მტვრევა ქართულ-
ში, საფიქრებელია, რუსულის შუალობით შემოვიდა, რუსულს კიდევ სხვა წყა-
როს აქვს და ა. შ.

¹⁹³ ამის შესახებ А. В. К у н и н, Фразеологический словарь, გვ. 5.

თუ გადავხედავთ 1956 წელს გამოცემულ „რუსულ-ქართულ იდიომატიკას“, დავრწმუნდებით, რომ ნახევარზე მეტი იქ მოთავსებული მასალა არის რუსული იდიომის სიტყვასიტყვითი თარგმანი: თითოეული ვერ დამაკარებ — *пальцем не тронешь*, წამოაგო ანკესზე — *на удочку поддеть*, გზა გაიკაფა — *пробить дорожку*, ხელი გაუწოდა — *протянул руки*, გზიდან ჩამოიცილა — *убрать с дороги*, თვალებით ჭამს — *глазами есть*, ჰაერში ჰკიდიდა — *высеть в воздухе*, თითიდან გამოსწოვს — *высосать из пальца...* და მისთ¹⁸⁴. ეს გამოთქმები შეითვისა ქართულმა და საკუთრად აქცია, სხვა ენაში შექმნილი ასოციაციები მისთვის ორგანული გახდა. თავდაპირველად ალბათ ისინი ყურს უტახოდ ხედებოდა. მაგრამ ეს ყოველგვარი სიახლის ხვედრია. ასეთსავე უნდობლობას იწვევს დასაწყისში ადგილობრივ შექმნილი იდიომიც. რამდენი დაბრკოლება შეხვდა ალბათ გამოთქმას ყურებზე ხახვი არ დამაქრა, რომ გამხდარიყო საერთო-სახალხო საკუთრება. უფრო მეტიც: ზოგიერთი ქართლ-ქახური წარმოშობის იდიომი (ჩაილურის წყალი დალია და სხვ.) ჯერ კიდევ ვერ „ჩაჯდა“ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა მეტყველებაში.

როგორც ვნახეთ, იდიომის უთარგმნელობის ნიშანი აბსოლუტური არ ყოფილა. ამდენად იგი, ცხადია, ძირითადი ცვლადი იქნება, იდიომის განსაზღვრის კრიტერიუმად ვერ გამოდგება.

იდიომის თარგმნის აუცილებელი პირობა

არსებობს კი რაიმე კანონზომიერება თარგმნის საკითხში? თითქმის არაფითარი. ზოგი გამოთქმა ითარგმნება და ზოგი — არა. ა. პუშკინმა *отдать сердце*სა და *открыть душу*ს გვერდით „ევეგენი ონეგინში“ იხმარა ფრანგული იდიომი *pora меж волка и собаки* („შებინდებისას“), მაგრამ მან ფეხი ვერ მოიკიდა რუსულში.

გარკვეული სფერო მაინც შეიძლება მოიხაზოს. ცხადია, ვერ ითარგმნება იდიომი, რომელიც ერის ადამ-ჩვევებსა და ისტორიას ეხება და, ამდენად, წმინდა ნაციონალური კოლორიტისაა. მაგ., ქაკას ხიდი გაიარა, ჩაილურის წყალი დალია...

¹⁸⁴ ნ. გამრეკელი, ე. მგალობლიშვილი, რუსულ-ქართული იდიომატიკა, თბილისი, 1956.

ასევე თარგმნას არ დაემორჩილება ყურად ილო, აბუჩად-იგდებს. აქ ხელშემშლელ ფაქტორად ჩანს გრამატიკული და-ლექსიკური არქაიზმები. უთარგმნელ ერთეულებად ჩაითვლება-რუსული: *бить баклуши, попасть в просак, тянуть канитель, выкинуть козла*. ესენი გამოხატავენ რუსული ყოფის სპეციფიკას, არსებითად მისთვის არიან ნიშანდობლივი.

როგორც ვხედავთ, იდიომებშიც, ენის სხვა ელემენტების მსგავსად, უთარგმნელად ითვლება ერთეული, რომელიც ენის სა-ერთო გრამატიკული ნორმებიდან გადახვევას წარმოადგენს, ან მკა-ფიოდ გამოხატული სოციალური შეფერილობით ხასიათდება. ამ თვალსაზრისიდან ამოსვლით უმოტივაციო იდიომებში (ე. წ. ფრა-ზეოლოგიურ შენაზარდებში) თარგმნის საკითხი ძირითადად მო-ხსნილი იქნება. მათი კალკირების არც საჭიროებაა ენაში და არც შესაძლებლობა.

თარგმანს ძირითადად ემორჩილება ხატოვანი იდიომები, რომლებშიც გაწყვეტილი არაა კავშირი მეტაფორიზაციის საფუ-ძველსა და შედეგს შორის: *руки чешутся* — ხელები ექავეება, *в душу влезть* — სულში შეუძვრე, *не падать духом* — სუ-ლით არ დაეცე, *глаза закривать* — თვალები დაეხუჭო...

აქედან ჩანს, რომ იდიომის თარგმნის ელემენტარულ პირო-ბად შეიძლება წამოვაცუნოთ ის, რომ ხელშესახები იყოს კავშირი გამოთქმის ამოსავალსა და ზოგად მნიშვნელობას შორის. ანდა, სხვანაირად: ნათლად ჩანდეს გამოთქმის მოტივაციის კვალი. რუ-სულ იდიომს *попасть в пухляк* ვერ გადმოვიტანდით ქართუ-ლად (ჩიხში მოემწყყედა), რომ თვით პირდაპირ მნიშვნელო-ბაშიც არ ჩანდეს მნიშვნელობის გადატანის შესაძლებლობა.

აღნიშნული პირობა აუცილებელიც გვეჩვენება, რადგან, რო-გორც ირკვევა, იდიომ-კალკი „ორჯერ განიცდის გადატანითო-ბას: პირველად მშობლიურ ნიადაგზე, იდიომატური მნიშვნელო-ბის შეძენის მომენტში; მეორედ კალკის დროს, როდესაც უცხო ენაში შედის შეუსაბამო იდიომატური მნიშვნელობით“¹⁹⁵. მაძასა-დამე, იდიომი ხელახლა იბადება, ოღონდ უკვე სხვა გარემოში. ამიტომ აქაც, ისევე როგორც მშობლიურ ნიადაგზე დამკვიდრებისას, საჭიროა პირდაპირ მნიშვნელობაში მკაფიოდ იყოს წარმოდგენი-ლი გამოთქმის განზოგადების საფუძველი.

¹⁹⁵ А. Я. Рожанский, Идиомы и их перевод: Иностранные язы-ки в школе, 1948, № 3, გვ. 28.

ხანდახან სრული იდენტურობა არა გვაქვს. ამოსავალი იდიო-
მისა და კალკის შემადგენელი ელემენტები ზუსტად არ ემთხვე-
ვა ერთმანეთს. მაგრამ იგრძნობა, რომ ასოციაცია ერთია და
სახე ერთნაირადაა განცდილი. ბიბლიური გამოთქმა *носить на*
руках ქართულში უფრო დაკონკრეტებულია: ხელი ს გულზე
ატარებს; გერმანულის კალკმა *vom, zde зарыта собака!*
(← *da ist der Hund begraben*) ქართულში უფრო ზუსტი სახე მი-
იღო, აქცენტი გაკეთდა არა ძალზე მთლიანად, არამედ ძალ-
ლის თავზე, რაც უფრო არსებითი ჩანს: აი, სა დ მ ა რ ხ ი ა ძ ა ლ-
ლის თავი! ასეთი ნიუანსური სხვაობანი ანდაზებშიც შეიმჩნევა:
'მღრ. რუს. *семь раз померь, один раз отрежь* — ქართ. ას-
ჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი; რუს. *убить одним вы-
стрелом двух зайцев* — ინგლ. *to kill two birds with one stone*
(სიტყვისიტყვ. ერთი ქვით ორი ჩიტის მოკვლა).

ესაა გამოთქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ნი-
მუში, როდესაც გათვალისწინებულია ახალი გარემო და სათარგ-
მნი ერთეული მისთვის ნიშანდობლივი სახით გადმოიცემა.

ფრაზეოლოგიური შესიტყვების კალკირება

თარგმნის მხრივ შედარებით მარტივი მდგომარეობა გვაქვს
ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებთან. ენებში უხვად მოიპოვება მათი
კალკები. *Принес извинение* რუსულში ინგლისურიდანაა შესუ-
ლი. ქართ. მაგალითი მოიყვანა მოდის რუსულიდან, რაც
თავის მხრივ გერმანულის კალკს წარმოადგენს. დროის მოკე-
ლა რუსული *убить время*'ს კალკად მიაჩნიათ, ეს უკანასკნელი
კი ლათინურადაა წამოღებული.

ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა კალკების უმეტესობა შე-
ტანილიც არაა ფრაზეოლოგიურ ლექსიკონებში, რადგან სირთუ-
ლეს არ ქმნის თარგმნისას. ასეთ მაგალითებად იგულისხმება ქართ.
შეფასება მისცა — რუს. *дал оценку*, ქართ. მწუხარებას
მიეცა — რუს. *вдался в печаль*, ქართ. წინააღმდეგობაში
ჩავარდა — რუს. *впал в противоречие* და სხვ.

მაგრამ ასეთი ზუსტი თარგმანი ყოველთვის არ ხერხდება.
თარგმნის სიზუსტე მიიღწევა მაშინ, როდესაც ენებში სიტყვიერ
მნიშვნელობათა კავშირები ერთმანეთს ემთხვევა. როდესაც სი-
ტყვათშეკავშირების სფეროები განსხვავებულია, გამოთქმა შე-
ცვლილი სახით გადმოიცემა. მაგ., *делать предложение* ითარ-

გმნება ასე: წინადადების მიცემა, რადგან სიტყვათშენაერთი წინადადების გაკეთება ქართულისთვის შეუფერებელია. ე. ი. გაკეთება ზმნას ქართულში. სიტყვებთან ურთიერთობის, მცირე წრე აქვს. *Проявлять инициативу* უნდა იყოს: ინიციატივას ამჟღავნებს, გვაქვს კი: ინიციატივას იჩენს. *Тяжелая опасность* გერმანულის სიტყვასიტყვითი თარგმანია. უფრო ბუნებრივია: *серьезная опасность*. რუსულ *оказать* ზმნას ქართულ ფრაზეოლოგიურ კონტექსტებში რამდენიმე სინონიმი შეეფარდება:

- Оказывать помощь* — დახმარების აღმოჩენა
- Оказывать сопротивление* — წინააღმდეგობის გაწვევა
- Оказывать внимание* — ყურადღების გამოჩენა
- Оказывать милость* — წყალობის მოღება
- Оказывать влияние* — გავლენის მოხდენა (იხმარება აგრეთვე: გავლენა იქონია).

აღნიშნული ფაქტი, რომ ზოგჯერ ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული სიტყვები განსხვავებულ კავშირებში შედიან, ოდნავადაც არ უშლის ხელს სრულყოფილი თარგმნის განხორციელებას. პირიქით, სწორედ ეს გვეხმარება უცხო ენის მასალა სხვა ენაზე ამ ენის დამახასიათებელი ფრაზეოლოგიური ერთეულებით გადმოვიღოთ. სიტყვიერ მნიშვნელობათა კავშირების კანონები სწორედ თარგმნის დროსაა გასათვალისწინებელი. თარგმნისას ყოველთვის ჩნდება კითხვა: შეიძლება კი ასე ვთქვათ? შეუძლია გარკვეულ სიტყვას ამა თუ იმ სიტყვასთან შეკავშირება?¹⁹⁶

ამიტომ, რომ ორი ენის თარგმნითს ფრაზეოლოგიურ ლექსიკონებში იდიომების გვერდით ძირითადად ასეთი სახის ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი შეაქვთ:

მაგ., ინგლ. *pay attention* — რუს. *обращать внимание* (სიტყვასიტყვ. *платить внимание*); ინგლ. *bear resemblance* — რუს. *иметь сходство* (სიტყვასიტყვ. *носить сходство*); ინგლ. *make a sacrifice* — რუს. *приносить жертву* (სიტყვასიტყვ. *делает жертву*)¹⁹⁷.

კალკი თუ იგივეობრივი ჰარალელი?

ისმის კითხვა: მთლიანად კალკებს განეკუთვნება ის იდენტური მასალა, რაც სხვადასხვა ენაში გვხვდება? *a priori* შეიძლება

¹⁹⁶ А. В. Федоров, Введение в теорию перевода, М., 1958, გვ. 175.

¹⁹⁷ А. В. Куинин, Фразеологический словарь, გვ. 5.

უარყოფითი პასუხის გაცემა. გარდა იმისა, რომ ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სტრუქტურული ელემენტებით, მათ გააჩნიათ ბევრი საერთოც.

როდესაც სვანურში *შენი ქირიმე* 'ს ფარდად ის გვიმპზი გმი'ს ვხვდებით (სიტყვასიტყვ. *შენი ქირიმე*), უკრაინულში *нумаь нуцтрастие* 'ს შესატყვისად *мату нуцтрастие* 'ს, შეიძლება თქვან, რომ ეს მონათესავე ენებია და აღნიშნული პარალელიზმი ოდინდელი ურთიერთობითაა გამოწვეული. ასევე ქართული ყურებზე ხახვი არ დამაპრა და სვანური კინჩხეი ხახვ ნომა ემქკორა (სიტყვასიტყვ. ქისერზე ხახვი არ დამაპრა) შეიძლება მსგავსი სოციალური მდგომარეობით შეპირობებულ დამთხვევად მივიჩნიოთ.

მაგრამ ნათესაობის მომენტი იხსნება, როდესაც დამთხვევა ხდება ერთმანეთისაგან შორს მდგომ ენებში.

მაგალითად, როგორც აღვნიშნეთ, რუსულ *отдать сербце* 'ს ფრანგულის კალკად თვლიან. ასე ვერ ვიმსჯელებთ ქართული გული მისცა 'ს შესახებაც. იგი წმინდა ქართული იდიომი ჩანს. გვხვდება ჯერ კიდევ რუსთაველთან: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ქირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

მაშასადამე, ფრანგული და ქართული ამ მომენტში დამოუკიდებლად შეხვდნენ ერთმანეთს. ასევე დამოუკიდებლად ჩასახულ შესატყვისებად მიგვაჩნია:

1) ქართ. ფეხი დააპირა და ინგლ. *to put one's foot* (სიტყვასიტყვ. ფეხის დაქერა).

2) ქართ. ზურგი შექაქცია და ინგლ. *to turn one's back upon* (სიტყვასიტყვ. ზურგის შექცევა).

ინდოევროპულ ენებში ერთმანეთთან უშუალოდ ყოფნის იდეა სხვადასხვანაირად გამოიხატება:

რუს. *с злaзy на злaз* (სიტყვასიტყვ. თვალდათვალ)

ფრანგ. *tête, à tête* („ თავი თავთან)

გერმან. *unter vier Augen* („ ოთხ თვალს

შორის)

ინგლ. *face to face* („ პირისპირ)

როგორც ვხედავთ, სახონების საფუძვლად ზოგან თვალია, ზოგან თავი და ზოგან პირი. საინტერესოა, რომ ქართულში

ამ აზრით არსებობს გამოთქმა პირისპირ. მაშასადამე, აქ უკვე ინგლისური და ქართული შეხვედა ერთმანეთს¹⁹⁸.

შესაძლებელია, დროის მოკვლა არ იყოს რუსულის გზით შემოსული ლათინურის კალკი. მის ადგილობრივ ნიდაგზე ვაჩენის სასარგებლოდ მეტყველებს ფაქტი, რომ მოკვლა ზმნა ქართულში შედის სხვა ფრაზეოლოგიურ კონტექსტებშიც: გულის მოკვლა, წყურვილის მოკვლა. ასევე ქართული ჩანს გამოთქმა თვალში ნაცარს აყრის (შდრ. რუს. *пыль в глаза сыпуть*). ამას გვაფიქრებინებს ადგილი „აბესალომ და ეთერის“ საკმაოდ ძველი ტექსტისა: „დედინაცვალი, თვალში ნაცარი“.

ამგვარად, სრული შესაძლებლობა არსებობს სხვადასხვა ჯგუფის ენებში ერთნაირი მასალის განმეორებისა. ასეთი შეხვედრები შეპირობებულია მთელი რიგი სოციალ-ისტორიული და კულტურული ფაქტორების იდენტურობით.

სწორედ ამ საერთო ტენდენციების შედეგია მსგავს იდეათა თუ ვითარებათა ერთნაირად გამოხატვა. აქ ხდება ხალხების ასოციაციების, მოვლენათა იდენტურად დანახვისა და სახელდების პროცესების დამთხვევა.

ერთი რამ მაინც გაურკვეველია: ზოგჯერ ძნელი დასადგენია, კალკთან გვაქვს საქმე თუ დამოუკიდებლად ჩასახულ გამოთქმასთან. ის, რაც ერთ შემთხვევაში ნათარგმნი გვეგონია, სინამდვილეში ერის ნაციონალურ საკუთრებას წარმოადგენს და პირიქით. ცხვირის აწევა (|| აბზეკა) რამდენიმე ენაში გვხვდება. ეს აფიქრებინებს ზოგიერთს, რომ იგი ყველგან ერთი წარმოშობისა უნდა იყოს, ე. ი. სესხების გზით შესული¹⁹⁹. რატომ არ შეიძლება, რომ ყველგან დამოუკიდებლად ჩასახულად მივიჩნიოთ?

ერთგვარი სინათლე საკბთხის გარკვევაში შეიძლება შეიტანოს ენის განვითარების ეტაპებისათვის თვალის მიღვევებამ. საჭიროა გამოთქმათა წარმოჩენის თარიღების გარკვევა, მათი პასპორტიზაცია.

¹⁹⁸ ა. ქუთათელის რომანის „პირისპირ“-ის რუსული თარგმანი *лицом к лицу* ქართულის კალკს წარმოადგენსო, იფიქობდა კაცი, მაგრამ ასეთი გამოთქმა იშვიათად რუსულშიც იხმარება.

¹⁹⁹ როგორც ეს ესმის ა. კობახიძეს (რუსული ფრაზეოლოგიზმების ქართულად გადმოცემისა და სწავლების საკითხისათვის: ჟურნ. კომუნისტური აღზრდისათვის, 1958, № 8, გვ. 39).

უწინარეს ყოვლისა გადავხედოთ დიალექტთა მონაცემებს. კახურში გვხვდება რამდენიმე გამოთქმა, რომელიც შეიძლება იყოს რუსულის კალკად მიეჩნია.

სულის მობრუნება — „როგორც იქნა მაიბრუნა სული“²⁰⁰. შდრ. რუს. *дух перевести*.

პასუხის მიცემა — „რომტრითინ პასუხი მიეცათ“ (კახ., გვ. 32,3). შდრ. რუს. *дать ответ*.

იმედის მიცემა — „იმედი მოგვცა სამშობლომ“ (კახ., გვ. 27,19). შდრ. რუს. *подавать надежду*, რომელიც ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება.

დროს ტარება — „მთელი დღე და ღამე დრო ატარემდა“ (კახ., გვ. 78,12). შდრ. რუს. *провести время*.

მსგავსი შეხვედრები დაიძებნება სხვა დიალექტებშიც. კახურზე იმიტომ შეეჩრდით, რომ ფუძე-დიალექტია და ენის განვითარების ისტორიულ საფეხურს ავლენს.

მაგრამ შეიძლება ზოგი ზემოთ აღნიშნულ გამოთქმათაგანი დიალექტში სალიტერატურო ქართულიდან იყოს გადასული, ამ უკანასკნელში კი რუსულიდან.

მივმართოთ ძველ ლიტერატურულ და ისტორიულ ძეგლებს. იმ პერიოდისას, როდესაც რუსული ენის გავლენა ქართულზე გამორიცხულია. ადგილი აქვს შემდეგ შეხვედრებს:

ხელში დაქერა — „წყალმა დააგდო ალაგი და დიდი მინდორი ხელთ დაიქირა“²⁰¹. შდრ. რუს. *держать в руках*.

ხელში ჩაეარდნა — „ვეშაპთა ხელთა ჩაეარდნა“ (რუსულ., გვ. 16,30). შდრ. რუს. *попасть в руки*.

სულის დგმა — „მიკვირს, სულნი რადლა მიდგან“ (ვეფხისტყ., 410,4). შდრ. რუს. *в члм душа держится*.

თავის დადება — „სხვებ ჩემი თავი და სული შენთვის დამიდვია“ (რუსულ., გვ. 5,35). შდრ. რუს. *голове сложить*.

თვალს არ აშორებს — „არცა თვალი და გული იმ სარკმელს არ მოაშოროს“ (რუსულ., გვ. 35,19). შდრ. რუს. *глаз не сводит*.

თვალით არ უნახავს — „ომი თვალით არ უნახავსო“ (რუსულ., გვ. 294,23). შდრ. რუს. *в глаза не видел*.

²⁰⁰ ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი. 1956, ტექსტები, გვ. 69.

²⁰¹ რუსულნაინი, ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, 1957, გვ. 9,10.

პატრიოსცა — „მაშინ მეფემან მისცა მას პატრივი“ (ქართლ. ცხოვრ., გვ. 61,10). შდრ. რუს. *отдать поклон*.

ფიცი მისცა — „და მისცა ყოველსა ზედა ფიცი და აღთქმა“ (ქართლ. ცხოვრ., გვ. 64,4). შდრ. რუს. *я дал ему клятву*. მართალია, რუსულში ეს გამოთქმა მარტივი ზმნითაც იხმარება: *покаялся*, მაგრამ ასევეა ქართულშიც: შეფიცვა.

სიტყვის აღება — „აღებასავე სიტყვსა ზენისასა, მი-შკა-ვისცენ ჯორცნი ზენნი დასაწუველად“ (სიბრძ. ბალავ., გვ. 37). შდრ. რუს. *берет слово*. საინტერესოა, რომ ძველ ქართულში სიტყვის აღების გვერდით დასტურდება სიტყვის დადებაც: რამეთუ დადვის სიტყვაჲ მისი და შეიკუთენის უგუნურნი“. რუსულში მხოლოდ სიტყვის აღება გვაქვს.

წესად დადება — „და მიერთგან დაიდვა წესად“ (სიბრძ. ბალავ., გვ. 18,6). შდრ. რუს. *положить за правило*.

განხილულ შემთხვევებში საეკლესიო მოხსნილია მათი რუსულიდან შემოსვლის შესაძლებლობა. მაგრამ საკითხი მათ წარმომავლობაზე ამით არ მთავრდება. ის კონტაქტი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ჰქონდა წინა საუკუნეებში სხვადასხვა ხალხებთან, არ შეიძლება არ გამოვლენილიყო ენობრივ სფეროშიც.

დასაშვებია, რომ უცხო სიტყვების შემოსვლასთან ერთად ადგილი ჰქონდა სომხურ-ბერძნული, არაბულ-სპარსული და თურქული ფრაზეოლოგიური კალკების დამკვიდრებასაც.

ეს მიიღწეოდა არა მარტო ლიტერატურული გზით (სომხურ და ბერძნულ ნაწარმოებთა გადმოქართულებით), არამედ ზემოქმედებების გზითაც (არაბულ-სპარსულ-თურქული მაგალითი). ცხადია, გაჭირდება ხელაღებით ამტკიცო ფრაზეოლოგიზმის ქართულობა, როდესაც წარმომავლობის ამდენი საორიენტაციო ძეგლსაა დასაყრდენი.

ასეთ პირობებში გამოთქმის სადაურობაზე პასუხის გაცემის ყველაზე საიმედო საშუალებად გვეჩვენა უძველესი ძეგლების — სომხური, ბერძნული და ქართული ოთხთავების — ფრაზეოლოგიური შეჯგურება²⁰², რადგან ვარაუდია, რომ ქართული ტექსტი სომხურიდან და ბერძნულიდან არის თარგმნილი.

ქართულ ტექსტში არსებულ ფრაზეოლოგიზმებს სომხურსა და ბერძნულში ხედებოდა ორი სახის შესატყვისი:

²⁰² ქართული ტექსტის სომხურ და ბერძნულთან შეჯგურებაში დაზნარება გამოიწიეს მეცნიერებთა აკადემიის უფრო ახ. თანამშრომლებმა არ. ხარტირასოვი და ალ. გამყრელიძემ.

1. ქართულის სიტყვასიტყვითი ეკვივალენტი.

2. ორგანული წარმოების მარტივი ზმნა.

პირველი რიგის მაგალითებია:

1) ქართ. საფრჯის გება — მახის დაგება: „რათა სიტყვ-
თა საფრჯე უგონ მას“ (მთ 22, 15 DE)

სომხ. *գնիցեն նამ որიգայի* (=დაუგონ მახე)

ბერძნ. *παυρῆνίσσων* (=დაუგონ მახე)

2) ქართ. დაიდევს გულსა — გულში ჩაიდევს: „და დაი-
დევს გულსა თუსსა“ (ლ 1, 66 DE).

სომხ. *სկին ჭ სირას* (=ჩაიდევს გულში)

ბერძნ. *ἐμειντο ἐν τῇ καρδίᾳ* (=ჩაიდევს გულში)

3) ქართ. წილის გდება: „და განიგდებდეს მას ზე-
და წილსა“ (მრკ 15 24, DE)

სომხ. *արկևալ վիճակս* (=წილი ჰყარეს)

ბერძნ. *βάλιστον ἐλθῆρον* (=წილის მყარენი)

4) ქართ. დავდვა სული: „დავდვა სული ჩემი მის
ზედა“ (მთ 12, 18 DE)

სომხ. *სկից ვივი* (=დავდებ სულსა)

ბერძნ. *μῆσιν τὸ πνεῦμα* (=დავდვა სული)

5) ქართ. თუალ-უყოფდეს — ანიშნებდეს: „და თუალ-
უყოფდეს მამასა მისსა“ (ლ 1,62 DE)

სომხ. *ակնարկէին* (=თვალს ჩაუკრავენდენ)

ბერძნ. *ἐνεύθει* (=ანიშნებდა)

6) ქართ. მიეც საქმარი — ეცადე: „მიეც საქმარი
განთავისუფლებად მისგან“ (ლ 12, 58 DE)

სომხ. *սուր գրաշխն* (=მიეც ანგარიში)

ბერძ. *ἔδωκεν ἰσχυρῶς* (=მიეც საქმე)

7) ქართ. სიტყვს მიცემა: „მისცენ მისთვის სიტყუა
დღესა მას საუჯელისასა“ (მთ 12, 36 E).

სომხ. *տաყեն համար* (=მისცენ ანგარიში)

ბერძნ. *ἀποδίδωμι λέγειν* (=მისცენ სიტყვა)

8) ქართ. მადლის პერობა: „ნუუკუე მადლ-იპყრას
მონისა მის“ (ლ 17,9 DE)

სომხ. *չնոր ունիցի* (=მადლი ჰქონდეს)

ბერძნ. *ἔχει χάρι* (=მადლი ჰქონდეს)

9) ქართ. უზრუნველგყვნეთ: „ჩუენ ვარწმუნოთ და
თქუენ უზრუნველ-გყვნეთ“ (მთ 28, 14 DE)

სომხ. *ანიհიფა არასფიღ* (= უზრუნველგყოთ)

ბერძ. *ἀμαρτίαν ἵσχυρα πειρασέμεν* (= უზრუნველგყოთ)

გამოთქმათა ამ წყების მიმართ ძნელია დასკვნის გამოტანა, ისინი დამოუკიდებლად არიან ჩასახული თუ ქართული წარმოადგენს სომხურის ან ბერძნულის კალკს. იქნებ სამსავე შემთხვევაში წყარო სულ სხვა იყოს: ებრაული!

მეორე რიგის მაგალითებში მდგომარეობა ნათელია: ქართულ ფრაზეოლოგიზმს მარტივი ზმნა ეფარდება:

10) ქართ. თავს დება — კისრება (თავის თავზე მიღება): „ვიდრემდის თქუენ თანა ვიყო, ვიდრემდის თავს-ვიდებდე თქუენსა“ (მთ 17, 17 DE)

სომხ. *անսაკցիւմ* (= ვისმენდე, ვიჯერებდე)

ბერძნ. *ἀνεξιτάμητος* (= ავიტანო, გაეუძლო)

11) ქართ. თავ-ყოფა — დაფასება, პატივისცემა: „თავუყავ მამასა და დედასა“ (მთ 15, 4 C; DE რედაქციაშია: პატივე-ეც მამასა და დედასა შენსა“)

სომხ. *պատուիս* (= „გააპატივე“, მნიშვნელობით: პატივი ეცი)

ბერძნ. *τίμα* (= „გააპატივე“, მნიშვნელობით: პატივი ეცი).

12) ქართ. ქელ-ეწიფების — შეუძლია: „ვერ ქელ-ეწიფების ქალაქსა დაფარვად“ (მთ 5, 14 DE)

სომხ. *կարէ* (= შეუძლია)

ბერძნ. *δύναται* (= შეუძლია)

13) ქართ. ქელის შეყოფა || ქელყოფა — ხელის მიყოფა, დაწყება: „რამეთუ მრავალთა ქელი შეყვეს აღწერად მითხრობაჲ“ (ლ 1, 1 DE; C რედაქციაშია: „რამეთუ მრავალთა ქელყვეს ზეგარდმო განწესებად“)

სომხ. *լիժարկելիս* (= მოიწადინეს)

ბერძნ. *ἐπαγγέλλομαι* (= „იხელეს“, მნიშვნელობით ხელი მიყვეს)

14) ქართ. თუალთ-ღება: „რამეთუ არა თუალთ-ღებ პირსა კაცისასა“ (მთ 22, 16 DE; C რედაქციაშია: „რამეთუ არა ხედავ პირსა კაცისასა“).

სომხ. *հայիս* (= ხედავ).

ბერძნ. *βλέπει* (= ხედავ)

15) ქართ. პირის დაკერა — გაჩუმება: „ხ მან პირი დაიკრა“ (მთ. 22, 12 C; DE რედაქციაშია: „ხოლო იგი ღუმნა“)

სომხ. *ყაყანბსყաღ* (= დაღუმდა)

ბერძნ. *ἐπιμαθή* (= ალიკაპი გაიკეთა, надея намордник)

16) ქართ. გემოს ხილვა: „სიკუდილისა გემოჲ არა
იხილოს უკუნისამდე“ (მთ 16, 28 DE)

სომხ. *Գաჯակსყენ* (= იგემოს)

ბერძნ. *μηχανισαυται* (= იგემონ)

17) ქართ. ნუგეშინის ცემა — დაიმედება: „რომელნი
იყვნეს მის თანა სახლსა შინა და ნუგეშინის ჰსცემდეს მათ“
(იოვ 11, 31 DE)

სომხ. *մխիթարէին* (= ანუგეშებდნენ)

ბერძნ. *παρρησιάζονται* (= ნუგეშის მცემელი)

18) ქართ. ამბორს უყოფდა — კოცნიდა: „და ამბორს-
უყოფდა ფერჯთა მისთა“ (ლ 7, 38 DE)

სომხ. *համբուրէի* (= კოცნიდა || ეამბორებოდა)

ბერძნ. *κατεφίλει* (= კოცნიდა)

19) ქართ. პატრივის-ცემა — დაჟასება: „და არა პა-
ტივი-სცეს მამასა თუსსა“. (მთ 15, 6 DE)

სომხ. *պատուիցես* (= „გააპატივოს“, მნიშვნ. პატივი სცეს).

ბერძნ. *ταψει* (= „გააპატივოს“, მნიშვნ. პატივი სცეს) და სხვ.

როგორც ვხედავთ, მეორე რიგის მაგალითებში სესხების შე-
საძლებლობა თითქოს გამორიცხულია: იქ, სადაც სომხურში ან
ბერძნულში მარტივი ზმნაა, ქართულში ფრაზეოლოგიზმია. ეს უკა-
ნასკნელები შეიძლება ვალიაროთ წმინდა ქართულ ერთეულებად,
თუ, ცხადია, უმწერლობო ენებთან ქართულის კონტაქტს არ მი-
ვიღებთ მხედველობაში.

ფრაზეოლოგიზმების წარმომავლობის გასარკვევად აუცილე-
ბელია უძველესი ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლების ამ წი-
სით შესწავლა-შეჯერება და, ამდენად, ფრაზეოლოგიის, როგორც
დარგის, ისტორიულ საფუძველზე დამყარება.

ფრაზეოლოგიზმის კალკირების საკითხისათვის

ამ საკითხს სხვადასხვანაირად აფასებენ. ზოგს იგი მიაჩნია
უარყოფით მოვლენად. ასეთი თვალსაზრისი ახალი არაა. პუტრი-
ზმის რეპარესიები ყოველივე უცხოს მიმართ გაიარა თითქმის
ყველა კულტურულმა ენამ. განსაკუთრებით მკვეთრად გამოვ-
ლინდა იგი ერების ჩამოყალიბებისა და სალიტერატურო ენის
შექმნის პერიოდში. საინტერესოა ამ წხრივ ჩეხურის მაგა-

ლითი, სადაც დენაციონალიზმის შიშით იდევნებოდა ყოველგვარი უცხოური, მკაცრად აიკრძალა გერმანიზმებისა და საერთაშორისო სიტყვების ხმარება, „არა ჩვენი“ ამ დროს გამოდიოდა მტრულის სინონიმად²⁰³.

საკმაო სიმკაცრით აღინიშნა პურიზმი XIX ს-ის საქართველოშიც. „ივერია“ და „დროება“ ბრძოლას უცხადებდა რუსული ფრაზეოლოგიური კალკების დამკვიდრებას. მაგ., გულზე ხელი დაიდე, არ გაუშვა ხელიდან და სხვ.

განსაკუთრებით სიმკაცრეს ამელავენებდა ს. ხუნდაძე. იგი უარყოფდა გამოთქმებს: რაშია საქმე? დამოკიდებულია ჩემგან, ფიქრებში გართული, ზომების მიღება, მოხსენება გააკეთა და სხვ.²⁰⁴

ისტორიამ უარყოფითად შეაფასა ასეთი პოზიცია. „პურიზმს სალიტერატურო ენათა ისტორია არ ამართლებს“²⁰⁵. ცნობილია, რომ გამოჩენილი მწერლები და პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია ნაკლებად ხედებოდა პურისტთა სიაში. „ვგომბ ყოველგვარ ნეგატურ პურიზმს, რომელიც კრძალავს სიტყვის ხმარებას, შით უმეტეს, თუ უცხო ენამ შექმნა მნიშვნელოვნად მეტი და შედარებით გამოკვეთილი სიტყვები“, —წერდა გოეთე.

იგივე შეიძლება ითქვას კალკებზედაც. „ქალკი ისევე უნდა შევაფასოთ, როგორც სესხება“²⁰⁶.

არ შეიძლება უცხო ენისთვის დამახასიათებელი გამოთქმებისა და იდიომების გადმოტანა მივიჩნიოთ ენის დამახინჯებად. ცხადია, დიდი სიფრთხილე გვმართებს, როდესაც სხვა ენის კონსტრუქციები გადმოგვაქვს. მიუღებელია კალკი, თუ კი იგი ეწინააღმდეგება ენის ბუნებრივი ფორმების განვითარებას²⁰⁷. ეს პროცესი ენას თავს ახვევს მისთვის უცხო მოდელებს. ამის საშიშროება განსაკუთრებით ჩანს ზოგიერთი ფრაზეოლოგიური შესიტყვების კალკირებისას. ექვეის ქვეშ აყენებს წმინდა რუსული კონსტრუქცია (*ставить под сомнение*). უფრო მიზანმიმართული იქნება გამოვიყენოთ: საქვეოდ ხდის, ან ექვი შე-

²⁰³ Л. А. Булаховский, Введение в языкознание, გვ. 128.

²⁰⁴ ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები, 1927, გვ. 73—76.

²⁰⁵ არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 195.

²⁰⁶ იქვე, გვ. 196.

²⁰⁷ ვ. ტელიძე. საშვილიშვილო საგანძური: ტურნ. „ციცკარი“, 1958, № 3.

აქვს. ასევე ხელოვნურ იერს ატარებს ქართლისათვის კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს (*ставить под вопросительным знаком*). არ უნდა დავამკვიდროთ რუსული აგებულების გამოთქმა მოთმინებიდან გამოვიდა (*вышел из терпения*); როდესაც გაგვანჩია ბუნებრივი ქართული შესატყვისები: მოთმინება გამოელია, მოთმინების ძაფი გაუწყდა, მოთმინების ფიალა აევსო და სხვ.

ასეთი განურჩეველი დამოკიდებულება უცხო სტრუქტურის გადმოტანისადმი განსაკუთრებით თავს იჩენს პრესის ფურცლებზე და უარყოფით მოვლენად ჩაითვლება. როდესაც საუბებურთო კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „მოთამაშემ ბურთი თამაშში 'მოიყვანა', ეს არის იოლი გზა თარგმნისა (*«играк взял мяч в игру»*)“, ესაა ხელის აღება ეკვივალენტების დაძვინაზე და, შეიძლება ითქვას, ერთგვარი უცოდინარობაც საკუთარი ფრაზეოლოგიური ფონდისა.

მაგრამ ძირითადად ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა თარგმნა გამართლებულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადმოტანილი კონსტრუქცია არ ქმნის ენის სისტემაში დისონანსს. წესრიგში მოიყვანა (*привел в порядок*) ყურს არ ხედება უხეზად, რადგან გვაქვს მსგავსად გაფორმებული გამოთქმებიც: მადაზე მოიყვანა, გულზე მოიყვანა, საქმე დამში მოიყვანა.

ხშირ შემთხვევაში კალკირებას ამართლებს ენაში შესატყვისის არარსებობა. წინააღმდეგობაში ჩავარდა (*впал в противоречие*) უნდა ავიტანოთ, რადგან ქართულში არა გვაქვს მისი ფარდი ერთეული. ასევე უნდა დარჩეს: მდგომარეობიდან გამოჰყავს, არ გაუშვა ხელიდან და სხვ.

ამ დროს ენობრივი კოლექტივის სანქციას დიდი მნიშვნელობა აქვს. ენა არ მიიღებს ისეთ ელემენტს, რაც მასზე მოლაპარაკე კოლექტივს არ სჭირდება და, ამდენად, ურთიერთობის გაუმჯობესებას არას არგებს. ვხმარობთ: წესრიგში მოიყვანა, მოძრაობაში მოიყვანა, მაგრამ ვერ დამკვიდრდება: გაფუჭებულობაში მოიყვანა (*привел в негодность*), მძვინვარებაში მოიყვანა (*привел в ярость*) და სხვ.

კიდევ უფრო ოპტიმისტურად უნდა შევხედოთ ხატოვანი იდიომების კალკირებას. ასეთი გამოთქმები ამდინარებს ენის ფრაზეოლოგიურ მარაგს და აფართოებს მეტყველის წარმოდგენათა ასოციაციების სფეროს. დადებითადაა ეს საკითხი გაშუქებული პ. გუგუშვილის ბროშურაში: „ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და მეცნიერული თარგმანისათვის“ (1952 წ.). ავტორს არ მოსწონს

ლენინის წიგნში მოყვანილი ენგელსის სიტყვების თარგმანი: „*При Марксе я израл вторую скрипку*“—„მარქსის დროს მე მეორე ადგილი მეჭირა“. იგი მოითხოვს ამ იდიომის კალკირებას, რომ ასეთი გზა არაა, შეუძლებელი იქნებოდა ენგელსის მომდევნო ფრაზის თარგმნა, სადაც ლაპარაკია მარქსის, როგორც პირველი ვიოლინოს, შესახებო. ავტორის წინადადებას ისიც ამართლებს, რომ უკრაინულ, ბელორუსულ, პოლონურ, ლატვიურ და სომხურ ენებზე ეს იდიომი სიტყვასიტყვითაა თარგმნილი (გამონაკლისს მხოლოდ აზერბაიჯანული შეადგენს).

საკითხის განხილვის შემდეგ ავტორი ასკვნის: „პირველ ვიოლინოს, როგორც გამოთქმას, შეუძლია იარსებოს ქართულადაც, ისე როგორც იგი (იტალიურიდან გავრცელებული) არსებობს გერმანულ, რუსულ, ინგლისურ და სხვ. ენებში. ამასთანავე, ენგელსის წერილიდან ხსენებული ადგილის (მეორე ვიოლინო) სიტყვასიტყვითი გადმოტანით მივიღებთ ფუნქციონალურადაც ზუსტ თარგმანს, რაც, თუ იგი კარგადაა შესრულებული, ამდიდრებს ქართულს, რითაც მკითხველის წარმოდგენაში ჩნდება ახალი თავისებური აზრთა წყობა, რაც აძლიერებს ორიგინალის სპეციფიკობათა შთაბეჭდილებას“²⁰⁸.

ასეთი პოზიცია პრინციპულად მისაღები ჩანს.

მართლაც, არ იქნება მიზანშეწონილი, რომ რუსულში ხმარებული იდიომის *головой выше стоит* კალკი (მთელი თავით მაღლა დგას) უარყოთ და მის მაგივრად რეკომენდაცია გაეწვიოთ გამოთქმას სამი გაფრენით მეტია²⁰⁹. არ იქნება მიზანშეწონილი თუნდაც იმიტომ, რომ ეს გამოთქმები მეტყველების სხვადასხვა სტილს განეკუთვნება: სამი გაფრენით მეტია¹ ხალხურობის ბეჭედი აზის და შინაარსობრივადაც განსხვავებულ ელფერს ატარებს.

მართალია, გამოთქმას *за словом в карман не лезет* ქართულში შეესატყვისება ენაზე ჭალი არ მოედება, მაგრამ არც სიტყვასიტყვითი თარგმანია უქუსაგლები²¹⁰: სიტყვის-

²⁰⁸ პ. გუგუშვილი, ხსენ. ნაშრ., გვ. 64. კალკირებას თვლის გამოთქმის სპეციფიკის შენარჩუნების ყველაზე კარგ საშუალებად ა. კენინიცი (*English idioms*, 1937, გვ. 3).

²⁰⁹ როგორც ამას ფიქრობენ თ. კობლატაძე და ზ. ქუმბურიძე (რუსულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ შესატყვისობათა დადგენისათვის: ჟურნ. „*ოცისკარი*“, 1957, № 1, გვ. 125).

²¹⁰ იქვე.

თვის ჯიბეში არ ჩაძვრება, ანდა სიტყვას ჯიბეში არ დაუწყებებს ძებნას. თარგმანზე ხელი არ უნდა აგვალბინოს ქართულში სინონიმის არსებობამ.

და ეს ორი მომენტის გამო:

1) ჯერ ერთი, ყოველ ენაში უამრავია სინონიმი და არაერთი მათი ყოფნა-არყოფნის საკითხს არ სვამს. მაგ., ქართულში გარდაცვალების ცნების აღსანიშნავად ათეულობით იდიომს ითვლიან: უფალს ჩაბარდა, სული განუტევა, ფეხი გაჭიმა, წერილი წაიღო და სხვ.

2) მეორეცაადა, აბსოლუტური სინონიმები არ არსებობს. „სინონიმებს არ შეიძლება ჰქონდეთ ერთი მნიშვნელობა უკვე იმიტომ, რომ ისინი გამოხატავენ გაგების სხვადასხვა ელფერს“²¹¹. მათ შორის მუდამ კმნის სხვაობას ცნების გამოხატვის საშუალებანი, ემოციური ტონი, გავრცელების სფერო და სხვა მომენტები.

ამგვარად, ჩვენ არ უნდა შევიზღუდოთ თავი თარგმნისას, რადგან გადმოსაღებ ცნებათა გავრცელების „სანქციას“ ისევ ენა გვაძლევს. ვიმეორებთ: იგი თვით უკუაგდება ისეთ გამოთქმებს, რომლებსაც არ შემოაქვთ მნიშვნელობის რაიმე ახალი ნიუანსი, ან ახალი მეტაფორებით არ ამდიდრებს მის ემოციონალურ სფეროს.

ასეთი კონტროლის თვალსაჩინო ნიმუშს იძლევა ამერიკული, რომელიც თავისი იდიომატიკის დემოკრატიული ხასიათის გამო კარს არ უღებს ინგლისურში გავრცელებულ ბიბლეიზმებსა და წინინდა წიგნურ გამოთქმებს²¹².

²¹¹ P. A. Будагов, Введение в науку о языке, გვ. 52.

²¹² ამის შესახებ A. Kooin, English idioms, 1937, გვ. 19..

ქართული ფრაზეოლოგიის სპეციფიკური მხარეები

ყველა ენის ფრაზეოლოგია სტრუქტურითა და წარმოქმნის პრინციპებით ძირითადად ერთმანეთს ემსგავსება — არსებობს მათი შექმნის საერთო გზები. ასეთად ჩაითვლება: გარკვეულ ისტორიულ რეალიაზე დაყრდნობა, ბიბლია-მითოლოგიისა და ლიტერატურის მასალის გამოყენება, ენაში არსებული თავისუფალი შესიტყვების მეტაფორული გადააზრება, სიტყვის ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობის რეალიზაცია და სხვ.²¹²

მაგრამ ყოველი ენის ფრაზეოლოგიის (ისევე როგორც ენის სისტემის სხვა ელემენტსაც) გარდა ამ საერთო ნიშნებისა, აქვს სპეციფიკურიც, მისი ბუნებიდან გამომდინარე. საჭიროა ფრაზეოლოგიზმების ანალიზი ენის ისტორიასთან კავშირში, იმდენად რამდენადაც ეს თავისებურებანი განპირობებულია ენის განვითარების შინაგანი კანონებით.

მაგ., როგორც ცნობილია, ფრანგულმა ენამ განვითარების ისტორიულ გზაზე მიიღო მკაფიოდ გამოხატული ანალიტიკური ხასიათი, მაგრამ შეინარჩუნა სინთეტური წყობის ნიშნებიც. საყურადღებოა, რომ ფრაზეოლოგიზმებმა ყველაზე მეტად შემოინახეს სინთეტური წყობის არქაული ელემენტები — სიტყვების რიგი, არტიკლის ქონა და სხვ. მათ გვერდით გვხვდება შინაარსის მიხედვით არქაული ელემენტებიც — ხმარებიდან გამოსული სიტყვები. ასევე ანალიტიკური წყობის წვლილი ჩანს: ნაცვალსახელის გამოტოვება, ნაწყვეტობა, ელიფსისი, სინტაქსური ჯგუფის ლექსიკალიზაცია. ამასთან ერთად, ფრანგულ ფრაზეოლოგიზმებს ახასიათებთ მეტისმეტი ლაკონიზმი. რუსულში რომ ასე არაა, ამას რუსული ენის ისტორიული განვითარების სპეციფიკის შედეგად თვლიან²¹³.

²¹² ამ მსგავსებას ხელს ვერ უშლის ის ფაქტი, რომ ფრაზეოლოგიზმებს სხვადასხვა ენაში განსხვავებული საზოგადოება აქვთ.

²¹³ ამის შესახებ Б. Л. Костелянец, Пути и средства перевода французской фразеологии на русский язык, Л., 1955, გვ. 268—269 (საკანდ. დისერტ.). მისივე, К вопросу о фразеологии французского языка: Ученые записки ЛГУ, 1957, № 204, გვ. 121.

ინგლისურში არ დაატურდება, გრამატიკულად უცვლელი ფრაზეოლოგიური შენაზარდი, როგორცაა რუსული *как нить* *ბამბი*. აქ ფრაზეოლოგიური შენაზარდები არ იწარმოება აგრეთვე ზედსართავი + არსებითი ტიპის გამოთქმებში²¹⁵.

გერმანულს სიტყვათწარმომქმნელი აფიქსების სიღარიბედ უთვლიან ფრაზეოლოგიურ შენაზარდთა მეტისმეტ გავრცელებას²¹⁶.

ხშირ შემთხვევაში, როდესაც რუსული ეყრდნობა მორფოლოგიურ სიტყვათწარმოებას, ფრანგული ამა თუ იმ გაგების გადმოსაცემად იყენებს ზმნურ ფრაზეოლოგიზმებს.

ოსურ ფრაზეოლოგიურ შესიტყვევებს რუსულისაგან განსხვავებით ახასიათებენ კომპონენტების მეტი შედუღაბებისა და ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის პირდაპირისაგან მეტად მოწყვეტის მქონედ²¹⁷.

როგორ სახეს გვიჩვენებს ქართული მასალა?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ფრაზეოლოგიური შენაზარდების ტიპის (ყურებზე ხახვი არ დამაქრა'ს მსგავს) გამოთქმათა ნაკლებობა. ძალიან ცოტაა ერთეულები, რომლებიც მოტივაციის დაბნელებას განიცდიდნენ. განსაკუთრებით თვალში საცემია გრამატიკული არქაიზმების მქონე ერთეულთა (ყურად ილო, აღიგავა პირისაგან მიწისაღასხვ.) სიმცირე, რითაც აგრე რიგად მდიდარია რუსული და ინგლისური. ქართულისთვის სრულიად უცხოა აგრეთვე ფრაზის სინტაქსური სპეციალიზაცია. უმთავრესად ქართული ფრაზეოლოგიზმები თავიანთი სტრუქტურით ახლოს. დგანან თანამედროვე ენის სინტაქსურ-მორფოლოგიურ ნორმებთან.

შეიძლება ითქვას, რომ ფრაზეოლოგიური შენაზარდების ჯგუფი ძირითადად არქაული და ხმარებიდან გამოსული სიტყვების შემცველი გამოთქმებითაა წარმოდგენილი. საკმაოადაა მათში არაბულ-სპარსულ-თურქული წარმომავლობის სიტყვები, რომლებიც ამ ფრაზეოლოგიური კონტექსტების გარეშე აღარ გამოიყენებიან.

²¹⁵ Н. Л. Архангельский, Фразеология „Почтения“, გვ. 143.

²¹⁶ П. П. Калинин, К вопросу об эквивалентности фразеологической единицы отдельному слову: Иностранные языки в школе, 1956, № 3, გვ. 55.

²¹⁷ Н. Я. Габраев, Русские фразеологические единицы и их соответствия в осетинском, გვ. 87.

რაც შეეხება ხატოვანი იდიომების ჯგუფს, მათ დიდი ელასტიკურობა ახასიათებს. ენობრივი ტექნიკის მხრივ ისინი გაცილებით დინამიკურნი არიან, ვიდრე მათი რუსული შესატყვისები. ამ მოქნილობის მაჩვენებელია:

1) იდიომა უმრავლესობაში ზმნათა მთლიანი პარადიგმული სქემების გამოყენება: გულთანახლოს მიაქვს, გულთანახლოს მიიტანა, გულთანახლოს მიუტანია...

2) იდიომის სახელადი ნაწილის ორივე რიცხვში ხმარება რიგ შემთხვევებში: ხელსხელებს შლის, თვალითვალები აეხილა, ენასკბილიკბილები დააქირე...

3) იდიომის კომპონენტების სინონიმებით შეცვლის ფართო შესაძლებლობა: თავი აიშვათავი აიწყვიტა... სინონიმი ახასიათებს იდიომის თვით საყრდენ სიტყვასაც კი! — პირი ეწვისკუდი ეწვისზურგი ეწვის და სხვ.

4) აქტივიდან პასივში ფრაზეოლოგიზმის გადაყვანის დიდი შესაძლებლობა: გულზეგახეთქა — გულზეგასკდა, ტყავსაძრობს — ტყავიგასძვრა, გასაქანსაძლევს — გასაქანი მიეცა და სხვ.

რუსულში ამ პროცესის შედეგად მიიღება თავისუფალი შესიტყვება: *бить баклуши* და *он бил баклушами целыми днями*. ამის მიზეზია რუსული ფრაზეოლოგიზმის პასივში გადაყვანისას კომპონენტების ცალ-ცალკე გააზრება, რაც იწვევს სახის დაშლას.

5) რედუცირებისადმი მიდრეკილება: გულისჯავრი იყარა → ჯავრი იყარა, ენა მუცელში ჩაუვარდა → ენა ჩაუვარდა, რაც ხშირად ფრაზეოლოგიზმის ერთ სიტყვამდე დაყვანას გვაძლევს: უქრის ← თავში უქრის, აფრენს ← ოფოფებს || მწყრებს აფრენს და სხვ.

ასეთი თავისუფლება მიიღწევა იმიტომ, რომ ქართულში იდიომის საფუძვლის — მხატვრული სახის — აღქმა ხელშესახებია და გამოთქმა თავისი მოდელით უტოლდება ენაში არსებულ ცოცხალ თავისუფალ შესიტყვებებს.

ქართული ენის სიტყვათა წყობის სპეციფიკის გამომხატულებათა ფაქტი, რომ ზმნური კომპონენტი ფრაზეოლოგიზმში ჩვეულებ-

რევ ბოლოშია: მტვერი აღინა, გზა აუბნია, ძალას ატანს, შიში ჭამა და სხე.

ლაკონიზმის დადასტურებაა ისიც, რომ ქართული ფრაზეოლოგიაში არ საჭიროებს ნაცვალსახელის ჩართვას: გული მოუვიდა (მას), ენა შემიბრუნა (მე). ნაცვალსახელების მაგფრობას ქართულ ფრაზეოლოგიაში (ისე როგორც თავისუფალ შესიტყვებაში) ზმნაში წარმოდგენილი პირის ნიშნები ასრულებენ.

ფრაზეოლოგიის აღბილისათვის ლინგვისტიკაში .

საკითხის დასმის წესით

თუ მეცნიერების რომელ დარგს მიეკუთვნოს ფრაზეოლოგია, ამის გადაწყვეტისათვის ავტორები სხვადასხვა კრიტერიუმს მიმართავენ.

საკითხი იდგა იმის შესახებ, ლინგვისტიკაში განხილულიყო ფრაზეოლოგიზმები, თუ მის გარეთ დარჩენილიყო. მართლაც, მასალის მიმართ ლინგვისტური პოზიციის არარსებობის გამო იგი ლიტერატურათმცოდნეობაში შეჰქონდათ. ამოსავალი იყო ტერმინ ფრაზეოლოგიის ლიტერატურული გაგება. იგი მიაჩნდათ ინდივიდუალურ, მწერლის ენისათვის დამახასიათებელ მხატვრულ საშუალებად და გაიგებებულნი ჰქონდათ ლიტერატურათმცოდნეობის ცნებებთან: მეტაფორა, ეპითეტი, მხატვრული შედარება და სხვ., რომელთაც ინდივიდუალურობის ბეჭედი ესვა. არავითარი ანგარიში არ ეწეოდა ტრადიციულობას და ენობრივ სანქციას.

ზოგიერთმა ავტორმა გაითვალისწინა ფრაზეოლოგიზმების ექსპრესიულ-ემოციური მომენტები და იგი სტილისტიკის საგნად გამოაცხადა. ჯერ კიდევ მ. ლომონოსოვი მიზნად ისახავდა ფრაზეოლოგიური მასალის დამუშავებისათვის მიეცა სტილისტიკურ-ნორმატიული ხასიათი. ეს გამოთქმები ენაში ითვლებოდა სემანტიკურ-სტილისტიკურ ოდენობებად. მათ ძირითად ნიშნად მიაჩნდათ მნიშვნელობა, სტილისტიკური შეფერილობა და განსაკუთრებული გამოყენების ფუნქცია. ეს იყო საბაზი კატეგორიული განცხადებისათვის: ფრაზეოლოგია წარმოადგენს ძირითადად არა გრამატიკისა და ლექსიკის, არამედ სტილისტიკის შესწავლის საგანს²¹⁸.

²¹⁸ В. Ф. Рудов, Фразеология произведений Горького: Ученые записки Таганрогского Гос. пед. института, т. II, 1957, гл. 4.

ბოლო ხანებში ფრაზეოლოგიურ მასალას შეხედეს ლინგვისტური თვალსაზრისით. მას ნ. მარის მიმდევრები განიხილავდნენ სინტაქსის პოზიციებიდან¹¹⁹. ა. შახმატოვს, ი. მეშჩანინოვსა და სხვებს იზიდავდა ფრაზეოლოგიური ერთეულის ფორმა: იგი შესიტყვებას წარმოადგენდა და ამდენად სინტაქსის შესწავლის საგანი უნდა ყოფილიყო. ამიტომ იყო, რომ ფრაზეოლოგიზმის ყოველი კომპონენტი განიხილებოდა, როგორც წინადადების დამოუკიდებელი წევრი და მას ცალკე კითხვა ესმოდა.

სხვა ენათმეცნიერებმა სხვა კუთხით შეხედეს პრობლემას. მათი ყურადღება მიექცია ფრაზეოლოგიზმის სემანტიკამ. მართალია, იგი ფორმით შესიტყვება იყო, მაგრამ მნიშვნელობით სიტყვას უტოლდებოდა, მის ეკვივალენტად გამოდიოდა. ამიტომ დადგა მისი ლექსიკოლოგიაში შეტანის საკითხი (ვ. ვ. ვინოგრადოვი).

რომელ ჩამოთვლილ დარგთაგანს შეიძლება მივაკუთვნოთ ფრაზეოლოგიზმი?

უწინარეს ყოვლისა, იგი ვერ იქნებოდა ლიტერატურათმცოდნეობის საგანი. არ შეიძლება ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ენობრივ ოდენობებს წარმოადგენენ და საყოველთაოდ იზმარებიან, ავრიოთ მწერლის მიერ ხმარებულ ინდივიდუალურ მეტაფორებთან, რომლებსაც ჯერ არ მოუპოვებიათ ენობრივი კოლექტივის სანქცია, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არის ფრაზეოლოგიის ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი გზა.

მართალია, ფრაზეოლოგიზმები ექსპრესიული ფუნქციით ხასიათდება, მაგრამ ეს არ კმარა აგრეთვე მათ სტილისტიკაში მოსათავსებლად. მეორე პლანზე რჩება ძირითადი სემანტიკური ნიშანი, რომლის გათვალისწინების გარეშე არასრულყოფილი ჩანს ფრაზეოლოგიზმის ცნება.

ამავე მიზეზის გამო ფრაზეოლოგიზმს ვერ ჩავთვლით სინტაქსის შესწავლის ობიექტად. ფრაზეოლოგიზმის მსგავსება ფორმის მხრივ თავისუფალ შესიტყვებასთან ვერ ჩრდილავს მათ შორის არსებულ შინაგან სხვაობას.

თითქოს ყველაზე მეტი უფლება ფრაზეოლოგიზმებს ლექსიკოლოგიაში აქვთ. ისინი წარმოადგენენ სიტყვის ეკვივალენტებს და ზოგიერთ მათგანს ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის კუთ-

¹¹⁹ А. Шахматов, Синтаксис русского языка, 1941, гл. 276.

ენილებადაც კი თვლიან. მაგ., ა. ონიანს გამოთქმები: ფეხებზე ჰკიდია, ტყავი გააძრო, ხელი შეუწყო და სხვა შეაქვს ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში²²⁰.

მართლაც, ამ გზით გადაწყდებოდა საქმე, ფრაზეოლოგიაში რომ მხოლოდ იდიომები „შედგენილი“ ან „პოტენციალური“ (სიტყვები) მოიპოვებოდეს, როგორცაა, მაგ., ყურებზე ხახვი არ დამაჭრა, ბოლთას სცემს, აბუჩად იგდებს და სხვ. მაგრამ მათ გვერდით არსებობს შედარებით ანალიტიკური სახის გამოთქმები — ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი, რომელთა სრულყოფილებოვან ლექსიკურ ერთეულებად მიჩნევა გაჭირდებოდა. ასეთებია: ფიცს დებს, მოთმინება გამოელა, ეჭვი შეეპარა და სხვ. და რადგანაც მათ ლექსიკოლოგიაში ვერ შევიტანთ, საეჭვო გახდებოდა იდიომების ლექსიკოლოგიაში დატოვების საკითხიც.

„იდიომების, საკმაოდ შერწყმულ, სემანტიკურად მთლიან გამოთქმათა გვერდით არსებობს არათავისუფალ შესიტყვებათა კიდევ რამდენიმე სახესხვაობა. ამ მასალის მოცულობა, სხვადასხვაობა და თავისებურება არ გვაძლევს უფლებას იგი მთლიანად ლექსიკოლოგიაში ჩავერიცხოთ. და რადგან ასეა, მაშინ მარტივ სიტყვასთან შედარებით ახლო მდგომი იდიომატური გამოთქმები უნდა გამოიყოს ლექსიკოლოგიიდან და მიეკუთვნოს ფრაზეოლოგიას“²²¹.

აქ პირველ რიგში დგება ფრაზეოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, შექმნის საკითხი. ამის საშუალებას იძლევა ობიექტის — იმ მრავალრიცხოვანი ფრაზეოლოგიზმების არსებობა, რომლებიც პრინციპულად განემსგავსებიან მოსაზღვრე ერთეულებს და დამოუკიდებელი სემანტიკური სახე აქვთ.

როგორც ბ. ლარინი შენიშნავს, ასეთი დისციპლინის გამოყოფა უკვე აუცილებელია, რადგან „ყველა სათვის ნათელია დილექტანტური უსუსურობა, შეუთანხმებლობა და წარუმატებლობა ამ მასალის გზადაგზა, შემთხვევითი განხილვისას ლექსიკოგრაფიასა, სტილისტიკასა და სინტაქსში“²²².

²²⁰ ქართულ-სვანური იდიომატია, გვ. 121.

²²¹ Б. А. Ларин, Очерки по фразеологии, გვ. 202.

²²² ეჭვი, გვ. 201. მსგავსი აზრი აქვს გამოთქმული ვ. რუდოვსკი, ლ. ორლოვს და სხვ.

საკითხის ამგვარად დაყენება ახალი და ნოვლოდნელი არ არის. ჯერ კიდევ მ. მიხელსონს თავის შრომაში ფრაზეოლოგიის განმარტებისას მესამე პუნქტად მოცემული აქვს: „ფრაზეოლოგიად საერთოდ იწოდება მეცნიერება ან მეცნიერული დისციპლინა (დაყოფა ჩვენია. — ა. თ.), რომელიც სწავლობს მეტყველებას“²²².

აქ, მართალია, ძალიან ფართოდაა წარმოდგენილი ფრაზეოლოგიის ობიექტი, მაგრამ მთავარია, რომ ფრაზეოლოგია დამოუკიდებელ მეცნიერებადაა აღიარებული.

ფრაზეოლოგია, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელ დარგად ჯერ არ ჩამოყალიბებულა, იგი ჯერ კიდევ „ფარული განვითარების“ სტადიაში იმყოფება (ბ. ლარინი), მაგრამ ეს არ გვაძლევს საბაბს მის მომავალს უიმედო თვალთ შევხედოთ.

ცალკე გამოყოფა კი რომ შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ამას ადასტურებს სტილისტიკის მაგალითი, რომელიც ყალიბდება მეცნიერებად ენის სტილებისა და მათში სხვადასხვა ენობრივ საშუალებათა კანონზომიერების შესახებ.

არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ფრაზეოლოგია ცალკე გამოყოფის შემდეგ ჩინური კედლით დასცილდება მოსაზღვრე დარგებს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერება თავისი კუთხით გააანალიზებს ფრაზეოლოგიურ მასალას, ისევე როგორც სიტყვის (როგორც ლექსიკოლოგიის ობიექტის) მიმართ გარკვეული პრეტენზიები აქვს სტილისტიკას, ლიტერატურის თეორიას, ენათმეცნიერებას და სხვ.

²²² М. И. Михельсон, Русская мысль и речь, гл. IV.

А. А. ТАКАИШВИЛИ

ВОПРОСЫ ГРУЗИНСКОЙ ФРАЗЕОЛОГИИ

Резюме

Человек способен при помощи лексического состава языка выразить (более или менее точно) все сферы материальной и культурной жизни. Но количество вещей и явлений безгранично, тогда как запас слов сравнительно мал и ограничен. Такое положение является одним из основных факторов изменения значений слов и полисемии. Так напр., в грузинском языке слово *beṣvi* 'волосок' имеет четыре значения, из которых четвертое является переносным: «нечто очень незначительное, малое».

Наряду с отдельными словами язык обладает большим количеством готовых формул, имеющих переносное значение. В словарях при толковании того же *beṣvi* дается устойчивое выражение *beṣve hkiḍia* досл. висит на волоске, означающее и «находится на грани гибели или неудачи». Фразеология начинается именно здесь, когда значение компонентов затемняется и словосочетание приобретает семантическую цельность. Правда, фразеологизмы обычно не единственные обозначатели понятия (здесь приоритет за словом), зато велика их эмоциональная сила. Благодаря их экспрессивной функции наша речь становится более гибкой и образной. Сложность овладения языком в значительной степени обусловлена и такого рода материалом.

Надо сказать, что лишь в последнее время было уделено должное внимание изучению грузинской фразеологии и частично заполнился тот пробел, который имелся в этой области грузинского языкознания.

Следует отметить диссертационную работу А. Ш. Ониани (Вопросы грузинско-сванской идиоматики, 1954 г.), в которой

автор на фоне общетеоретических вопросов дает анализ сванских и грузинских идиоматических единиц и исследует их происхождение.

К. Л. Канделаки в своей диссертационной работе (Английские метафорические идиомы и их грузинские эквиваленты, 1955 г.) анализирует фразеологический материал английского языка и устанавливает семантические группы фразеологизмов, сопоставляя их с грузинскими эквивалентами.

Вышло в свет несколько статей, в которых грузинская фразеология рассматривается с разных точек зрения.

Как обстоит дело с изучением интересующего нас материала?

Грузинское литературное наследство (начиная с V в. вплоть до наших дней) богато фигуральными, идиоматическими выражениями. В лексикологической практике фразеологизмам издавна уделялось внимание. Они выделены у Саба Орбелиани в знаменитом словаре (XVII в.), у Давида Чубинашвили в Грузинско-русском словаре 1840 г. и т. д.

Из книг, изданных в последнее время, надо отметить трехтомный труд Т. Сахокиа «Грузинские образные слова-выражения» (собрано 7000 единиц), который, кроме фразеологизмов, охватывает образные слова и композиты.

Богатый фразеологический материал представлен в трехтомном Русско-грузинском словаре, охватывающем идиомы и все устойчивые выражения, которые специфичны для русского языка и вызывают особый интерес при переводе.

Но, безусловно, наибольшую ценность представляет восьмитомный Толковый словарь грузинского языка, фундаментальный труд, который, наряду со словами, содержит и основную массу грузинских устойчивых выражений. Здесь особо выделены все словосочетания, требующие в какой-то мере толкования.

Таково положение в грузинском языкознании как в собирании и разработке фразеологического материала, так и в изучении теоретических основ фразеологии как науки.

В нашем труде «Вопросы грузинской фразеологии» мы попытались, по мере возможности, разработать идиому и фра-

зоологическое сочетание в соответствии с нашим представлением об объекте фразеологии.

В качестве материала использованы грузинские выражения, имеющиеся в разных словарях, произведениях классиков, диалектологических сборниках и разговорной речи.

Что входит в сферу изучения фразеологии?

